ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათობით №69 (1699) 8 – 14 დეკემბერი, 1998წ. ● ფასი 50 თეთრი



## „მან კონსტანტინე გამსახურდია „გაასომხა", თქვენ კი „ცრუპენტელად" აქციეთ და ზვიადიც ლაფში ამოსვარეთ"...

მე-2 გვერდი



ალექსანდრე აბდალაძე

## პარონ პარუირ, დამიბრუნეთ ჩემი მეცნიერება!

მე-3 გვერდი

## მოყვარე მტერი ყოვლისა...



მე-2 გვერდი

## ერთი ცილისმწამებლური სომხური გამოცემის გამო





მე-8 გვერდი

## ლენინური პრემიის ლაურეატი — მსოფლიოს გამოჩენილი ურარტოლოგი!

## ტერორიზმი მეცნიერებაში

გ. ყორანაშვილის მიერ გამოქვეყნებული პასკვილის გამო



მე-6 გვერდი

ილია ბარამიძე

## დათვური სიყვარული

მე-3 გვერდი

«პოლიტიკაში მყოფ ადამიანებს ბევრი რამ გვახსოვს», მაგრამ ზოგიერთებს ავიწყდებათ!



მე-2 გვერდი

## ხმა ხალხიდან

# „მან კონსტანტინე გამსახურდია „გაასომხა“, თქვენ კი „ცრუპენტელად“ აქციეთ და ზვიადიც ლაფში ამოსვარეთ“...

ზოგიერთი ქართველი ამდენი ხნით სსრკ-ში ცხოვრებამ, ეტყობა, ლამის გაარუსა, რადგან ნიკიტუშკა დურაჩოკივით იქცევა: დისიდენტყოფილები ეროვნულობაზე თავს სდებენ და იმ ბოძს კი არყევენ, რომელზედაც ქართული ეროვნული მოძრაობაა დაფუძნებული. ის ბოძი არათუ შეარყიეს — ძირს დასცეს და ფეხითაც შედგნენ ზედ, მაგრამ ვერ ისვენებენ, მაინც აგრძელებენ ისტერიას — უნდათ ბოლომდე ჩაკლან ქართველ ხალხში ყოველგვარი ეროვნულისკენ სწრაფვა, შეაძულონ ეროვნულის ხსენებაც კი. მიზანს თითქმის მიაღწიეს — ქართველი ერი ლამის არაფერზე აღარ რეაგირებს; ერთადერთი საზრუნავი აქვთ — ცოლშვილი როგორ გამოკვებონ და შიმშილს გადაარჩინონ.

მიუხედავად მათი უდავო „წარმატებისა“, გარკვეული ძალების დაკვეთით ისტერიკები გრძელდება. ჩანს, შეკვეთაა ასეთი — საბოლოოდ სახელი გაუტეხონ და დაასამარონ ეროვნული მოძრაობა. ამის მისაღწევად კი ამ მოძრაობის აქტიური წარმომადგენლების დისკრედიტაციას ეწევიან.

საინტერესოა, რომ ამ მხრივ ძალიან აქტიურობს დისიდენტყოფილი, ვინმე თეიმურაზ ჭანტურიშვილი.

მე არასოდეს პოლიტიკაში არ ჩავრეულვარ და მითუმეტეს, — დისიდენტი არ ვყოფილვარ და ამიტომ შევეცდები ჩემი, რიგითი ქართველის (და არა „მოქალაქის“) პოზიციიდან დანახული სიმართლის თქმას.

გაზეთ „სრ“-ში გამოქვეყნდა ვინმე ჭანტურიშვილი თეიმურაზის სტატია „მორიგი პროვოკაცია მოსკოვიდან“, რომელიც არ პასუხობს სათაურს და წარმოადგენს არა იმდენად ზ. გამსახურდიას წინააღმდეგ, არამედ მთლიანად ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ მიმართულ გამოხტომას. ხოლო ჭანტურიშვილის წარსულში დისიდენტობამ არ უნდა დაგვაფიქროს, ვინაიდან ჯერ კიდევ ბიბლიიდანაა ცნობილი მსგავსი გარდასახვა. ერთ დროს სატანა — საველე ერთ მშვენიერ დღეს ანგელოზ პავლედ გარდაისახა. ჭანტურიშვილი კი თავისი ქცევით ამტკიცებს, რომ სრულიად შესაძლებელი ყოფილა პირუკუ პროცესიც.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ში (სამ ნომერში) იბეჭდებოდა მისი „ნარკვევი“ — „მორიგი პროვოკაცია მოსკოვიდან“. წერილის სათაურიდან გამომდინარე, იქ ზვიად გამსახურდიას პიროვნებაზე არ უნდა ყოფილიყო აქცენტი გაკეთებული; კრიტიკა მოსკოვის წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო მიმართული. მაგრამ გამოყენებულია შემთხვევა და წერილების სერია... საქართველოს პირველი პრეზიდენტის (მოსწონს ეს ფაქტი ვინმეს თუ არა!), თანაც გარდაცვლილის, ლანძღვასა და ტალახში ამოსვრაზეა გამიზნული. მოსკოვი კი იქ იმდენადაა ნახსენები, რამდენადაც თურმე „ის წიგნი“ მოსკოვში დაუბეჭდავთ.

ჭანტურიშვილის წერილების სერია, რომელსაც „საქართველოს რესპუბლიკა“ გულუხვად უთმობს ფურცლებს, ძლიერ წააგავს მოვარდისფრო შეფერილობის ყოფილ წითელთა მორიგ პროვოკაციას ეროვნული მოძრაობის (და არა გამსახურდიას — ის აღარაა) წინააღმდეგ — ეს ეროვნული მოძრაობის დასამარების მორიგი ცდაა ხრუშჩოვის „მეთოდებ-



ით“. (ის ხე რომ მოჭრა, რომელზედაც თვითონ იჯდა და გადაყვა კიდეც ამას).

ჭანტურიშვილს რატომღაც ძალიან სწყინს, რომ გამსახურდია თავის ახალგაზრდა მეგობრებს საყვედურობს — „დაპატიმრების დროს ალაპარაკდნენო“. (ჭანტურიშვილის აზრით — ალბათ უნდა აქებდეს ამისთვის?!). სწორედ ამის გამო ასკვნის გამსახურდიას დაუნდობლობის შესახებ თავის თანამებრძოლთა მიმართ (იმ ზედმეტად მოლაპარაკე ახალგაზრდა „ამხანაგებში“ შემთხვევით თვითონ ხომ არ იმყოფებოდა?!).

მეორეგან „99-ჯერ ნათქვამს“ მეასედ იმეორებს (იქნებ დაუჯერონ!) „ნაპრეზიდენტალი“(?!) ისე ხმარობს ტყუილებს, როგორც იარაღს, რომ ეჭვი აღარ გეპარება: იგი დედის რძესთან ქონია მას შეთვისებული. ავილოთ მისი ყბადაღებული „მონანიება“, როგორ უარყოფს ის ყველაფერს“-ო და ა. შ.

აი, ამგვარი დემაგოგიური ფუჭსიტყვაობითაა (ჩაძიება არ ღირს) სავსე მისი ვრცელზე ვრცელი „ნარკვევი“ ანუ მისი „მორიგი პროვოკაცია... თბილისიდან“. გამადიდებელი შუშით გაუსინჯავს ყოველი აბზაცი, ყოველი ასო გამოცემისა, მოყავს ციტატები და იქვე იძლევა მათ თავისებურ უხამს, შავი ფერებით გაზავებულ ინტერპრეტაციას. რამდენი წინადადებაცაა განხილული, იმდენჯერაა გალანძღული აწ უკვე გარდაცვლილი პრეზიდენტი გამსახურდია. მას აღარ ახსოვს, რომ საქართველოში წესიერი ხალხი გარდაცვლილზე ან კარგს ლაპარაკობს, ან არაფერს და ახსენებს მას სხვადასხვა შეურაცხმყოფელი ეპითეტებით: მძინარა, მატყუარა, ნაპრეზიდენტალი, ვერაგი, ბოროტი და სხვ. იმასაც ვერ გრძნობს, — ამით თავის თავს უფრო მეტად ვნებს და ამხელს, ვიდრე გარდაცვლილ პრეზიდენტს.

გარდა ამისა, ჭანტურიშვილს შევახსენებთ, რომ ერთი და იგივე, მსგავსი გადაცდენებისათვის ერთი გაამტყუნო, მეორე კი აქო — აშკარად ამხელს კრიტიკის ავტორს და მის მსგავსთ ტენდენციურობაში, არაობიექტურობასა და არაკეთილსინდისიერებაში. ამიტომ ასეთ სუბიექტთა ე. წ. „ნაშრომები“ (იგივე პასკვილები), მიუხედავად იმისა — რამდენ თაობაზე დაიწერება ის — მხოლოდ უვიცებისთვის წარმოადგენს რაიმე ღირებულებას (ალბათ მათზეც იყო გათვლილი). დანარჩენებისათვის ის ტყუილად დახარჯული ქაღალდია — მაკულატურაა!

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — ობიექტური მსაჯულის მანტიამოსხმული — წერილის ბოლოს ასეთ მინაწერს ურთავს: „...დღეს შერიგება, გახლეჩილი ერის გამთლიანებაა მთავარი და საშური, მაგრამ სიმართლე არ უნდა შეეწიროს ამ მიზანს...“

გეცნოთ ალბათ — ჩვეულებრივი კომუნისტური დემაგოგიაა, მის ავტორებს რომ ჯერაც არ დავიწყებიათ: ვითომ ჩვენ „შერიგება“ კი გვინდა, მაგრამ „სიმართლის“ გამოუქვეყნებლობაც არ შეგვიძლიაო?! და ამით თითქოს კვერს უკრავს ფაქტების ჭანტურიშვილისებურ თავისუფალ და ტენდენციურ ინტერპრეტირებას, რომელი ლოგიკითაც შავი შეიძლება ყოველთვის თეთრად გაასაღო და — პირიქით.

იქვე — მიკერძოება რომ არავინ დაგვწამოსო (ძალიან უნდათ ობიექტურები ჩანდნენ!) და ობიექტურობის ილუზიის შესაქმნელად — სასწრაფოდ მიუწერიათ ე. შევარდნაძის სიტყვები“ „...ისტორია არავის აპატიებს ცალკეულ ღირსეულ პიროვნებათა ან ქვეყნის განვი-

გაგრძელება მე-4 გვ.

# მოყვარე მტერი ყოვლისა...

რუსეთის ცენტრალური ტელევიზიის პირველ არხს ერთი მეტად საინტერესო გადაცემა აქვს: “Клуб кинопутешественников”. მისი ავტორი და წამყვანი იური სენკევიჩი ერთი შეხედვით ძალზე უწყინარი ტონითა და გამომეტყველებით უყვება ტელემაყურებელს ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიას, ხუროთმოძღვრების ძეგლებზე, ამ ქვეყნის მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებების შესახებ და ა. შ.



დიახ, ასეთი გადაცემები ერთი შეხედვით არის უწყინარი, თორემ... უფრო სწორად, ნამდვილად უნდა იყოს უწყინარი გადაცემები, ყოველგვარი პოლიტიკისა და მიკერძოების გარეშე. სინამდვილეში საქმე სულ სხვაგვარად არის, და გარეგნულად ასეთი უწყინარი გადაცემითაც შესაძლებელია ძალზე ცუდი საქმე გაკეთდეს.

ერთ-ერთი ასეთი ვითომ „უწყინარი“ გადაცემა იყო წლეულს, 29 ნოემბერს.

გადაცემის თემა იყო აფხაზეთი. მის მაყურებელს და მაცქერალს, რომელსაც ძალზე მწირი ცოდნა აქვს (ან იქნებ სულ არავითარი ცოდნა არა აქვს) აფხაზეთის შესახებ, ისეთი შთაბეჭდილება ექმნება, თითქოს აფხაზეთსა და აფხაზებს საერთოდ არავითარი შეხების წერტილი არა ჰქონდათ საქართველოს სხვა კუთხეებთან, სხვა ქართველურ ტომებთან. ავტორს ერთი სიტყვითაც არ უხსენებია ის, რომ იმ არქიტექტურული ძეგლების (საერო იქნება იგი თუ სასულიერო) მშენებლობაში, რომელთაც ასე აღფრთოვანებით უჩვენებდა სენკევიჩი და რომელთა შესახებაც საუბრობდა იგი, ქართველებს აფხაზებთან ერთად (ან იქნებ პირიქითაც, აფხაზებს ქართველებთან ერთად) თავიანთი ოფლი და სისხლი აქვთ ჩაღვრილი. პარალელურად, თითქმის მთელი გადაცემის მანძილზე და მით უმეტეს, სასულიერო არქიტექტურული ძეგლების ჩვენებისას, (თითქოს ქართველების დასაცინად), ეკრანის სიღრმიდან მოისმოდა სასულიერო გალობა, მაგრამ არა აფხაზურ ან მით უფრო ქართულ ენაზე, რასაც ამ კუთხეში მთელი 20 საუკუნის მანძილზე მართლაც ჰქონდა ადგილი, არამედ... რუსულ ენაზე, თითქოს აფხაზეთის ეკლესიებში საუკუნეთა მანძილზე მხოლოდ რუსული ენა ყოფილიყოს აღმსარებლობისა და წირვა-ლოცვის ენად.

ამასთან, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ აფხაზეთის თემას სენკევიჩმა გელენჯიკის თემა მოაყოლა, მაშინ დარწმუნებული უნდა ვიყოთ იმაში, რომ მაყურებელს ნამდვილად შეექმნა იმის შთაბეჭდილება, რომ აფხაზეთი, ისევე როგორც გელენჯიკი, ოდითგანვე რუსეთის სანაპირო ყოფილა.

ნათქვამია, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო. რუსეთი, რომლის დაშლის მოწმე ჩვენ ვხდებით, მაინც ვერ ელევა იმპერიალისტურ ზრახვებს, (რომელთა გამომხატველიც ამ შემთხვევაში სენკევიჩი აღმოჩნდა) და კვლავ უცხო ტერიტორიების შემოერთებაზე ოცნებობს. ი. სენკევიჩის აღნიშნული გადაცემა ამ ტენდენციის უაღრესად თვალსაჩინო დადასტურებაა.

**ამბროსი გრიშიკაშვილი**
**პოლონეთის კულტურის დამსახურებული მოღვაწე**

# „პოლიტიკაში მყოფ ადამიანებს ბევრი რამ გვახსოვს“, მაგრამ ზოგიერთებს ავიწყდებათ!

სიმართლე გითხრათ, ფიქრია ჩიხრაძის მიმართ ერთ დროს დიდი სიმპათიით ვიყავი განწყობილი. ეს სიმპათია ამ ათიოდე წლის წინ გამიჩნდა, როცა ეს კაფანდარა და სუსტი გოგონა თავის უნივერსიტეტელ მეგობრებთან: დათო ტურაშვილთან, თედო ისაკაძესთან და სხვებთან ერთად ერთ-ერთი პირველები გაბედულად დაუპირისპირდნენ საქართველოში კომუნისტურ ხელისუფლებას და ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე დადგნენ.



მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და სამწუხაროდ, ამ წყალმა ჩარეცხა ბევრის ეროვნული სულისკვეთება და შემართება. საწყენია, რომ მათ შორის ფიქრია ჩიხრაძეც აღმოჩნდა. იგი თითქოს სიტყვით და აზროვნებით კვლავ ეროვნულ პოზიციაზე დგას, მაგრამ საქმით სხვა რამე ჩანს. აი, მაგალითებიც. იგი ერთგან ამბობს: „ზოგიერთი პოლიტიკოსი იმისათვის, რომ გარკვეულ წარმატებას მიაღწიოს, გარიგებაზე მიდის მისთვის სრულიად მიუღებელ ძალასთანაც კი“. რა თქმა უნდა, ამას სხვათა გასაკილად ამბობს ფიქრია, მაგრამ თავად რომ ეხება ეს სიტყვები? „პოლიტიკაში მყოფ ადამიანებს ძალიან ბევრი რამ გვახსოვსო“ — ამბობს ფიქრია, ჰოდა, ჩვენც შევახსენებთ, რომ იგი ერთ დროს ედუარდ შევარდნაძეს რადიკალურად უარყოფითად აფასებდა. უფრო მეტიც, მას ბრალს სდებდა სისხლიანი ხელების ქონაში და საქართველოში მის დაბრუნებას წარმოუდგენლად მიიჩნევდა. მხედველობაში მაქვს მისი გამოსვლა ტელევიზიით 1992 წლის იანვარში, გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ.

შევარდნაძე, რა თქმა უნდა, საქართველოში ჩამოსვლის შესახებ ფიქრიას აზრს არ გაითვალისწინებდა და ჩამოვიდა კიდეც, მაგრამ აქ გასაოცარია თავად ფიქრიას მეტამორფოზა შევარდნაძესთან დამოკიდებულების საკითხში. როგორც ცნობილია, პირველ ხანებში, კრიმინალების ხელში ჩავარდნილი საზოგადოების გარკვეული ნაწილი შევარდნაძეს იმედის თვალით უცქეროდა: ამ კაცმა, მიუხედავად წარსული კომუნისტური ცოდვებისა, მსოფლიო ავტორიტეტი მოიპოვა და იქნებ დადებითი როლი შეასრულოს ამჟამინდელ ვითარებაშიაო. მაგრამ გადიოდა წლები და შევარდნაძის ხელისუფლების პოლიტიკის წყალობით საქართველომ დაკარგა აფხაზეთი და სამაჩაბლო, უაზროდ გაიჟუჟა მშვიდობიანი ქართული მოსახლეობა, სამოქალაქო ომმა ააოხრა დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი, კრიმინალებმა ხელისუფლების ხელშეწყობით შიშის ზარი დასცეს ხალხს. საღად მოაზროვნე პოლიტიკოსებისათვის და არა მარტო მათთვის, ნათელი გახდა, რომ შევარდნაძის ხელისუფლებას არათუ სიკეთე მოაქვს საქართველოსთვის, არამედ საქართველოს უბედურების მიზეზი თავად გახლდა და აი, ამ დროს, ფიქრია ჩიხრაძე, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ: „გარიგებაზე მიდის მისთვის სრულიად მიუღებელ ძალასთან“, სხვა რა უნდა ვიფიქროთ, და შედის შევარდნაძის გუნდში. მის ამ საოცარ ნაბიჯს იმდენად აფასებენ, რომ 1995 წლის საარჩევნო სიაში, მგონი არ ვცდები და მე-7 ნომრად წერენ, იმ ბობოლა „მოქალაქეებზეც“ ბევრად წინ, ვისაც შევარდნაძესთან ერთად ფუთი მარილი უჭამიათ. ყოველივე ამის შემდეგ, არა მგონია, ფიქრიას სხვათა განსჯისა და განკითხვის უფლება ჰქონდეს.

**გია თვალავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ილია ბარამიძე*

# დათვური სიყვარული

*ვუძღვნი „დიდი ძმის" საოკუპაციო ჯარის გენერლებსა და ოფიცრებს*

ვარაიდა, ვარადა,
ჩემი ზღვით და ხმელითა,
დათვმა შემიყვარა და
აღარ მიშვებს ხელიდან.
თუმცა, ჩემი არ ესმის,
თუმცა, მისი არ მესმის,
მგუდავს, მგუდას ალერსით
გილგამეშის ღამეში.
რაშოვრერა, რაშოვდა,
რა ვქნა აღარ ვიცი მე,
ვინც მიყვარდა — გამშორდა,
ეს კი ვერ მოვიცილე.
გაჩენილი სახადად
ტუჩებს მიშვერს ქონიანს,
სახლში შემისახლდა და
თავი ტყეში ჰგონია.
ელესა და მელესა,
ასე იყო ადრეო,
უხმობს ტურა-მელებსაც
ჩემს მამულში სალრეოდ.
გული უძევს კირქვისა,
მოკვდება რომ არ დათვრეს,
ჩემს ბაღ-ბოსტანს ითვისებს,
ათელვინებს სხვა დათვებს.
აბა დელი, დელია,
მკბენარები ვარცხნიან,
გუშინ სისხლი დალია,
ახლაც დრუნჩზე აცხია.
ეს ჩემი ძმის სისხლია.
გაბრუჟული ღვინითა
დავრდომილ და სიცხიან
დედას მიგდებს ბინიდან.
დოუ, დოუ, ნანინა,
უშნო და უტაქტო რამ,
გულს თუ მოაყვანინებ,
ადგება და დაგტორავს.
ბუტიაობს, ყასიდად
იშვერს წასასვლელად პირს,
არაყს რომ ხვრეპს თასიდან,
ხორცს თხოულობს სელაპის.
ლილე, ლილე, ო, ლილე,
ნატრობს დაფნის გვირგვინებს,
ათასჭირგამოვლილებს,
ნათესავებს მიგინებს.
თუმცა, ამათ შორისაც
გამოუჩნდნენ მოძმენი.
უყვარს წუმპე, შმორი და
ცას ვერ იტანს მოწმენდილს.
ოდელია, ოდელა,
მწუხრი შემოპარულა,
ცრემლებს ცერის ოდენას
ბოლმით ვყლაპავ ფარულად.
ჯიში მაქვს ადამის ხნის,
ტაძარ-ხატგამოვლილი.
ალბათ, ღმერთი დამიხსნის,
ლილე, ლილე, ო, ლილე.

# ჩვენი ერთ-ერთი დიდი მტერი

დღევანდელი ქართველობის უბედურების მიზეზთა უმეტესობა რომ თვითონ ჩვენშია მოსაძებნი, ამაზე დღეს ბევრ ქართველს ეხილება თვალი. კერძოდ, ერთ-ერთ ამათგანს წარმოადგენს უაღრესად დაბალი პროფესიონალიზმი, რომელიც ჩვენს შორის ძალიან ხშირია. ამჯერად მხოლოდ ერთ მომენტზე შევჩერდებით.

გამოგიტყდებით, მას შემდეგ, რაც საქართველოს ტელევიზიას ბევრი ახალი „მსოფლიო სტანდარტი" მოეძალა, დიდი სურვილი არა მაქვს მისი ხანგრძლივი დროით ყურებისა. მაგრამ, რასაკვირველია, მაინც მიწევს „ცისფერი ეკრანის" წინაშე ჯდომა. ამ შემთხვევაშიც აშკარად თვალში საცემია სწორედ ზემოაღნიშნული ჩვენეული ეროვნული ნიშან-თვისება. მოვიტანთ ზოგიერთ მაგალითს. ამ რამდენიმე ხნის წინათ დიქტორი ლაპარაკობდა ლიბიელ ტერორისტებზე და შემდგომი გამომსვლელი კი ასეთ კომენტარს გვთავაზობდა: როგორც უკვე მოგახსენებდით, ლიბანელი ტერორისტები და ა. შ. იმავე დღეს დიქტორი ლაპარაკობდა წარმოებასა და... წინადადებაზე! ასე, რომ სახეზე გვაქვს აშკარა სისულელე. მაგრამ ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ აქ მიწოდება უნდა ყოფილიყო ნაგულისხმევი. ვისმენთ ასეთ წინადადებას: ამა და ამ მოვლენას შესაფერისი კლასიფიკაცია მიეცაო, ცხადია, კვალიფიკაციის ნაცვლად. უკანასკნელ ხანს, მოგეხსენებათ, ფრიად გახმაურდა ჩილელი ექსდიქტატორის პინოჩეტის სახელი. კერძოდ მის სახელს კი ჩვენი დიქტორები მოიხსენიებდნენ „ავგუსტინოსა" და „ავგუსტინეს" ფორმით, „აუგუსტოს" ნაცვლად. ამჯერად აღარ გავაგრძელებთ მსგავსი მაგალითების მოტანას. ჩვენ დიქტორები ვახსენეთ, მაგრამ ცხადია, მხოლოდ ისინი როდი არიან დამნაშავენი. და ბოლოს, იმასაც შეგახსენებთ, რომ ზემოაღნიშნული შემთხვევები ეხება საქართველოს ტელევიზიის ორ წამყვან არხს.

რაკი სიტყვამ მოიტანა, შევეხებით ორ კურიოზსაც, რომელსაც ბოლო დროს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს" ფურცლებზე ჰქონდა ადგილი. ერთ-ერთი ჟურნალისტი დიდი რიხით აუწყებდა მკითხველებს, რომ თბილისის ერთ ცნობილ ადგილს ერევნის მოედანი ეწოდა პასკევიჩის მიერ თურქებზე ერევანთან მოპოვებული გამარჯვების გამო და ეს გამოცხადებული იყო ისტორიოგრაფიულ აღმოჩენად. მაგრამ ამის თაობაზე ხომ ისტორიკოსთა მნიშვნელოვანი ნაწილი სტუდენტობის ხანაში გებულობს. ორი პროფესორის სტატიას ეპიგრაფად წამძღვარებული ჰქონდა ვითომდა ვოლტერის სიტყვები იმის თაობაზე, რომ იდეოლოგია რომ არ გვქონოდა, იგი უნდა გამოგვეგონა. მაგრამ, ჯერ ერთი, ტერმინი „იდეოლოგია" გაჩნდა ვოლტერის სიკვდილიდან დაახლოებით ოცდაათი წლის შემდეგ და მეორე, დიდი ფრანგი მოაზროვნე ამ შემთხვევაში ღმერთზე ლაპარაკობდა. და საერთოდ, ამის შესახებ ჯერ კიდევ სასკოლო საისტორიო სახელმძღვანელოდან ვგებულობთ.

ამჯერად ჩვენს სათქმელს ამით დავამთავრებთ და კომენტარებს მკითხველს მივანდობთ.

**გიორგი გვარამაძე**

**ალექსანდრე აბდალაძე**

# პარონ პარუირ, დამიბრუნეთ ჩემი მეცნიერება!

ერევანში გამომავალ სომხურ გაზეთ „ჰზორ ჰაირენიქ"-ში (ქართულად ეს სახელწოდება ასე ითარგმნება — „ძლევამოსილი სამშობლო"; გაზეთი წარმოადგენს „ჰზორ ჰაირენიქს" პარტიის ორგანოს) 1998 წ. 20 აგვისტოს დაიბეჭდა ამჟამინდელ სომხეთში ყველაზე უფრო ცნობილი ქართველოლოგის, პარონ (ბატონ) პარუირ მურადიანის წერილი — „სინდისისა და მოვალეობის გზაჯვარედინზე". დილეტანტობის მომხრე არც მე ვარ და არ ვაპირებ გამოვექომაგო ქართველ დილეტანტებს, რომლებიც წერენ და ბეჭდავენ საქართველო-სომხეთის ურთიერთობების საკითხებზე და რომლებსაც რისხვად ევლინება პ. მურადიანი თავის წერილში (მათი თავდასხმებისგან პ. მურადიანი იცავს ბატონ ზ. ალექსიძესაც, რომელსაც პ. მურადიანისა და მისი სომეხი თუ ქართველი თანამოაზრეებისგან დაცვა არ უნდა ესაჭიროებოდეს). მაგრამ ის კი აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ქართველ დილეტანტებს მურადიანისა და ძმათა მისთა, მისი ამქრის მრავალრიცხოვანმა გამოხდომებმა, მათ მიერ საქართველოს ისტორიის გაყალბებამ აალებინეს ხელში კალამი. ამჯერად არც იმას ვაპირებ, რომ პ. მურადიანის საგაზეთო წერილი მისხალ-მისხალ განვიხილო. ქართველ მკითხველს მობეზრდა ამ სახის პაექრობა (ცოტა რამ უკვე ვთქვი გაზეთ „საქართველოს" № 67-ში დაბეჭდილ ჩემს წერილში — „შუშანიკის წამება" და სომეხთა მეცნიერნი").

პ. მურადიანი არც სამეცნიერო ხარისხების მქონე ქართველ მკვლევარებს ინდობს. ჩემს შესახებ, კერძოდ, ამბობს — ა. აბდალაძემ საქმე, მეცნიერება მიატოვა და რაღაცეებს მიედ-მოედება ნაციონალისტური პოზიციებიდანო. მურადიანი თავისი დუქნიდან გვარიგებს, ჭკუას გვასწავლის, თუ როგორ გავაშუქოთ ქართველმა მკვლევარებმა საქართველო-სომხეთის ურთიერთობის საკითხები. თუ მეცნიერება გინდათ, გეყოფათ, რაც ამდენ ხანს იზეპირეთ ილია ჭავჭავაძის „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი" და ახლა საქმეზე იფიქრეთო. ილიას ამ თხზულებას მეცნიერებისთვის რაიმე სარგებლობის მოტანა რომ შეეძლოს, აზერბაიჯანში პოპულარული ვერ გახდებოდაო. მართალია, ამას პირდაპირ არ ამბობს პ. მურადიანი, მაგრამ მისი წერილის ქვეტექსტებში ეს აზრი აშკარად გამოსჭვივის. ქართველი ერის მამამ, ილია ჭავჭავაძემ შთამომავლობას უანდერძა მრავალტანჯული ქართული მიწის სიყვარული, მისდამი გაფრთხილება. ჩვენც ვერ ვურიგდებით შოთა რუსთაველის მშობლიური კუთხის, ჯავახეთის სომხურ მხარედ გადაქცევას XIX-XX საუკუნეებში რუსეთის იმპერიისა და მისი დასაყრდენი სომეხთა მრავალრიცხოვანი წრეების ანტიქართული საქმიანობის შედეგად და, ბუნებრივია, ქართული ეროვნული იდეოლოგიის ერთ-ერთ თვალსაჩინო საყრდენს, „ქვათა ღაღადსაც" ვერ ვივიწყებთ.

პარონ პარუირ! პირადად მე რაც შემეხება, უნდა განუგეშოთ, რომ სულის ამოხდამდე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ყოველი ღონით ვეცდები, მეცნიერება არ მივატოვო, უსაქმური არ გავხდე. მაგრამ ცოდვა გამხელილი სჯობს და დიდი იმედი არა მაქვს, რომ შევძლებ მეცნიერებაში ნაყოფიერად მუშაობას. ამჟამად ეს ჩემზე აღარაა დამოკიდებული. დღევანდელ საქართველოში ქვეყნის არაეროვნული ხელისუფლება და მისი ტაშისდამკვრელები პატიოსან მეცნიერებს, ხელის შეწყობის მაგიერ, დევნიან, ავიწროებენ. მე 28 წელიწადი ვირიცხებოდი ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტში. მისმა ე. წ. სამეცნიერო საბჭომ მიმდინარე წლის დასაწყისში ამიკრძალა მუშაობა თემაზე: „ჯავახეთი ძვ. წ. II საუკუნიდან დღემდე". არის იმის მონაცემები, რომ ეს თემა ჩამოგდეს არა მარტო საქართველოს, არამედ სომხეთის ხელისუფლების საქმეში ჩარევის შედეგადაც. სომხეთის ხელისუფლებას კი ამგვარ შემთხვევებში კონსულტანტობას თქვენ და თქვენი ამქარი უწევთ.

პარონ პარუირ! თქვენთვის შეიძლება არაა ცნობილი, რომ ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტში ნათლიმამობაა ფეხმოკიდებული. იქ აუცილებლად უნდა იპარპაშონ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლების ოჯახების წევრებმა, ნათესავებმა და მათმა თაყვანისმცემლებმა, ქალბატონებმა და ბატონებმა. მე ზედმეტი ბარგი აღმოვჩნდი ისტორიის ინსტიტუტში და მაიძულეს დამეტოვებინა იგი (ესეც არ მაკმარეს და პრესაში დაბეჭდილი ჩემი წერილების გამო არაერთხელ თბილისის პროკურატურაში დამიბარეს). თქვენ, იქნებ, ეს ამბავი გაგეხარდეთ კიდეც, მაგრამ ზრდილობისთვის შეიძლება მაინც იკითხოთ: რას აკეთებს ისტორიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობა? ისტორიის ინსტიტუტის არაქართული, არაქართული სულისკვეთების ხელმძღვანელობა (ესეც ჩვენი ბედია!) საქართველოს ისტორიისადმი მოჩვენებით ინტერესს შეიძლება იჩენდეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს მხოლოდ მისი პირადი ინტერესებისთვისაა საჭირო. 1970 წლიდან დღემდე რასაც ვუყურებ, ისტორიის ინსტიტუტი იყო და რჩება ძველი და ახალი ცეკას ფილიალად, დანამატად.

პარონ პარუირ! 80-იან წლებში (შეიძლება ზუსტად აღარც მახსოვს და 70-იანი წლების მიწურული იყო) თქვენ ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში მოხსენება წაიკითხეთ და ასეთი რამ განაცხადეთ: ძველი ქართული კულტურა სომხური კულტურის ძლიერი გავლენის შედეგად განვითარდაო. ჩემთვის არც მაშინ და არც დღეს ეს მოსაზრება არაა მისაღები და რომ არავინ შეგეკამათათ, ერთი

*გაგრძელება მე-5 გვ.*

# ღია წერილი კავშირგაბმულობის მინისტრს, ბ-ნ სერგო ესაკიას

ბატონო მინისტრო! წინასწარ ბოდიშს გიხდით შეწუხებისათვის, რადგან ახალ მინისტრს ისედაც თავზესაყრელად გაქვთ გადასაჭრელი და მოსაგვარებელი პრობლემები, მაგრამ, რასაც ქვემოთ მოგახსენებთ, ალბათ, პირველ რიგში მოითხოვს ყურადღებას და გადაწყვეტას.

ახლახანს, ორი კვირა გავატარე ჩემს მშობლიურ სოფელში — ონის რაიონის სოფელ ლაგვანთაში; მოგეხსენებათ, ჯერ თბილისშიაც, თორემ მთის სოფლებში ხომ სინათლე მთლად სანთლით საძებარია და, აქედან გამომდინარე, ინფორმაციის ერთ-ერთ მთავარ წყაროზე — ტელევიზიაზე — ლაპარაკი ზედმეტია; პრესაზე უკვე წარმოდგენაც აღარა აქვთ; ე.წ. „ხაზის რადიოც" დიდი ხანია არქივს ჩაბარდა; ასე რომ, დარჩა გარე სამყაროსთან კავშირის ერთადერთი საშუალება — პორტატიული რადიომიმღებები და, რასაკვირველია, მეც მას მივმართე, მაგრამ ჰოი, საკვირველებავ — ორი კვირის მანძილზე ამაოდ ვცდილობდი, როგორმე დამეჭირა რომელიმე ქართული რადიოსადგურის ხმა.

ბატონო მინისტრო! ჩემს ბავშვობაში ჩვენი უფროსები ფიცის ასეთ უცნაურ (მაგრამ, ალბათ, უძველესს) ფორმას ხმარობდნენ — ჩემს მზეს ვფიცავარო.

მეც ჩემს მზეს ვფიცავარ, რომ ორი კვირის განმავლობაში ვერცერთ ტალღაზე მომუშავე ქართული რადიოსადგურის ხმის დაჭერა ვერ მოვახერხე; სამაგიეროდ კი, რომელიც გნებავთ — ლონდონიდან და პარიზიდან დაწყებული —



პეკინით დამთავრებული, ახლო თუ შორეული საზღვარგარეთის რომელი რადიოსადგური და ენა გნებავთ.

გულის ჯავრს ერევნიდან „სომხეთის ხმის" ქართული გადაცემით ვიოხებდი ხოლმე.

მივიკითხ-მოვიკითხე და ხალხში ასეთი ვერსია აღმოჩნდა გავრცელებული — ქართულ ხმებს განგებ ახშობენო.

ბატონო მინისტრო! რასაკვირველია, მე შორს ვარ ასეთი აზრისაგან, მაგრამ დამეთანხმებით, რომ ასეთი მდგომარეობა მეტად შემაშფოთებელია და ყველა უნდა შეძრას. თუ საქართველოს სხვა კუთხეების მთის სოფლებშიაც ასეთი მდგომარეობაა — არც ტელევიზია, არც გაზეთები, არც ქართული რადიო — ეს ხომ ერის გლობალური დეგენერაციაა — მასობრივი დაყრუება და დამუნჯებაა.

რაღა დარჩა, დარჩა ერთადერთი — ალკოჰოლი და დუდუკი, ძალიან ცუდი გაგებით (თუმცა ვის რა ედუდუკება), რასაც ხალხი ფიზიკურ და მორალურ დეგრადაციამდე მიჰყავს.

ბატონო მინისტრო! ჩემთან ერთად ათასებს აინტერესებს თქვენი პასუხი კითხვაზე — რატომ სდუმან მთებში ქართული რადიოსადგურები და რა კეთდება ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

**ულრმესი პატივისცემით**
**ბიძინა თავაძე**
**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვ. გულისაშვილის სახელობის სამთომეტყევეობის ინსტიტუტის ტყის დაცვის ლაბორატორიის გამგე, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი.**
**საქართველოს ბუნებისა და ისტორიულ ფასეულობათა დაცვის ასოციაცია „ფესვების" პრეზიდენტი.**

# ლარის დაცემა თავიდან ბოლომდე ხელისუფალთა ბრალია

## კომენტარი ე. შევარდნაძის 30 ნოემბრის რადიოინტერვიუზე

### კრიზისის თემა

პრეზიდენტის მსჯელობა ეკონომიკურ კრიზისზე და ლარის ბედზე შეიძლება დახასიათდეს ორი სიტყვით: უსუსურობა და სიცრუე. უსუსურობის მაჩვენებელია ლარის დაცემის დაბრალება გვალვისთვის, რომელმაც მოსავალი დააზიანა და... ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად განკუთვნილი წყალსაცავი დააშრო. კიდევ უფრო დიდი უსუსურობაა პანიკური შიში ელიავას „ამბოხის" გამო (ვისი მოწყობილია იგი, ამაზე რადიომსმენელს თავისი აზრი აქვს) და საკუთარ პერსონაზე თავდასხმის გამო, რაც (უცნაურია) აგრეთვე ჩათვლილია ლარის დღევანდელი დევალვაციის მიზეზად. ცინიკური უსუსურობაა ხელფასთა გადაუხდელობაში მოქალაქეთა დადანაშაულება, რომელთა შემოსავალი ვერ გასწვდება სპეკულანტურ მონოპოლისტურ ფასად ელექტროენერგიის „ვალთა" გასტუმრებას. სიცრუის განზოგადოებული ფორმულირება კი მოცემულია პრეზიდენტის შემდეგ სიტყვებში, რომლითაც იგი თავისსა და თავისი გუნდის უსუსურობას საქართველოს სახელმწიფოს აბრალებს.

**„სამწუხაროდ, დღემდე გადაუჭრელია ის პრობლემები, რომლებმაც თავი იჩინა საგადასახადო სფეროში. უნდა ვაღიაროთ რეალობა: ქართული სახელმწიფო ჯერჯერობით ვერ ასრულებს ამ ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას. ამ ფუნქციის გარეშე კი სახელმწიფო ვერ იარსებებს.**

**ესეც კონცეპტუალური საკითხია."**

გამოდის, რომ გადასახადების ვერგადახდევინება ჩვენი სახელმწიფოს თანდაყოლილი დეფექტი ყოფილა და არა ქურდ-ბაცაცათა ხელისუფლებისა, რომელიც პოტენციური გადამხდელისაგან ქრთამს იღებს მის შემოსავალზე თვალის დახუჭვისათვის, ან უნიჭო პარლამენტისა, რომელსაც გადასახადთა რეალისტური სისტემა ვერ შემოუღია. ჩვეულებისამებრ, პრეზიდენტს თვალი გაურბის რუსეთისკენ და მსმენელს ატყუებს, რუსეთის კრიზისი თუ დაიძლია, ჩვენც გვეშველებაო. არა, ბატონო პრეზიდენტო! რუსეთის, როგორც მსოფლიო აგრესიული ძალის, ეკონომიკურ კრიზისს არასოდეს აღარ ეშველება. ·ეს აგრესიული სუპერძალა ეკონომიკური უფსკრულისკენ მიექანება და თქვენ დანაშაულია, რომ ნებისმიერ ფასად გინდათ საქართველოც მას ზედ მიაბათ. ხაზს ვუსვამთ: კრიზისი ანადგურებს რუსეთს, როგორც აგრესიულ სუპერძალას, და არა რუსეთს, როგორც ქვეყანას და ხალხს. თავისი უზარმაზარი ტერიტორიითა და რესურსებით რუსეთი ადვილად გავა მშვიდობიანი და ნამუსიანი ცხოვრების სივრცეში მაშინვე, როცა აგრესიული კბილები მოსტყდება. მაგრამ საქართველო ვერ გავა, თავისი მცირე მიწითა და მცირე რესურსებით, თუ დღევანდელი წურბელა ხელისუფალნი დროზე არ მოიშორა!

### სავალუტო ფონდის თემა

პრეზიდენტი, ფაქტობრივად, აღიარებს, რომ სავალუტო ფონდის მითითება მისთვის და მისი ადმინისტრაციისათვის კანონია. რატომ? იმიტომ, რომ მათ უკვე გაქურდეს საქართველო ისე, რომ ამ უცხო დახმარებაზე დამოკიდებულნი ვართ, მაგრამ მთავარი ეს არაა. მთავარია კითხვა: რა განაპირობებს



სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის წყალობას თუ უწყალობას ჩვენი ქვეყნის მიმართ? პრეზიდენტის სამაგალითო ყოფა-ქცევა „რეფორმების" დარგში? ნურას უკაცრავად, ეს ბავშვური ზღაპარი მხოლოდ ვილაცის წინ „სმენაზე" დგომას დაჩვეულ ყოფილ კომკავშირელ ლიდერს თუ შეუძლია. მას განაპირობებს საქართველოს პოზიცია საერთაშორისო ასპარეზზე. მანამ, სანამ საქართველო „ქსენგესა" და რუსეთის სამხედრო სივრცეშია (მისი ბაზები ხომ ჩვენგან არ წასულა), იგი განიხილება როგორც რუსეთის სამხედრო მაჩანჩალა და არა როგორც ნეიტრალური, ან მით უმეტეს, მოკავშირე ქვეყანა. ვინ მოგვაშავებს ასეთ ქვეყანას რეალურ დახმარებას? ვინ დაუშვებს ჩვენი ეკონომიკის დამოუკიდებელ გაცოცხლება-განვითარებას? არავინ და ვერავინ. ხოლო სანამ ჩვენი საჭე იმავე კოლაბორაციონისტულ მაფიას უპყრია, რაც დღეს არის, ჩვენ ამ მაჩანჩალას როლს ვერ გავცილდებით.

პრეზიდენტს არ ჰსურს დაინახოს ეს ნათელზე ნათელი ფაქტი. მან დასავლეთთან კეთილი ურთიერთობის დამყარების მხოლოდ ერთი საშუალება იცის — საქართველოს სიმდიდრის უსაზღვრო და თითქმის უფასო „გადაპრივატება" უცხოელებზე და მათთან დაკავშირებულ ჩვენს მოქალაქეებზე, რომელიც სახელმწიფოს არაფერს აძლევს. ეს არ არის მოკავშირეობის გზა. ეს სამსახურის გზაა, ისიც — სრულებით არაკვალიფიციური, უპერსპექტივო და ძალიან მცირე რესურსების მქონე გზა. ჩვენი დასავლეთთან ურთიერთობის რეალური გზა მხოლოდ წინდახედული და ფრთხილი, მაგრამ საიმედო მოკავშირეობის გზაა იმ ღირებულებების დაცვაში და გლობალური პოლიტიკის იმ ხაზების დაცვაში, რომელიც, საბედნიეროდ, ჩვენს ორივეს ინტერესებს შეესაბამება. მაგრამ ეს ხაზი, ცხადია, მიუწვდომელია და გაუგებარია იმისთვის, ვინც საქართველოს შინაგანი კონფლიქტების მოგვარების გასაღებს მოსკოვში ეძებს.

### იმედის და უიმედობის თემა

პრეზიდენტის განცხადებები საქართველოს ობიექტურად კრიტიკული მდგომარეობის შესახებ, რა თქმა უნდა, მართალი არ არის. დღევანდელ დანგრეულ პირობებშიც კი საქართველოში საგადასახადო ბაზა (რისი ამოღება შეგვიძლია), სულ ცოტა, სამჯერ უფრო ფართოა, ვიდრე დაგეგმილი საბიუჯეტო შემოსავალია, და მისგან ორი ბიუჯეტისოდენა შემოსავლის მიღება ოდნავ პატიოსანი ხელისუფლების აპარატისათვის პრობლემას არ წარმოადგენს. პრეზიდენტი დეზინფორმირებას ეწევა მოსახლეობისას, როცა ამბობს, რომ გასატანი ნედლეული არა გვაქვს (ეს — იმ ბაზის გარეთ) და ათმაგ დეზინფორმაციას ეწევა, როცა ჩვენს გაჭირვებას ჩვენს საგადამხდელო უკულტურობას აბრალებს. მაგრამ განსაკუთრებით შემაშფოთებელია მისი კილო, როცა იგი — ათასი ტყუილის ფონზე — თავის გამოსვლაში შეურევს აქა-იქ პათეტიურ განცხადებებს, ტყუილად ჰგონია მავანს და მავანს, რომ ჩვენ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა არ შეგვიძლიაო. ვინ, როდის გამოთქვა ასეთი აზრი? პანტელეიმონ გიორგაძემ, გოგუაძემ და კვარაცხელიამ, რომელნიც სერიოზულ თემებზე მსჯელობაში გასათვალისწინებელნი არ არიან? არცერთი ჩახედული ადამიანი ამ ანაქრონისტულ კითხვას დღეს არ სვამს და ვერ დასვამს. მისი „ამოტივტივება" პრეზიდენტის მიერ მხოლოდ ამ ყალბი კითხვის რეკლამირების მცდელობას ჰგავს.

**შემატკივარი**

## ხმა ხალხიდან

# „მან კონსტანტინე გამსახურდია „გაასომხა", თქვენ კი „ცრუპენტელად" აქციეთ და ზვიადიც ლაფში ამოსვარეთ"...

*მესამე გვერდიდან*

თარებაში ამა თუ იმ ეტაპის ამოგდებას და უგულებელყოფას, როგორი მძიმეც უნდა იყოს და რა შეცდომებითაც უნდა ხასიათდებოდეს. მე დღეს არ შემიძლია არ ვთქვა, რომ ქართველი ხალხის ამ დიდი ზეიმის, რომელიც ისტორიაში შევა, როგორც ოქროს ფურცელი, ერთ-ერთი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო ქვეყნის მაშინდელი ხელმძღვანელი ზვიად გამსახურდია. არ არის ლაპარაკი იმაზე, თუ ვინ რა შეცდომა დაუშვა. ეს სხვა დროს გაირჩევა, ყველაფრის დრო მოვა".

ჭეშმარიტად! ყველაფრის დრო მოვა. იმედია, მალე გაირჩევა მტყუან-მართალი და საეჭვოა ჭანტურიშვილების და მის მსგავსთა სასარგებლოდ რაიმე გადაწყდეს. ისიც არ დაივიწყონ, რომ რაც ეპატიება კეისარს, არ ეპატიებათ მის მსახურთ".

ისინი, თუმცა თავს „პატრიოტებად" ასაღებენ (გაიხსენეთ სატანების ანგელოზებად მოვლინების ბიბლიური წინასწარმეტყველება), მაგრამ სიმართლე, ადრე თუ გვიან, ითქმება. ფაქტიურად, ის უკვე თქვა ე. შევარდნაძემ, როდესაც ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე დასმულ კითხვას — თუ როდის მიეცემოდა შეფასება 1991-92 წლების მოვლენებს — უპასუხა, აქ აჩქარება არ ივარგებს, რადგან იმ მოვლენების მონაწილენი დღეს სახელმწიფო სტრუქტურებში არიან დასაქმებულნი და ეს კარგ შედეგებს არ მოგვიტანსო?!!

მგონი, ყველაფერი უკვე ნათქვამია და შეფასებაც ლამის ცალსახად მოცემულია: ადგილი ჰქონდა არასასურველ, გაუმართლებელ და უკანონო მოვლენებსო (სხვანაირად რატომ არ უნდა მოიტანოს კარგი შედეგები ამ მოვლენების შეფასებამ?).

თუ შევარდნაძისაგან ასეთი შეფასება მიეცა იმ მოვლენებს, ძნელი მისახვედრი არაა, რა შეფასებას მისცემს მას მომავალი თაობა — გაცილებით ობიექტური მსაჯული განვლილი გზისა. აქედან გამომდინარე, ჭანტურიშვილის „ნაშრომთა" ადგილიც, არაა ძნელი პროგნოზირება, სად იქნება — მაკულატურაში!

ზემოთ ვახსენე „მსგავსი გადაცდენები". იქ შემდეგს ვგულისხმობდი, თუ მავანნი ამტკიცებენ, რომ გამსახურდიას ე. წ. „ყბადაღებულ მონანიებას" (ყბა მასზე მის მოქალიკეებსა და მტრებს აქვთ დაღებული) არავითარი — არც ტაქტიკური და არც მორალური გამართლება არა აქვს, გაიხედონ მეორე მხარეს: არავისთვის საიდუმლო არაა, რომ ჭანტურიშვილის დღევანდელი კუმირი ე. შევარდნაძე (მედროვეებს ყველა დროში სხვადასხვა კუმირი ჰყავთ) დასაწყისში ყოველნაირად გმობდა (პრესითაც და ტელევიზიითაც) და მიუღებელს უწოდებდა საქართველოს დსთ-ში გაწევრიანებას, მაგრამ ერთ დღეს, სრულიად მოულოდნელად, ჯერ მაშინდელი თავისი თანამოსანგრისა და მეგობრის — ვ. გოგუაძის პირით — განაცხადა, რომ საქართველოს შესვლა დსთ-ში აუცილებელი და მიზანშეწონილიაო (?!) და რამდენიმე დღეში, ყოველგვარი ზედმეტი განმარტების გარეშე, ნათქვამი სისრულეში მოიყვანეს და დღესაც ჩვენი ქვეყანა დსთ-ს წევრია.

არ ვიცი, ვინ რა იფიქრა ამ ფაქტის შესახებ. მე მეჩვენება, რომ ამ ფაქტს იმ მომენტში ჰქონდა ტაქტიკური მანევრის ხასიათი, ჩიხში შესული საქმის წალმა შემოტრიალებისათვის დროის მოგების მიზნით. ეს იყო არასასურველი, მაგრამ ამასთან აუცილებელი, იძულებითი ტაქტიკური სვლა ბ-ნ ე. შევარდნაძის მხრიდან. ე. ი. მას ჰქონდა გარკვეული გამართლება იმ დროისთვის.

შეკითხვა ჭანტურიშვილსა და მის მსგავსთ: თუ ერთი მხარის მიერ დაშვებულ არასასურველ და ალოგიკურ მოვლენას შეიძლება მოუძებნო გამართლება, მაშ რატომაა იგივე შეუძლებელი გამსახურდიას მონანიების მიმართ?

რატომ არ შეიძლება, რომ მასაც ეს მანევრი კომუნისტებისთვის თვალის ასახვევად და საქმის გადასარჩენად დასჭირვებოდა? იმიტომ ხომ არა, რომ გამსახურდიასადმი პათოლოგიური შიში (დღესაც კი) და სიძულვილი გიბრმავებთ გონებას?

ჩაძიებიხართ და მიკროსკოპის ქვეშ იხილავთ მის ყოველ სიტყვას და ნამდვილი მექოთნეებივით იქცევით, რომელიც ქოთანს ყურს იმ მხარეს შეაბამს, საითაც მოისურვებს — ისეთ ინტერპრეტირებას უკეთებთ მის ყოველ ნათქვამს, როგორც გაწყობთ და მოგეხასიათებათ(?!). უცერემონიოდ შეურაცხყოფთ არა მარტო ზვიად გამსახურდიას, არამედ მის ოჯახსაც, თითქოს „დიდი" ხალხს კონსტანტინესათვის კი არა, ვინმე ჭანტურიშვილისათვის ეწოდებინოს(?!).

მაგრამ, როგორც ჩანს, სხვა ავტორიტეტი დღესდღეობით თქვენთვის, გარდა თქვენი დღევანდელი პატრონისა, არ არსებობს. ამიტომაც კადნიერდებით ასე და ამტკიცებთ, რომ „...ზ. გამსახურდიას მისი მშობლები დედის რძესთან ერთად ტყუილის თქმას ასწავლიდნენ"... გეტყობათ — აშკარად განათლების (თუ გაუნათლებლობის) ყოფილი მინისტრის თ. კვაჭანტირაძის ბანაკიდან ბრძანდებით — ერთნაირი აზრები გაქვთ: მან კონსტანტინე გამსახურდია „გაასომხა". თქვენ კი „ცრუპენტელად" აქციეთ. აფერუმ, თქვენს განსწავლულობასა და ქართველობას! მაინც, საიდან დაემსგავსეთ ასე ერთიმეორეს —



მრწამსით, აზრებით, და გვარსახელითაც კი.

საინტერესოა — ეს ყოველივე კანონზომიერებაა თუ შემთხვევითობა?

ერთი რამ აშკარაა — თქვენ ასრულებთ დაკვეთას, ან თუ ის არ არსებობს — ცდილობთ დაიმსახუროთ თქვენი პატრონის წინაშე. კარგად იცით, რომ თუმც არ მოგწონთ, მაგრამ ქართველი, უბრალო, პატიოსანი და პატრიოტი ადამიანების ძირითად და უმეტეს ნაწილს ზვიად გამსახურდია გაიგივებული ჰყავთ ეროვნულ მოძრაობასთან. თქვენ თითქოს ებრძვით და შეურაცხყოფთ გამსახურდიას, მაგრამ თქვენი მიზანი უფრო ვერაგულია: თქვენ ცდილობთ ეროვნული მოძრაობის დასამარებას. შესანიშნავად ესმის თქვენს დამკვეთს, რომ თქვენზე კარგად ამას სხვა ვერ შეძლებს, რადგან თქვენ ყოფილი დისიდენტის „რეპუტაცია" გაქვთ და მეტი „დაგეჯერებათ". მაგრამ დაგეჯერებათ კი?

ის, რასაც თქვენ აკეთებთ, არის ღალატის კლასიკური ფორმა. და თქვენ ღალატობთ და ტალახში სვრით არა ერთ პიროვნებას, როგორც ცდილობთ ეს ხალხს მოაჩვენოთ, არამედ ეროვნულ მოძრაობას მთლიანად. მაგრამ არაფერი გამოგივათ — უარეს შემთხვევაში თქვენ შეძლებთ მის მხოლოდ დროებით დამუხრუჭებას (ჩათვალეთ, რომ მიზანი მიღწეული გაქვთ) ეროვნული მოძრაობა ყოველთვის იარსებებს იმ ხალხის ჯიბრზე, რომლებიც პირადული ინტერესების გამო დაუფიქრებლად სწირავენ ეროვნულ ინტერესებს და რომელთა ტიპიურ წარმომადგენლადაც მესახებით თქვენ — თეიმურაზ ჭანტურიშვილი, რომელსაც არ ვიცნობ, მას ჩემთვის არაფერი დაუშავებია პიროვნულად, მაგრამ მისი წერილი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში", როგორც ქართველმა, პირად შეურაცხყოფად აღვიქვი და საჭიროდ ჩავთვალე მეპასუხა.

**ნუგზარ თავაძე**

## ალექსანდრე აბდალაძე

# პარონ პარუირ, დამიბრუნეთ ჩემი მეცნიერება!

*მესამე გვერდიდან*

შეკითხვა დაგისვით იმ იმედით, რომ იქნებ ამის შემდეგ მაინც გასჩენოდათ დამსწრე ქართველ, ტიტულოვან მეცნიერებს კამათის სურვილი. არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა. სხდომის თავმჯდომარე აკადემიკოსმა სასწრაფოდ შეწყვიტა ამ საკითხზე მსჯელობა და სიტყვა მომდევნო, უწყინარ მომხსენებელს გადასცა. სამაგიეროდ, მე შავი დღე მაყარეს, როგორ გაბედე ასეთი შეკითხვის წამოყრანტალებაო. არ იცი, რომ პ. მურადიანთან კამათი არ ღირსო? ამ შემთხვევის გამო საყვედურებს მრავალი წლის განმავლობაში მეუბნებოდნენ. მე კი დღემდე არ მესმის (ახლაც ხომ ახალგაზრდა, გამოუცდელი აღარა ვარ), რა ვთქვი მაშინ ასეთი მკრეხელური. ანდა, რატომ არ ღირს სომხეთის უპირველეს ქართველოლოგთან კამათი? რაც არ უნდა აკვიატებულად მოგვეჩვენოს მისი შეხედულებები ქართული კულტურის საკითხების შესახებ, მათი უპასუხოდ დატოვება რა სიკეთეს მოგვიტანს. სომეხთა გარკვეულ, მრავალრიცხოვან წრეებში ისედაც ფესვგადგმულია რწმენა, რომ ისტორიულად საქართველო სომხეთის ნაწილი იყო, ქართული კულტურა სომხური კულტურის ნაირსახეობაა, იგი ძირითადად სომხური წარმოშობის ადამიანების მიერაა შექმნილი (რუსთაველსაც კი სომხად მიიჩნევენ) და თუ პ. მურადიანი შეეცდება ეს რწმენა მეცნიერების სახელითაც გაამაგროს, განამტკიცოს, ჩვენ არ უნდა ვიკადროთ მასთან შეკამათება? მე მაინც მგონია, ხსენებული შემთხვევის გამო დატუქსვა იმიტომ დავიმსახურე, რომ ზოგიერთ ქართველ ტიტულოვან მეცნიერს არ აწყობდა პ. მურადიანთან კამათი, ეშინოდა, მისი უსუსურობა არ გამომჟღავნებულიყო. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ქართველ მეცნიერთა, ისტორიკოსთა ერთი ნაწილისთვის მაშინაც და, მით უმეტეს, დღეს სამეცნიერო კი არა, პირადი ინტერესებია მთავარი.

პარონ პარუირ! შეიძლება მითხრათ, რას ჩააცივდი ამ ისტორიის ინსტიტუტს, თბილისის სხვა ინსტიტუტს, სამეცნიერო ან სასწავლო დაწესებულებასაც ხომ შეიძლება შეეხიზნოო. თუ მურადიანების წინაპრები საუკუნეთა განმავლობაში პოულობდნენ თავშესაფარს საქართველოში, კერძოდ თბილისში, ერთი აბდალაძის გახიზვნა თბილისის რომელიმე კვლევით ინსტიტუტში ან უმაღლეს სასწავლებელში რა ასეთი ვაი-უშველებელი გახდაო. საქმე ისაა, რომ დღეს საქართველოში მეცნიერთა (ისევე, როგორც საერთოდ ქართველების) უმრავლესობა შიმშილობს. აღარავის აღარ უნდა კიდევ ერთი მშიერი მეცნიერის მიმატება, მით უმეტეს, ისეთის, რომელსაც შეიძლება ხანდახან მწარე სიმართლე წამოცდეს. დრონი იცვლებიან. დღევანდელი ქართველები აღარ გვანან მამულისთვის შეწირულ წინაპრებს, მეტისმეტად მოგვიმრავლდნენ მედროვეები, რომელთაც საქვეყნო საქმე დიდად არ ანაღვლებთ. პარონ პარუირ! სომხეთის მეცნიერებათა აკადემიას თქვენ ეროვნული აკადემია უწოდეთ. ჩვენთვის ეს აუხდენელი ოცნებაა საქართველოში მოკალათებული ვაი-ინტერნაციონალისტების წყალობით.

პარონ პარუირ! თქვენ და თქვენს თანამებრძოლებს რა გენაღვლებათ! თუ გამოაცხობთ წიგნებს იმის შესახებ, რომ საქართველო ისტორიულად, თითქოს, სომხეთის ნაწილს წარმოადგენდა, რომ სპერი, ტაო-კლარჯეთი, კოლა-არტაანი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი (მტკვრამდე), ჭიზიყი და სხვაც, თითქოს, სომხური მიწა-წყალია, თბილისი დაარსებიდან 1917 წლამდე ყოველთვის თითქოს სომხური ქალაქი იყო (გაქალაქებამდე თბილისის ტერიტორია თურმე სომხეთის საზღვრებში შედიოდა), ბაგრატიონები, ვითომც, სომხებია, ქართული დამწერლობა, ვითომც, სომეხი მესროპ-მაშტოცის მიერაა შექმნილი და ა. შ. და ა. შ. (უსასრულოდ გრძელია თქვენი ამგვარი ნუსხა), მდიდარ სომეხთა შორის მეცენატები, მფარველები გამოგიჩნდებიან (სომხური ეკლესიის სახითაც) და თქვენს წიგნებს დაუსტამბავს არ დატოვებენ. ჩვენ, მშიერმა ქართველმა მეცნიერებმა რა ვქნათ? უკანასკნელი ძალების მოკრებით კიდეც რომ შევძლოთ დავამტკიცოთ, რომ სომხეთი ისტორიულად საქართველოს ნაწილს წარმოადგენდა, რომ უფრო საფუძვლიანია ვილაპარაკოთ დიდი საქართველოს და არა დიდი სომხეთის შესახებ, რომ საქართველოს დიდი წვლილი მიუძღვის სომხეთის გადარჩენის საქმეში, ისიც რომ ვამტკიცოთ, საქართველოს ისტორიის ოქროს ხანაში რუსეთის დიდი ნაწილიც საქართველოს გავლენის ქვეშ მოექცაო, სულ ერთია, დღეს პატიოსანი ქართველი მეცნიერისთვის წიგნის გამოცემა შეუძლებელია.

პარონ პარუირ! თუ თქვენ მართლაც გული შეგტკივათ ჩემზე და გულწრფელად ხართ შეწუხებული იმის გამო, რომ მე დღეს მეცნიერებაში ნაყოფიერად ველარ ვმუშაობ (ყოველ შემთხვევაში, ნამდვილად შემიძლია გაცილებით მეტის გაკეთება, დღევანდელ საქართველოს რომ ჭეშმარიტი პატრონი ჰყავდეს და წელიწადში ერთი-ორი ახალი წიგნის შოვნისა და წაკითხვის შესაძლებლობაც მქონდეს), კეთილი ინებეთ და, სომხურ პრესაში ჩემი ლანძღვის მაგიერ, იზრუნეთ იმისათვის, რომ უკეთ შევძლო ჩემი ძალ-ღონის, შესაძლებლობების გამომზეურება სამეცნიერო ასპარეზზე. თქვენ მაინც დამიბრუნეთ ჩემი მეცნიერება! ოღონდ ეს არ უნდა მოხდეს ქრთამის შემოთავაზებით, ჩემი გადაბირების, თქვენს სამსახურში ჩაყენების მიზნით. მე არასოდეს არ მიფიქრია ქრთამზე. სამშობლოს ვერ გავყიდი ნასუფრალის სანაცვლოდ! ილია ჭავჭავაძის ნათელ ხსოვნას ვერ მივაყენებ ჩრდილს თქვენი აზრების გაზიარებით! თუ ამის გამო გამომაცხადეთ ნაციონალისტად, რა გაეწყობა, მე პოზიციას ვერ შევიცვლი. ისე კი, ჩემი ღრმა რწმენით, თქვენი საქმიანობა ჯერ კიდევ მანამდე იყო ნაციონალისტური ხასიათისა (ეს ჩანს 60-70-იან წლებში თქვენი მისამართით დაწერილ ცნობილ ქართველ მეცნიერთა საპასუხო წერილებში), სანამ მე უნივერსიტეტს დავამთავრებდი და გადავწყვეტდი საქართველო-სომხეთის ურთიერთობების მკვლევარი გავმხდარიყავი. ჩემი ამგვარი გადაწყვეტილება, მნიშვნელოვანწილად, თქვენი ნაშრომების გაცნობამ განაპირობა. ასე რომ, თქვენ ჩემი მასწავლებელიც ბრძანდებით. პარონ პარუირ! თქვენ კარგად იცნობთ ქართულ მწერლობას და მოგეხსენებათ, რომ ჩვენი კლასიკოსები მასწავლებელს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდნენ მოწაფის საქციელის გამო!

## ხმა ხალხიდან

# გაზეთ „საქართველოს" რედაქტორს, ბ-ნ სერგო ჯანაშიას

ბატონო სერგო! ვკითხულობთ თქვენს გაზეთს და თქვენს წერილებს, ისეთ რედაქტორებსაც ვიცნობთ, რომლებიც ასე კარგად ვერ ერკვევიან რუსისტულ, სტალინისტურ მოვლენებში. ამ წერილით გვინდა მადლობა გითხრათ თქვენი საინტერესო, შინაარსიანი გაზეთისათვის.

ამ ბოლო ხანს ჩვენი ყურადღება მიიპყრო ვახტანგ ნადირაშვილის პუბლიკაციამ „თურქ-სელჩუკ-ოღუზები და საქართველო" და შოთა და ოთარ თეთვაძეების წერილებმა „სომხები საქართველოში".

წერილებში მოყვანილმა ფაქტებმა კიდევ უფრო გააღრმავა ის ტკივილი, რომ ქართველთა ეროვნული ცნობიერება დაეცა მონღოლთა შემოსევის დროიდან (XIII ს.). საუკუნეების განმავლობაში მიდიოდა დაუნდობელი ბრძოლა ქართველთა გამუსლიმანებისათვის, ტერიტორიების წაგლეჯისათვის თურქ-ოსმალთა მიერ და სხვა გადამთიელთაგან. ეროვნული ცნობიერების გადაგვარების პროცესი კიდევ მეტად დააჩქარა რუსის იმპერიამ.



არც დღევანდელი ეროვნული მეობა და ცნობიერება დგას საჭირო დონეზე ისე, როგორც თავის მეობას, ეროვნულობას და სახელმწიფოებრიობას ინარჩუნებენ სხვა ერები. ქართველი თავის მიწაზე ინახავს უცხო ტომს, რომელსაც უნარჩუნებს საკუთარ ენას, ეროვნულობას, სარწმუნოებას, აძლევს კულტურულ ავტონომიას... უცხო ტომის მოდგმა კი დღესაც ცდილობს ქართველთა გაულეტას და მის ასიმილაციას (მაგალითი ხომ თვალწინაა — შიდა ქართლი და აფხაზეთი).

გონებიდან არ გამოგვდის სომეხ დაშნაკთა (იგივე სეპარატისტთა), აზერბაიჯანელ კომუნისტ მუსავატისტ მაუზერისტებისაგან (როგორც ავტორი უწოდებს მათ) ჩადენილი დანაშაული ქართველი ერის მიმართ.

აღმაშფოთებელია ის ფაქტიც, რომ ყველგან, ყველა სხვა რესპუბლიკებში, თურქმენ მომთაბარე ტომებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მიაკუთვნეს ეროვნება. უზბეკეთში მცხოვრებ თურქმენებს უზბეკი უწოდეს, ირანში მცხოვრებთ — ირანელი და ა.შ. მხოლოდ გამონაკლისი აღმოჩნდა ქართველის დეგრადირებული ეროვნული ცნობიერება და არ უწოდა მათ გურჯები ანუ ქართველები და არ გააქართველა. კიდევ უარესი — აზერბაიჯანის რესპუბლიკის ინიციატივით, საბჭოთა მთავრობამ საქართველოს თურქმენ მოსახლეობას ეროვნება შეუცვალა და აზერბაიჯანელი უწოდა — ეს ფაქტი კი კარგად გამოიყენეს აზერბაიჯანელმა ისტორიკოსებმა, რაკი საქართველოში მცხოვრები თურქმენები აზერბაიჯანელები გახადეს და არა გურჯისტანელები და ქვემო ქართლიც აზერბაიჯანის ისტორიულ ტერიტორიად ჩათვალეს.

საჭიროა ეროვნული ცნობიერების გარდაქმნა ისე, როგორც ეს სხვა ერებს აქვთ მომარჯვებული (მახვილივით), რაც მხოლოდ აღზრდით მიიღწევა და სახელმწიფოებრივი ძალისხმევა სჭირდება.

დამაფიქრებელია სიტყვები, რომელიც გურამ ფანჯიკიძეს ეკუთვნის: „ქართველებს რომ ერთმანეთი სძულთ, ასე რომ მტერი სძულდეთ, საქმე სხვაგვარად წავიდოდაო".

გავრცელებულია აზრი, რომ ქართული მიწები ანტიქართველმა ორჯონიკიძემ გააჩუქაო. კაცს, რომელმაც 1924 წელს მთელი საქართველო სისხლში ჩაახშო, კორნელი კეკელიძისა და ვაჟა ფშაველას შვილებიც კი მიახვრიტა, საბჭოთა საქართველომ 100 წლის იუბილე გადაუხადა. მან ჩამოაშორა საქართველოს საინგილო, ლორე და სხვა., იმ პერიოდში მასთან შესულან ქართველი საზოგადო მოღვაწენი თხოვნით, რომ არ ჩამოეცილებინა ქვეყნისათვის ქართული ტერიტორიები. მას უპასუხნია: „თუ ამ საკითხზე მეორედ შემოხვალთ, თქვენი ძველი საქართველოს საზღვრებს თბილისში, შეითან ბაზართან (ორთაჭალა) გადმოვიტანო".

გვაინტერესებს, ბატონმა ვახტანგ ნადირაშვილმა იქნებ აღწეროს როდის და როგორ მოექცა საინგილო აზერბაიჯანის ტერიტორიის ფარგლებში.

დღეს, როგორც არასდროს, საჭიროა აღზრდა, აგიტაცია-პროპაგანდა იმის შესახებ, რომ მხოლოდ ეროვნულ ძალთა გაერთიანებას შეუძლია საქართველოს გადარჩენა.

ჩვენი დღევანდელი უბედურება შიდა განხეთქილების, ეროვნულ-პატრიოტული ცნობიერების დაბალი დონის ბრალია.

ისტორიიდან ასეთი მაგალითია ცნობილი: გარნისის ომში, ჯალალედინის წინააღმდეგ ბრძოლის დროს, მხარგრძელსა და შალვა ახალციხელს შორის იყო განხეთქილება. კრიტიკულ სიტუაციაში მათ ვერ დაივიწყეს პირადი შუღლი, რომ მტერი ერთობლივად გაენადგურებინათ, მითუმეტეს, რომ ჯალალედინი ვერ ბედავდა შერკინებას, უკან გაბრუნებას აპირებდა. სამშობლოს ასეთი ღალატი, სამწუხაროდ, განმეორდა აფხაზეთის ომშიც. კიდევ უარესი იყო საბჭოთა პერიოდი. ეროვნული ცნობიერება თითქმის აღარ არსებობდა, რევოლუციის სახელით (1921 წლიდან) ხალხის მტრის დევიზით, იწყება უდანაშაულო ადამიანების დახვრეტა სოღანლუღში, ვაკის პარკში და ამჟამად არსებული ფიზკულტურის ინსტიტუტის შენობა ადამიანების ძვლებზეა აგებული. უფრო მეტად სამარცხვინო ისაა, რომ იმპერიიდან და მისი სხვადასხვა რესპუბლიკებიდან საბჭოთა საქართველოს მთავრობა იწვევდა ჯალათებს საკუთარი ხალხის დასახოცად.

წერილი გვინდა დავასრულოთ ჩინელი ფილოსოფოსის, ლაოძის სიტყვებით:

„ერთიანობამ მიუბოძა ცას
სიწმინდე,
ერთიანობამ მიუბოძა მიწას
სიმშვიდე,
ერთიანობამ მიუბოძა სულს
სითბო,
ერთიანობამ მიუბოძა ტბას
სისავსე
ერთიანობამ მიუბოძა ყოველ
არსს სიცოცხლე".

**ციალა ბრეგვაძე**
**ეთერ ჯანაშია**

## რეპლიკა

# სომხეთის მთიანეთი, ანუ სომხეთი?!

სასკოლო სახელმძღვანელო „სომეხი ხალხის ისტორია" გამოცემულია ერევანში, 1985 წ. (რუსული თარგმანი). წიგნის რედაქტორია ვ. ა. ფარსამიანი, ავტორები არიან სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები ბ. ნ. არაქელიანი., ც. პ. აღაიანი და ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვ. ა. ფარსამიანი.

წიგნი თარგმნილია სომხურ ენაზე დაწერილი შესაბამისი სახელმძღვანელოდან, რომელიც გამოქვეყნდა 1981 წელს.

ჩვენ ამჯერად ვეხებით არა მთლიანად სახელმძღვანელოს, არამედ მის ნაწილს, ფორზაცის სახით მოცემულ სქემატურ რუკას, რომელზედაც გამოსახულია ამიერკავკასიის ყოფილი სამი საბჭოთა რესპუბლიკა. რუკა არაა ფიზიკური, მაგრამ, რატომღაც მას „სომხეთის მთიანეთი" ეწოდება. ეს მთიანეთი გამოსახულია მეტად მკრთალი, ძლივს შესამჩნევი ყვითელი ფერით. კარტოგრაფია პ. კ. პოღოსიანი.



ხსენებულ რუკაზე „სომხეთის მთიანეთი"-ს (იგივე სამხრეთ კავკასიის მთიანეთის, იგივე წინა აზიის მთიანეთის) ძალზე წვრილი შრიფტით აქვს ასეთი წარწერა, სქოლიოში. „სომხეთის მთიანეთი" მოტანილია „მსოფლიოს ფიზიკურ-გეოგრაფიული ატლასის მიხედვით, მოსკოვი, 1964 წ."

მისი ექვივალენტური "Атлас Грузинской ССР" Тбилиси - Москва, 1964, გვ. 16, სადაც სახელწოდება სომხეთის მთიანეთის ნაცვლად იხმარება „სამხრეთ კავკასიის მთიანეთი". კერძოდ, იქ ნათქვამია: "Южно-Грузинское вулканическое нагорье является частью Южнокавказского нагорья"; „უპრიანია მას ეწოდოს არა სომხეთის, არამედ, ამიერკავკასიის ზეგანი" (ლ. მარუაშვილი, კავკასიის ფიზიკური გეოგრაფია III, თბ., 1986).

კარტოგრაფი ვალდებულია სასკოლო სახელმძღვანელოში ხაზი გაუსვას იმ გარემოებას, რომ ეგრეთწოდებული „სომხეთის მთიანეთი" იგივე სამხრეთკავკასიის მთიანეთია, ან იგივე წინააზიის მთიანეთია, რომ არ დავაბნიოთ მოსწავლეები, მათი მასწავლებლები და მკითხველი საზოგადოებრიობა.

სახელმძღვანელო იწყება ისტორიული სომხეთის ფიზიკურ-გეოგრაფიული მიმოხილვით (აკადემიკოსი ბ. ნ. არაქელიანი), სათაურით „სომხეთის მთიანეთი". აუცილებლად მიგვაჩნია, ავტორს ხაზგასმით უნდა აღენიშნა, რომ სახელწოდება „სომხეთის მთიანეთი" ახალია და ეკუთვნის გერმანელ გეოლოგს გ. აბიხს (1806-1886 წწ) (იხ. ა. ოსკანიანი, სომხეთის მთიანეთი, ერევანი, 1976. გვ. 5. სომხურ ენაზე). აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ სახელწოდება „სომხეთის მთიანეთი" ვერ ასახავს ამ მთიანი მხარის ძველ (ურარტულ, ხურიტულ, წინარე ქართველურ, უსასქურ) და ახლანდელ მკვიდრებს.

„სომხეთის მთიანეთის" სახელწოდების უხერხულობას გრძნობდა ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე ბ. ბ. პიოტროვსკი, რომელიც წერდა: "Ванское царство (ლაპარაკია ურარტუს სამეფოზე) занимало высокий горный масив Передней Азии, так называемое Армянское нагорье... находящееся между двумя другими нагорьями, Анатолиским и "Иранским" (Б. Б. Пиотровский, Ванское царство (Урарту, 1959, გვ. 131). ზემოაღნიშნულ სახელმძღვანელოში (გვ. 5) ნათქვამია „სომხეთის მთიანეთი ანუ სომხეთი", რა არის ეს?!

თუ საგნის მასწავლებელი, მისი მოსწავლე და საზოგადოდ, მკითხველი დაუჯერებს ასეთ უპასუხისმგებლო განცხადებას, მაშინ ისინი ყოველგვარი ყოყმანის გარეშე გამოაცხადებენ, რომ ახალქალაქი, ბოლნისი, მარნეული მდ. ალგეთის მარჯვენა სანაპირომდე ძველთაგანვე სომხეთის ტერიტორია ყოფილა და არის; რომ მდ. ჭოროხი და მისი შენაკადების 80-90% სომხეთის მთიანეთზეა, ანუ სომხეთის ტერიტორია იყო და არის; რომ ძველთაძველი ქართული კულტურის ძეგლები, რომელთა დიდი ნაწილი სამხრეთ საქართველოში მდებარეობს, სომხეთის მთიანეთზე ანუ სომხეთის ტერიტორიაზე ყოფილა განლაგებული.

უნდა დაისვას საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ასეთი სახელმძღვანელოს შეტანა სომხეთის სკოლებში. იგი ხელს უშლის ქართველი და სომეხი ახალგაზრდობის მეგობრული სულისკვეთებით აღზრდის საქმეს.

**კარლო თოფურია**
**ტექნიკური უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამოხმაურება

# ლენინური პრემიის ლაურეატი — მსოფლიოს გამოჩენილი ურარტოლოგი!

# ტერორიზმი მეცნიერებაში

## გ. ყორანაშვილის მიერ გამოქვეყნებული პასკვილის გამო

***რედაქციისაგან:** ჩვენი გაზეთის 58-ე, 59-ე და მე-60 ნომრებში გამოქვეყნდა გ. ყორანაშვილის წერილი „ლენინური პრემიის ლაურეატი-პლაგიატორი?", რომელიც ეხებოდა აკად. გ. მელიქიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობას.*

*გ. ყორანაშვილის პუბლიკაციის გამოქვეყნების შემდეგ მეცნიერებათა აკადემიის საზ. მეცნიერებათა განყოფილებასთან შეიქმნა კომისია, რომელმაც შეისწავლა გ. ყორანაშვილის მიერ გ. მელიქიშვილისადმი წაყენებულ ბრალდებათა მართებულობა და ორთვიანი მუშაობის შემდეგ ჩამოაყალიბა საკუთარი შეხედულება ამ საკითხზე წერილობით, რომელსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ. მიგვაჩნია, რომ დაინტერესებული მკითხველი თავად შეძლებს გაარჩიოს შავი თეთრისაგან, თუმცა აქვე იმასაც დავძენთ, რომ წინამდებარე წერილის ავტორებს, ცნობილ მეცნიერებს, შეეძლოთ უფრო მოკლედ და ლაკონურად ჩამოეყალიბებინათ სათქმელი.*

*ერთიც: წერილს ხელს აწერს ჯ. შარაშენიძე, რომელიც კომისიის წევრი არ არის, ხოლო ნ. ხაზარაძე, რომელიც კომისიის წევრია, რატომღაც ხელს არ აწერს.*

გაზეთ „საქართველოში" (№58,59,60) გამოქვეყნდა ვრცელი წერილი, სათაურით „ლენინური პრემიის ლაურეატი — პლაგიატორი? — ისტორიკოს პეტრე უშაკოვის საიდუმლოება", რომელშიც მისი ავტორი, ბ-ნი გ. ყორანაშვილი ცდილობს თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს ქართველ ისტორიკოსს, მსოფლიოში სახელგანთქმულ მეცნიერს, პლაგიატორობაში დასდოს ბრალი.

როგორც მოსალოდნელი იყო, თავის მცდელობაში სტატიის ავტორმა ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწია. პირიქით, თხზულების გაცნობა „ოდნავ მაინც კრიტიკულად მოაზროვნე მკითხველს" (მისი სიტყვებია) აშკარად დაანახვებს ბ-ნ ყორანაშვილის მიერ მოტანილი ჭორების სრულ უსაფუძვლობას, უსუსურობას და უაზრობას. ჩვენ შეგვეძლო ამ ზოგადი განცხადებით დავკმაყოფილებულიყავით, ამ პიროვნების მხრიდან მსგავსი გამოხდომები წლების მანძილზე პერმანენტულად რომ არ მეორდებოდეს და ამასთან, ელემენტარული ლოგიკის, მეცნიერული ეთიკისა და ადამიანური ზრდილობის ნიშნებს მაინც რომ შეიცავდეს. სამწუხაროდ,ამ (ისევე, როგორც სხვა) ღირსებებს ზემოთ აღნიშნული პასკვილი მთლიანად მოკლებულია, რაც მის, შედარებით დაწვრილებით შეფასებას მოითხოვს.

ბ-ნი ყორანაშვილის წარმოსახვით პლაგიატი განხორციელდა საქართველოში მოღვაწე, 1943 წელს გარდაცვლილი მკვლევარის, პ. უშაკოვის მიმართ, მაგრამ წამოყენებული ბრალდების დასამტკიცებლად ავტორს ვერ მოაქვს ვერცერთი საბუთი, ვერცერთი, თუნდაც გარდაცვლილი მოწმის უშუალო მითითება და მთელ მსჯელობას აგებს რაღაც დაუჯერებელ ვერსიებსა და ვარაუდებზე. მისი ძირითადი არგუმენტები ასეთია:

1. პ. უშაკოვის პირადი საქმე აკადემიის არქივში თავის ადგილზე არ იყო შენახული. მასში 11 ფურცელი ამოხეულია. რა დატვირთვას ანიჭებს ამ ფაქტს ბრალმდებელი პირდაპირ არ ამბობს და ამით მკითხველს მიანიშნებს, თითქოს ეს ფურცლები შეიცავდნენ პლაგიატის დამადასტურებელ ჩანაწერებს, ამიტომ ისინი ბოროტმოქმედმა გაანადგურა.

2. თითქოს გარდაცვლილი მკვლევარის ქვრივი შესჩიოდა ნაცნობებს, რომ გ. მელიქიშვილმა (ბ-ნ ყორანაშვილს სწორედ ეს ცნობილი მეცნიერი გამოჰყავს თავისი დეტექტიური ისტორიის მთავარ გმირად) წაიღო მისი ქმრის ჩანაწერები და აღარ აბრუნებს.

3. 1945 წლის ახლო ხანებში ისტორიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკის მაშინდელმა თანამშრომელმა, ბეჟან გიორგაძემ „პლაგიატორს" გაატანა ბიბლიოთეკაში დაცული პ. უშაკოვის ხელნაწერები.

ამრიგად, ბ-ნი ყორანაშვილის მსჯელობიდან გამოდის, რომ პლაგიატს, უფრო ზუსტად კი ყაჩაღობას, სულ ცოტა — სამჯერ მაინც ჰქონია ადგილი: პირველად, პ. უშაკოვის სიცოცხლეში — 1943 წლამდე, მეორედ — მისი გარდაცვალების ახლო ხანებში და მესამედ, 1945 წლის მომდევნო პერიოდში, მას შემდეგ, რაც ისტორიის ინსტიტუტში ბ-ნმა ბეჟან გიორგაძემ დაიწყო მუშაობა. ამასთან, გატაცებულია არა რომელიმე ცალკე ნაშრომი ან ნაშრომები, არამედ პ. უშაკოვის მთელი ხელნაწერი მემკვიდრეობა. „ოდნავ მაინც კრიტიკული აზროვნებაც" კი არაა აუცილებელი, რომ მთელი ამ უკაცრავად პასუხია, მსჯელობის აბსურდულობა და მიკერძოებულობა შეამჩნიო. მითუმეტეს, შემდეგ ბ-ნი ყორანაშვილი იმას „ამტკიცებს", რომ „ბოროტმოქმედმა" სამგზის ყაჩაღობით გატაცებული ნაშრომები არ იკმარა და უშაკოვის დაბეჭდილი პუბლიკაციებიდან აზრები და ურარტული ტექსტების წაკითხვებიც მიითვისა.

მიუხედავად საერთო დასკვნის სრული უაზრობისა და ალოგიკურობისა, ჩვენ მაინც საჭიროდ ჩავთვალეთ თითოეული „არგუმენტის" განხილვა:

1. პ. უშაკოვის პირადი საქმე (ბრალმდებელი მას უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს: თურმე წლების განმავლობაში თავგამოდებით ეძებდა და მისი მიგნება დიდ ბედნიერებად აღიქვა.[1] ბ-ნი ყორანაშვილი რამდენიმე, მისი წარმოსახვით, საეჭვო გარემოების შეჯერებით საერთო კრიმინალური სიტუაციის წარმოსახვას ცდილობს: ა) მკითხველს დიდი ამბით აცნობებს, რომ ეს საქმე 1946 წელს შეიქმნა და მხოლოდ 1969 წელს გადაეცა აკადემიის არქივს. მაგრამ თვითონაც ვერ ამბობს, ეს ფაქტი მასში რა ეჭვს იწვევს; ბ) ანალოგიური ვითარებაა იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული საქმე აკადემიის არქივში თავის ადგილზე არ იდო. ბ-ნი ყორანაშვილი გარკვევით არაფერს ამბობს, თუმცა აშკარაა, რომ აქ ბოროტმოქმედების დასაფარავად გაწეულ რაღაც ქმედებაზე მიანიშნებს, მაგრამ ასეთი ეჭვი ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულია. რადგან, თუ ბოროტმოქმედს ამ საქმეზე ხელი მიუწვდებოდა, განა მისთვის უმჯობესი არ იყო საქმისათვის ადგილი კი არ შეეცვალა, არამედ საერთოდ მოესპო?

მთავარი „კრიმინალი" საქმიდან 11 ფურცლის ამოხევა და ამის გამო 66-ის ნაცვლად 55 ფურცლის იქ დატოვება, მოკამათის ვარაუდით, ისტორიის ინსტიტუტში მოხდა. მისი აზრით, ვიღაცის მაკომპრომეტირებელი 11 ფურცლის ამოხევას ბ-ნი ყორანაშვილი მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და ამას არაერთხელ დაბეჯითებით იმეორებს, რითიც ასევე არაერთხელ და დაბეჯითებით ცრუობს. ჩვენ გულდასმით გავეცანით აღნიშნულ საქმეს და სრულიად მკაფიოდ უნდა განვაცხადოთ, რომ მასში ამოხევის არავითარი კვალი არ შეიმჩნევა. ამ საქმეში დაფიქსირებულია არა 55, როგორც ყორანაშვილი ცდილობს მკითხველი დაარწმუნოს, არამედ 56 ფურცელი. დამალულ ფურცელს ინსინუატორისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. მთელი საიდუმლო კი იმაში მდგომარეობს, რომ აღნიშნული პირადი საქმის საბუთები მოგვიანებითაა თავმოყრილი, ზოგიერთ მათგანს ადრინდელი პაგინაციის ნიშნებიც ეტყობა. შემდგენელს (ისტორიის ინსტიტუტის საქმეთა მმართველს ქ-ნ თამარ მაისურაძეს) საქმე ხელახლა გადაუნომრავს და სიჩქარეში 56-ე გვერდისათვის 66-ე ნომერი დაუწერია. ბ-ნ ყორანაშვილს პ. უშაკოვის პირად საქმეში 56-ე ფურცლის არსებობა რომ არ დაემალა, ამას მკითხველიც ადვილად მიხვდებოდა და ბრალმდებლის მანიპულაციებს ყოველგვარი დასაყრდენი გამოეცლებოდა.

2. ცნობა იმის შესახებ, რომ თითქოს პ. უშაკოვის ქვრივი ნაცნობებს შესჩიოდა გ. მელიქიშვილმა ჩემი ქმრის ხელნაწერები წაიღო და აღარ აბრუნებსო, აშკარად ბ-ნი ყორანაშვილის შეთხზულია. წინააღმდეგ შემთხვევაში, მან უნდა განაცხადოს, ვისგან მოდის იგი, დაასახელოს, როგორც გარდაცვლილი, ისე ცოცხალი მოწმე. ამ სტრიქონების ავტორები ბ-ნ ყორანაშვილზე ადრე და შეიძლება, უკეთაც იცნობენ იმ წრეს, სადაც აღნიშნული ამბები უნდა დატრიალებულიყო და არაფერი ამის მსგავსი არ გაუგიათ. ესეც რომ არ იყოს, ამ „ლეგენდაში" სრულიად არასასურველი რაკურსით არის წარმოდგენილი ქ-ნი უშაკოვისა, იგი თითქოს დადიოდა და ვიღაც ნაცნობებს რაღაცას შესჩიოდა, იმის ნაცვლად, რომ თუ მართლაც რაიმე პრობლემები ჰქონდა აკადემიის ხელმძღვანელობასთან მისულიყო და სამართლიანობის აღდგენა მოეთხოვა.

3. ასევე შეთხზული და არადამაჯერებელია ბ-ნ ბეჟან გიორგაძის მიერ „პლაგიატორისათვის" ბიბლიოთეკიდან ხელნაწერი ნაშრომების გატანების ეპიზოდი. ბ-ნი ყორანაშვილი აქაც ანონიმურ მოწმეებს (მათ შორის ერთ ცოცხალს) ახსენებს. მეცნიერული კეთილსინდისიერება მოითხოვს, მან ეს მოწმეები დაასახელოს. თუ მისი თანამზრახველები არ არიან, მათ იგი ვერ დაასახელებს, რადგან თავისთავად ეს ფაქტი უაღრესად არალოგიკური და უაზროა. ამას შემთხზველიც გრძნობს და მის გასანეიტრალებლად კიდევ ერთ სიყალბეს მიმართავს: ბ-ნი ყორანაშვილი საქმეს ისე წარმოადგენს, თითქოს განსვენებულმა ბეჟან გიორგაძემ აღნიშნული ხელნაწერები გადასცა ისტორიის ინსტიტუტის დირექტორს, რითაც ზეწოლისა და ძალდატანების ერთგვარ ილუზიას ქმნის. ფაქტობრივად, როდესაც აღწერილი ამბავი იგულისხმება, გ. მელიქიშვილი, სრულიად ახალგაზრდა მეცნიერმუშაკი იყო, ბეჟან გიორგაძე კი ათას ჭირ-ვარამ გამოვლილი, გადასახლებიდან ახლად დაბრუნებული, მოწიფული პიროვნება. დიდი გამჭრიახობა არ არის საჭირო იმის მისახვედრად, რომ მას არავითარი საფუძველი არა ჰქონდა, რომ დამწყები მეცნიერ-მუშაკის გამო ბოროტმოქმედება ჩაედინა, ანუ ბიბლიოთეკიდან ხელნაწერები მოეპარა, გ. მელიქიშვილისათვის გადაეცა და ამით საკუთარი თავი საფრთხეში ჩაეგდო.

ერთი სიტყვით, ბ-ნ ყორანაშვილის მიერ მოხმობილი ყველა „არგუმენტი" თითიდან გამოწოვილი და საკმაოდ ულიმღამოდ მოწოდებული ზღაპრების გროვაა, რაც მხოლოდ მისი ავტორის ულოგიკობასა და უნიჭობას ამტკიცებს.

საკუთარი პოზიციების სისუსტეს, როგორც ჩანს, ბ-ნი ყორანაშვილიც გრძნობს და მის „გამაგრებას" ახალი, ასევე ულიმღამო და არაფრისმთქმელი, „საბუთებით" ცდილობს: მაგალითად იმით, რომ მოგვითხრობს, როგორ დუმდა და ილიმებოდა განსვენებული ბეჟან გიორგაძე, როცა ავტორი მას გამუდმებით თავს აბეზრებდა კითხვებით პ. უშაკოვის თითქოსდა დაკარგული ხელნაწერების შესახებ. ანდა, რად ღირს „მახვილგონივრული" მსჯელობა იმაზე, რომ თუ ჭორი პლაგიატის თაობაზე 1957 წლის (გ. მელიქიშვილისათვის, საბჭოთა კავშირში პირველი ისტორიკოსისათვის, ლენინური პრემიის მინიჭების თარიღის) შემდეგ გაჩნდებოდა, მაშინ იგი უსაფუძვლოდ უნდა იქნეს მიჩნეული, ხოლო თუ მანამდე — საფუძვლიანი და მისთანანი.

„ბრალმდებელი" დიდ იმედებს ამყარებს ცნობილ ისტორიკოსზე განსვენებულ სარგის კაკაბაძესა და მასთან დაკავშირებულ ჭორებზე. ჩვენ თავს ვიკავებთ განსვენებული ბ-ნი სარგის კაკაბაძის პიროვნებისა და კოლეგებისადმი მისი გახმაურებული და ერთობ ოდიოზური დამოკიდებულების შეფასებისაგან, გვინდა მხოლოდ ის აღვნიშნოთ, რომ ბ-ნი ყორანაშვილის მონათხრობში ეს პიროვნება მაინც და მაინც სახარბიელო კუთხით არ წარმოჩინდება. ამის დასტურად, ბ-ნი ყორანაშვილის მიერ ამაყად მოთხრობილი ამბავიც კმარა: თუ როგორ დაასმინა მან ბ-ნი გ. მელიქიშვილი საქართველოს კომპარტიის იმჟამინდელ ლიდერთან, ვ. მჟავანაძესთან — პლაგიატორს ლენინურ პრემიას როგორ აძლევთო. ვ. მჟავანაძე ამ ეპიზოდში როგორც მორალური, ისე პატრიოტული თვალსაზრისით გაცილებით უკეთ გამოიყურება. მას თითქმის გარეთ გამოუგდია დამსმენი მეცნიერი: შე შურიანო, განა ცუდია, რომ ასეთ ჯილდოს ქართველი კაცი მიიღებსო?

ჩვენს „მორალისტს" მოტანილი ფაქტი სულაც არ ეხამუშება, რადგან დასმენა მისთვისაც მიზნის მიღწევის მისაღები და ნაცადი საშუალებაა. რასაც ის პრაქტიკაში ერთობ აქტიურად იყენებს. ამ ცოტა ხნის წინ, ის ასევე თავგამოდებით დარბოდა სათანადო ორგანოებში, რათა ბ-ნ გ. მელიქიშვილისათვის „ღირსების ორდენის" მინიჭება ჩაეშალა. თუმცა, ამ საქმეშიც არაფერი გამოუვიდა.

ასევე შეთხზული და დაუსაბუთებელია ჭორები, თითქოს გ. მელიქიშვილმა 1965 წელს ისტორიკოსთა საკავშირო სესია იმისათვის ჩაშალა, რომ იქ ს. კაკაბაძე მის საწინააღმდეგო ბრალდებებით არ გამოსულიყო. თუკი ეჭვმიუტანელი საბუთები ექნებოდა, ბ-ნ სარგისს შეეძლო პლაგიატორი პრესის (თუნდაც საკავშირო) საშუალებით ემხილა. ყოველივე ამის საბუთად ბ-ნ ყორანაშვილს მხოლოდ ის გააჩნია, რომ თითქოს, ბ-ნ ს. კაკაბაძის ქალიშვილის გადმოცემით, მხცოვანი მეცნიერი რაღაც უმისამართო სიტყვებს ამბობდა იმის შესახებ, თუ როგორ ძარცვავენ ჩვენთან გარდაცვლილ მეცნიერებს, საიდანაც მხოლოდ ის დასკვნა გამოდის, რომ მიუხედავად აკად. გ. მელიქიშვილისადმი (ისევე, როგორც ყველა სხვა გამოჩენილი ისტორიკოსისადმი) აშკარად არაკეთილგანწყობილებისა. მის საწინააღმდეგოდ ბ-ნი სარგისი საკუთარ სახლშიც კი პირდაპირ ვერაფერს ამბობდა.

კიდევ უფრო ცილისმწამებლური და ამდენად პასუხსაგებია, ბ-ნი ყორანაშვილის მიერ გავრცელებული ჭორი იმის თაობაზე, რომ განსვენებული დიდი ქართველი მეცნიერი გ. წერეთელი თითქოს ოჯახში გ. მელიქიშვილს პლაგიატორად მოიხსენიებდა. არაფერს ამის მსგავსს არ შეიძლება ადგილი ჰქონოდა. ბ-ნი ყორანაშვილი შეთხზულ ჭორს ვერ დაამტკიცებს, ეს ორმაგი ცილისწამებაა ორი დიდი მეცნიერის მიმართ.

თავისი სრულიად უსაფუძვლო და არაარგუმენტირებული ბრალდებების ზერელე შთაბეჭდილება რომ გაანეიტრალოს და მთელ „ნაწარმოებს" მეცნიერულობის ერთგვარი ილუზორული სახე მისცეს, ავტორი „საბუთებს" იქ იშველიებს, სადაც ეს სრულიად ზედმეტია: მაგალითად, პირად საქმეში დაცულ ავტობიოგრაფიაში პ. უშაკოვი მიუთითებს, რომ 1936-1937 წლებში შვიდი თვის განმავლობაში თბილისში ჩამოსულ ავსტრიელ მეცნიერთან იგი ცოდნას იმაღლებდა. აქვეა შესაბამისი ოფიციალური მოწმობა, რომ მან პროფ. ლემან ჰაუპტთან მოისმინა ლექციები ხალდების (ურარტელების) და მათი მეზობელი ტომების ისტორიისა და კულტურის შესახებ და მუშაობდა ხალდების ენისა და ლურსმული ძეგლების წაკითხვის სემინარში. ეს საკმარისზე მეტი საბუთია ამ, ისედაც უდავო ფაქტის დასადგენად. მიუხედავად ამისა, ბ-ნი ყორანაშვილი შესაძლებლობას არ უშვებს „გაამაგროს" სრულიად ნათე-

1. რითიც კიდევ ერთხელ დაამტკიცა მისი, როგორც ისტორიკოსის, სისუსტე და არაპროფესიონალიზმი. ისტორიკოსის პროფესიული ოსტატობის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელი, ისტორიული დოკუმენტის მოძიების ალღო და ხელოვნებაა. ამ სტრიქონების ერთ-ერთ ავტორს, პროფესიონალ ისტორიკოსს, ერთი დღეც არ დასჭირდა იმისათვის, რომ ბ-ნი ყორანაშვილის მიერ წლების მანძილზე მოპოვებული ერთი დოკუმენტის გარდა, კიდევ ორისათვის მიეკვლია: ეს გახლავთ პ. უშაკოვის სადოქტორო დისერტაციის ერთ-ერთი ხელნაწერი და მისივე საკანდიდატო დისერტაცია.

გაგრძელება მე-7 გვ.

### გამოხმაურება

# ლენინური პრემიის ლაურეატი — მსოფლიოს გამოჩენილი ურარტოლოგი!

# ტერორიზმი მეცნიერებაში

## გ. ყორანაშვილის მიერ გამოქვეყნებული პასკვილის გამო

მეექვსე გვერდიდან

ლი საკითხი და იმოწმებს მხცოვან ქალბატონს, დოცენტს, ნატალია კვეზერელ-კოპაძეს, რომელიც თურმე ადასტურებს ამას. სხვა ადგილზე პ. უშაკოვის პირადი საქმის საკუთარი ფანტაზიით წარმოსახულ, დეტექტიურ ამბავს რომ გადმოსცემს, იქვე კმაყოფილი ტონით ერთ „მნიშვნელოვან მიგნებას" გვთავაზობს: ეტყობა ამის (1942 წლის. — ავტ.) შემდეგ პ. უშაკოვი გარდაიცვალა, რადგან ჭლექით იყო ავადო". მაგრამ მას ავიწყდება, რომ ასეთი აღმოჩენისათვის მისი „კრიტიკულად მოაზროვნე" გონების გადაძაბვა აუცილებელი არ იყო, რადგან პ. უშაკოვის გარდაცვალების თარიღი — 1943 წელი, ისედაც კარგად არის ცნობილი და რამდენიმე აბზაცის წინ თვითონვე გაგვიმხილა.

სიცრუეა ბ-ნი ყორანაშვილის ამ „ოპუსის" საძირკველი, რაზედაც ის თავის „მტკიცებულებათა" უსუსური ხუხულის გამართვას ცდილობს. სიცრუის ერთ ნაწილზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, მაგრამ ეს მხოლოდ წვეთია ზღვაში. იგი თავისი თხზულების დასაწყისშივე ატყუებს მკითხველს, როცა ირწმუნება, რომ პ. უშაკოვის ყველა ხელნაწერი ნაშრომი უგზო-უკვალოდაა დაკარგული: ფაქტობრივად სახეზეა მისი სადოქტორო დისერტაციის ორი ეგზემპლარი, საკანდიდატო დისერტაცია, 169 გვერდიანი ხელნაწერი ნაშრომი **"языки древнего востока и задачи истории народов кавказа"**, მის მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფიები (10 საქაღალდე) და სხვ.

ბ-ნი ყორანაშვილი უტიფრად ტყუის, როცა ირწმუნება — თითქოს არსებობდნენ ცოცხალი მოწმეები იმისა, რომ პ. უშაკოვის ქვრივი ადანაშაულებდა ბ-ნ გ. მელიქიშვილს;

არსებობს ცოცხალი მოწმე, რომელსაც ბ. გიორგაძემ მოუთხრო პ. უშაკოვის ხელნაწერების ბიბლიოთეკიდან გატანის ამბავი;

სიცრუეა და, ამასთან არალოგიკურია მტკიცება, თითქოს პ. უშაკოვის დისერტაცია ისტორიის ინსტიტუტიდან წლების მანძილზე გატანილი (დაკარგული) იყო და მხოლოდ უკანასკნელ მომენტში დააბრუნეს (ვითომ რატომ დააბრუნეს, ბ-ნი ყორანაშვილისათვის ინსინუაციებში ხელი რომ შეეწყოთ?) ფაქტობრივად, ეს ნაშრომი ყოველთვის ადგილზე იყო, მაგრამ ბ-ნი ყორანაშვილი მას ვერ იპოვიდა, ბიბლიოთეკის თანამშრომლები რომ არ დახმარებოდნენ.

სიცრუეა მისი მტკიცება, თითქოს პ. უშაკოვის სადოქტორო დისერტაციის ისტორიის ინსტიტუტისეული ეგზემპლარი, ნაკლულია (აქ მას სურს კვლავ ვილაცას ჩრდილი მიაყენოს ისტორიის ინსტიტუტში). შედარებამ ცხადყო, რომ იგი სრულიად იდენტურია აკადემიის არქივის ს. ჯანაშიას ფონდში დაცული ეგზემპლარისა;

სიცრუეა ავტორის მტკიცება, თითქოს ახლაც ადგილი აქვს რაღაც მითქმა-მოთქმას პ. უშაკოვის ნაშრომების დაკარგვაში გ. მელიქიშვილის მონაწილეობის შესახებ. ამგვარი ჭორების გავრცელებას თვით ბ-ნი ყორანაშვილი ცდილობს, თუმცა თავგამოდებით, მაგრამ წარუმატებლად, მისი არავის სჯერა.

ბ-ნი ყორანაშვილი მაშინაც გამიზნულად ცრუობს, როდესაც პ. უშაკოვს რამდენჯერმე ტრაგიკულად აღსრულებულად მოიხსენიებს, რითიც ესწრაფვის მისი ძალდატანებით მოკვდინების ეჭვი აღძრას. ფაქტობრივად, პ. უშაკოვი თავის სახლში ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა... და ასე შემდეგ და ასე დაუსრულებლად.

ჩვენ არ ვიცით, რა უნდა ვიფიქროთ, ან ვთქვათ მეცნიერებათა დოქტორზე, განუსაზღვრელი ამბიციებისა და მეცნიერული პრეტენზიების მქონე პიროვნებაზე, რომელსაც შეუძლია ერთ წერილში ამდენი სიცრუე იკადროს.

თუ გავითვალისწინებთ დიდი შოთას შეგონებას, რომ ყველა ადამიანური უბედურება სათავეს სიცრუიდან იღებს („რადგან თავია სიცრუე ყოვლისა უბადობისა") ადვილად წარმოვიდგენთ, თუ საზოგადოებისათვის რა საშიშროების მატარებელია პიროვნება, რომლისთვისაც სიცრუე ცხოვრების წესად და არსებობის ფორმად ქცეულა.



მას შემდეგ, რაც დიდი მეცნიერის „განმაქიქებელი", შეთხზული თუ ყურით მოთრეული ჭორები მიმოაბნია, გრძნობს რა, რომ დასახული მიზნის მიღწევას ვერ ახერხებს, ბ-ნი ყორანაშვილი ახალ საშუალებას მიმართავს და პ. უშაკოვის მეცნიერული დონის გაზვიადებას ცდილობს, რათა მისი „გაძარცვის" ვერსიას რაიმე დამაჯერებლობა შესძინოს. სრულიად აშკარაა, რომ ამით ინსინუატორი ვერაფერს დაამტკიცებს, რადგან ისტორიამ უამრავი დიდი მეცნიერი იცის, ცოცხალი თუ განსვენებული, რომელიც არავის გაუძარცვავს. ასე რომ, ბ-ნმა დოქტორმა პ. უშაკოვის „დიდი მეცნიერობა" კიდევაც რომ დაამტკიცოს, თავის აკვიატებული იდეის ხორცშესხმას ვერაფერს შემატებს, ამის მიუხედავად იგი ჯიუტად ეჭიდება ხავსს და პ. უშაკოვის მეცნიერული პერსონის ამაღლებული წარმოჩენისათვის ძალღონეს არ იშურებს. ამ მცდელობაში იგი დიდ იმედებს ამყარებს პ. უშაკოვის უკვე აღნიშნულ პირად საქმეზე, რომელშიც მან „აღმოაჩინა" ფურცლები პ. უშაკოვის დისერტაციას რომ შეეხება (დეტექტიური სიუჟეტის შეთხზვით გატაცებული ბ-ნი ყორანაშვილი ირწმუნება, რომ მეტად დიდი მნიშვნელობის გამო, ეს ფურცლები შემთხვევით გადაურჩნენ „ბოროტმოქმედის" ხელს). ბუნებრივია, ბ-ნი ყორანაშვილი ვერც ამ ამოცანასართმევს თავს. მის მიერ მოხმობილი საბუთებიდან მხოლოდ ის დგინდება, რომ მართალია, პ. უშაკოვი წყაროების პუბლიკაციის თვალსაზრისით გარკვეულ სასარგებლო საქმეს აკეთებდა, მაგრამ, როგორც მკვლევარი ისტორიკოსი, დიდად არ გამოირჩეოდა. მაგალითად, პროტექტორისვე რწმუნებით ს. ჯანაშია მისი სადისერტაციო ნაშრომისათვის მსვლელობის მიცემაზე რომ ზრუნავდა, მიუთითებდა, რომ იგი საინტერესოა „თემის თვალსაზრისით". ამასვე აღნიშნავდა ა. ჩიქობავაც: „თემა საინტერესოა ჩვენი ინსტიტუტის თვალსაზრისით". მართალია, გ. ახვლედიანმა მაღალი შეფასება მისცა პ. უშაკოვის მიერ გამოქვეყნებულ ერთ ნაშრომს, მაგრამ ეს წყაროთა პუბლიკაცია იყო (**"Лидийские эпиграфические памятники"**) და არა მეცნიერული გამოკვლევა.

ბ-ნმა ყორანაშვილმა კი დაიჯერა, რომ პ. უშაკოვის მაღალი მეცნიერული დონე უეჭველად დაამტკიცა. მაგრამ მისი აზრით, ასე წარმატებულად წამოწყებული საქმე მაინც ჩიხში მოექცა, რადგან „დიდმა მეცნიერმა" სადოქტორო დისერტაციის დაცვა ვერ შეძლო („ბრალმდებელი" შესაძლებლობას არ უშვებს, ეს ფაქტიც თავისი დეტექტიური კონსტრუქციის გასამყარებლად გამოიყენოს: „ამის თაობაზე რაღაც დოკუმენტი არსებობდა, მაგრამ პეტრე უშაკოვის საქმეში იგი არ ფიგურირებს"). დისერტაციის ოპონირებაზე უარი განაცხადა აკად. ი. მეშჩანინოვმა. წარუმატებლად დასრულდა ს. ჯანაშიას მცდელობა ოფიციალურ ოპონენტად გ. ლაფანციანის მოწვევისა. ბ-ნი ყორანაშვილი არც ამ ფაქტის შეფასებაში ღალატობს თავის თავს და მეცნიერულობის ყალბი პოზით კვლავ ულოგიკობას და უაზრობას აფრქვევს. „შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ იგი (ლაფანციანი — ავტ.) დადებითად გამოეხმაურა ჩვენი ისტორიის ინსტიტუტის მიმართვას, რის შემდეგაც მას გაეგზავნა დისერტაციის ერთი ეგზემპლარი, რის მიხედვით (სტილი ავტორისაა) რეცენზია დაწერა". ასეთია ბ-ნი ყორანაშვილის ძირითადი ვარაუდი. ამის შემდეგ, სხვათა შორის, იგი იმასაც არ გამორიცხავს, რომ „გრიგოლ ლაფანციანმა თავი აარიდა რეცენზიას ... ასე რომ, დარჩა ერთადერთი შესაძლებლობა — მესამე ოპონენტი ადგილზე შეერჩიათ". მაგრამ ხომ ვიცით, რომ მესამე ოპონენტის შერჩევა, მართლაც, ადგილზე გახდა საჭირო; ასე რომ, ბ-ნი ყორანაშვილის მსჯელობა იმაზე, რომ ლაფანციანი დადებითად გამოეხმაურა მიმართვას და ამის საფუძველზე რეცენზია დაწერა, სრული ნონსენსია.

ბ-ნი ყორანაშვილის წინაშე უკვე ახალი ამოცანა დადგა: მას რაღაც უნდა დაჯდომოდა, უნდა ეპოვა გამოსავალი, რომელიც პასუხს გასცემდა კითხვას — თუკი პ. უშაკოვი ასეთი დიდი მეცნიერი იყო (რასაც ის ასე დაბეჯითებით გვიმტკიცებს), მაშინ რატომ არ მოხერხდა მისი სადოქტორო დისერტაციის დაცვა? (ცნობილია, რომ მან საკვალიფიკაციო ნაშრომი სამეცნიერო საბჭოს წარუდგინა?) ასეთი „გამოსავალი" მან იმაში ნახა, რომ პ. უშაკოვი ნიკო მარის მიმდევრად გამოაცხადა, ხოლო სხვა, ვინც მის დისერტაციასთან იყო დაკავშირებული — ანტიმარისტებად და, ამასთან, ისინი იმდენად არაობიექტურ პირებად წარმოსახა, რომ მსოფლმხედველობითი განსხვავების გამო მასზე შური იძიეს და დისერტაციის დაცვის საშუალება არ მისცეს. ეს მეტად სერიოზული ბრალდებაა, ამიტომ სჩანს, ბ-ნი ბრალმდებელი დაფიქრდა და მიხვდა, რომ მთელი ქართული საზოგადოებრივი მეცნიერების ელიტის წარმომადგენლების დადანაშაულება მისთვის წამგებიანი სვლა იქნებოდა და გადაწყვიტა, მხოლოდ დიდი ქართველი აღმოსავლეთმცოდნე გიორგი წერეთელი „გაეწირა" და ხელები მასზე შეეწმინდა (ის კი დაავიწყდა, რომ ცოტა ზევით გ. მელიქიშვილის წინააღმდეგ ბრძოლაში ეს მეცნიერი თავის მოკავშირედ გამოჰყავდა და რაღაც აბსურდულ ინსინუაციებს მიაწერდა).

მაგრამ ბ-ნი ყორანაშვილის მიერ ნაპოვნი „გამოსავალი" მხოლოდ საქმეში ჩაუხედავ მკითხველს თუ შეაცდენს. მეტნაკლებად საქმეში ჩახედულს კი რამდენიმე კითხვაზე მაინც უნდა გასცეს პასუხი: 1. განხილული ამბავი 40-იანი წლების დასაწყისში ხდებოდა, როცა ნიკო მარის მოძღვრება პოპულარობის ზენიტში იყო, თითქოს ოფიციალურ თეორიად იყო გამოცხადებული. ასეთ ვითარებაში განა შეიძლებოდა მაღალმეცნიერული დონის ნაშრომი მხოლოდ იმისათვის, რომ მისი ავტორი მარის შეხედულებებს იზიარებდა, დაწუნებულიყო და ჩავარდნილიყო?

2. ბ-ნი გ. წერეთელი იმ დროს ახალგაზრდა მეცნიერი ბრძანდებოდა და მარტო მას სადოქტორო დისერტაციის დაცვის ჩაშლა არ შეეძლო. ამრიგად, მის თანამზრახველებად, ანუ არამეცნიერული, არაეთიკური საქციელის ჩამდენებად ხომ ჩვენი სასიქადულო მეცნიერები: ს. ჯანაშია, ს. ყაუხჩიშვილი, არნ. ჩიქობავა, გ. ჩუბინაშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ვ. თოფურია და სხვები გამოდიან?

3. თუკი მარისტობა საქართველოში მომაკვდინებელ ცოდვად ითვლებოდა და ასეთ, მეცნიერთათვის სრულიად შეუფერებელ, ვნებათაღელვასა და შურისგებას იწვევდა. როგორ ახერხებდა ამ თეორიის არა ერთი მიმდევარი საქართველოში მუშაობას, დისერტაციების დაცვას და სამეცნიერო წარმატებების მიღწევას?

4. ვთქვათ, ქართველები ასეთი არაობიექტური და უსამართლონი იყვნენ, მაგრამ რუსი მეშჩანინოვის და სომეხი ლაფანციანის საქციელი რით უნდა ავხსნათ. მათ ხომ მთავარი „დანაშაული" მიუძღვით იმაში, რომ პ. უშაკოვის დისერტაციის დაცვა არ შედგა?

ამრიგად, ბ-ნმა ყორანაშვილმა ვერცერთი წამოყენებული დებულება არათუ მეცნიერულად ვერ დაასაბუთა, ლოგიკურადაც ვერ გამართა. სამაგიეროდ, მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია მეცნიერისათვის სრულიად ულირს ლანძღვასა და ტალახის სროლაში. ამასთან, საკუთარი პერსონის ქებასა და განდიდებაში. პირველ ნაწილში ჩვენ საშუალება არა გვაქვს, შევედავოთ ბ-ნ ყორანაშვილს, რადგან არ შეგვიძლია ვინმესთან მიმართებით გავიმეოროთ სისაძაგლეები, რითაც ის მოწინააღმდეგეს ამკობს. ჩვენ მხოლოდ გვსურს ვუთხრათ მას, რომ ისეთი გამოთქმები და ეპითეტები, როგორიცაა „გაიძვერა", „ცბიერი", „ულირსი", „ბოროტი", „ოდნავ მაინც წესიერი ეთიკური" (ანუ მთლიანად არაწესიერი, არაეთიკური) და ა.შ. იმ საზოგადოებაში, რომლისთვის თავის მიკუთვნებას იგი ესწრაფვის, სრულიად მიუღებელი და სამარცხვინოა, მითუმეტეს, როცა საუბარი ასაკით მასზე უფროს პიროვნებაზეა.

რაც შეეხება საკუთარი თავის განდიდებას, ეს ავადმყოფობა ბ-ნი ყორანაშვილისათვის ახალი არ არის, მაგრამ განხილულ „თხზულებაში" სენმა, განსაკუთრებით მწვავე ფორმაში იჩინა თავი. წლების განმავლობაში ავტორი დაბეჯითებით ცდილობს დაამკვიდროს აზრი, რომ ივ. ჯავახიშვილის შემდეგ, და შეიძლება მანამდეც, მისი დონის ისტორიკოსი საქართველოს არა ჰყოლია; რომ მისი კოლეგები, უკლებლივ ყველა, საცოდავი მკვლევარები არიან, რომელთა საუკეთესო ნაწილი ფაქტების უბრალო ანალიზს გაჭირვებით ახერხებს, სინთეზის უნარი საერთოდ არ გააჩნია და ა.შ.

ბოლო ხანებში აშკარად გამოიკვეთა მისი (ბ-ნი ყორანაშვილის) ქედმაღლური დამოკიდებულება არა მარტო ისტორიკოსების, არამედ საერთოდ, საზოგადოებრივი მეცნიერების წარმომადგენლებისადმი. იგი თავს საზოგადოებაზე ამაღლებულად წარმოაჩენს, ქართულ სამეცნიერო ელიტას, 40-იანი წლებიდან დღემდე, „გულუბრყვილო უმეცარ საზოგადოებად" მოიხსენიებს, „სადაც ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრი არ არსებობს" და სხვ. ბ-ნი ყორანაშვილის თვითდაჯერებულობა იქამდეც კი მიდის, რომ 40-იანი წლების „ენიმკ"-ის სამეცნიერო საბჭოს, რომელიც დაკომპლექტებული იყო ისეთი სახელოვანი მეცნიერებით, როგორიცაა: ს. ჯანაშია, არნ. ჩიქობავა, ს. ყაუხჩიშვილი, გ. წერეთელი, ნ. ბერძენიშვილი, ა. შანიძე, გ. ჩუბინიშვილი და ბევრი სხვა, იმის გამო, რომ მათ წრეში პ. უშაკოვმა სადოქტორო დისერტაციის დაცვა ვერ მოახერხა, მენტორული ტონით ჭკუას ასწავლის: „პეტრე უშაკოვის სადისერტაციო ნაშრომში ფასეულია ურარტული ისტორიული წარწერების (სულ 36) წაკითხვა, ნარკვევი ურარტული ენის გრამატიკის შესახებ და ურარტულ-რუსული ლექსიკონის შედგენა, რაც აუცილებელს ხდიდა ხარისხის მინიჭებას!" ამგვარ კადნიერებას ბედავს პიროვნება, რომელსაც არათუ ურარტული წარწერების, ან ურარტულ-რუსული ლექსიკონის არაფერი გაეგება, არამედ რუსულიდან უშეცდომოდ, თუნდაც აზრიანად, ორიოდე წინადადების გადმოწერასაც ვერ ახერხებს. აი, მაგალითები: დოკუმენტში წერია: 1) **Неоспоримое исчерпивающее знание источников.** ბ-ნმა ყორანაშვილმა გადმოწერა: 1) Неоспоримая... **исчерпывающие знание источников.**

დოკუმენტში წერია 2) ...

გაგრძელება მე-10 გვ.

# ერთი ცილისმწამებლური სომხური გამოცემის გამო

„ცილისწამება: ტყუილის მოწმობა, ტყუილის შენამება"

სულხან-საბა

ახლახან გამოვიდა კრებული „საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა და სომხური კულტურის ძეგლები" (1988-1998), ერევანი, სომხ. ენაზე. კრებულის შემდგენელი და წინასიტყვაობის ავტორია ს. კარაპეტიანი. ეს ის ს. კარაპეტიანია, 1995 წელს რუკა-ცნობარი რომ გამოსცა — „სომხური ეკლესიები საქართველოში". იცით, რამდენი „სომხური" ეკლესია დააფიქსირა? — 650. ამ გაბერილ რუკა-ცნობარს სათანადო პასუხი გაეცა (იხ. ბონდო არველაძე — „სომხური" თუ ქართული ეკლესიები საქართველოში?!" ქართ. და რუს. ენებზე). მაგრამ რა, „შეაყარე ცერცვი კედელს" — ს. კარაპეტიანი მაინც თავისას აგრძელებს და, გამოვიდა მისი აღნიშნული კრებული. მასში თავმოყრილია საქართველოს, უფრო თბილისში, მცხოვრები „თვითმხილველ მოწმე" სომეხ პენსიონერთა წერილები, „სომხური" ეკლესიების შესახებ. ეს წერილები გამოქვეყნებულია ერევნის სომხურ და შედარებით ნაკლები, — რუსულ პრესაში.

ამთავითვე ვიტყვით — კრებულის კითხვისას გრჩება შთაბეჭდილება, თითქოს ვილაც უხილავმა ორგანიზება გაუკეთა ამ წერილების ავტორებს და წერილები დააწერინა... შემდგენლის წინასიტყვაობა არის — სომხურ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. ამ „ნაშრომში" ს. კარაპეტიანი შესაშური მონდომებით ბრალს სდებს ქართველ ხალხს და მის მთავრობას სომხური ცივილიზაციის (მისი ტერმინია — გ. ხ.) განადგურებაში. ჯერ ეპიგრაფი ნახეთ — „ბედნიერება ვერ გაუცნობიერებია იმ ხალხს, ვისაც ცივილიზაციის დამანგრეველი მეზობელი არ ჰყავს". ეს ფორმულა თითქოს თავის დროზე გამოხატავდა სომხური კულტურის ბედს თურქეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. მათი „გამოცდილება" თურმე გადაუღიათ ქართველებს — "...так великолепно заучившем уроки и опыта последней, но и даже, в христианской Грузии. Действительно, в этой стране сегодня уничтожаются свидетельства греческой, русской, немецкой и, в особенности армянской цивилизации..." (გვ. 7) წერს ამ ცივილიზაციათა „ერთადერთი გულშემატკივარი" ს. კარაპეტიანი. სიმართლეს თუ ვიტყვით, ამას ცილისწამება კი არა ბეზღობა ჰქვია. ამ ბეზღობის მიზანია — რუსი, გერმანელი და ბერძენი ხალხის გადაკიდება ქართველებთან და მათ შორის კონფლიქტის ჩამოგდება. ამას კი წერს ს. კარაპეტიანი, მაგრამ არც ერთი კონკრეტული ფაქტი არ მოაქვს თავის „დებულების" დასამტკიცებლად. ასეთ ლიტონ განცხადებას ვერ დავუჯერებთ და ალბათ საქართველოში მცხოვრები არცერთი პატიოსანი რუსი, გერმანელი და ბერძენი ირწმუნებს.

საქართველო მრავალეთნიური რესპუბლიკაა და იოლი არაა ყველას გული მოიგო და თავზე ხელი გადაუსვა. ამ მხრივ სომხეთის რესპუბლიკას პრობლემა არ აქვს, რადგან ათასობით აზერბაიჯანელი გააძევა მშობლიურ ადგილებიდან და ძალიან მოკლე ხანში იქცა მონოეთნიურ ქვეყნად!..

ს. კარაპეტიანის ძირითადი „ბრალდება" მაინც საქართველოზე მოდის. ის „აღშფოთებული" წერს, თითქოს სომხურ ცივილიზაციას სპობენ საქართველოში. რაც გაცამტვერებას გადაურჩა, მას ქართველები ისაკუთრებენ — "В отличие от остальных, факт существования памятников армянской культуры расценивается как наиболее опасный по той причине, что если в ряде районов Грузии Картли, Кахетия, Имеретия, являются пришельцами, то конкретно в южной Грузии они являются коренными (ხაზგასმა ჩვენია გ. ხ.) Лишь за последние 10 лет в этой соседней стране армянские исторические памятники подверглись полномасштабному и целенаправленному уничтожению и присвоению" (გვ. 7).

ამ ამონარიდში რამდენი სიტყვაცაა, იმდენი სიცრუეა. ალიარებს რა ს. კარაპეტიანი ქართლ-კახეთსა და იმერეთში სომხებს მოსულებად, სამაგიეროდ სამხრეთ საქართველოში, ე. ი. ჯავახეთში სომხებს ძირითად მკვიდრებად თვლის. ამგვარი მეცნიერები, დაშნაკები აქეზებენ ერევნიდან ორგანიზაცია „ჯავახკს" და მის ექსტრემისტ წევრებს ჯავახეთის ავტონომიის მოსათხოვნად. იმ მოტივით, ვითომ ისინი ამ ძირძველი ქართული მიწის აბორიგენები არიან და ა. შ.

ՎՐԱՑ ՊԵՏԱԿԱՆ ՔԱՂԱՔԱԿԱՆՈՒԹՅՈՒՆԸ
ԵՎ ՀԱՅ ՄՇԱԿՈՒՅԹԻ ՀՈՒՇԱՐՁԱՆՆԵՐԸ
(1988-1998)

Դիվան վավերագրերի և լուսանկարների

Կազմող՝ ՍԱՄՎԵԼ ԿԱՐԱՊԵՏՅԱՆ

ГОСУДАРСТВЕННАЯ ПОЛИТИКА ГРУЗИИ
И ПАМЯТНИКИ АРМЯНСКОЙ КУЛЬТУРЫ
(1988-1998)

Сборник документов и фотографий

Составитель: САМВЕЛ КАРАПЕТЯН

სომხებმა ჯავახეთში ეთნიური რიცხობრივი უპირატესობა ადგილობრივ ქართველებზე მოიპოვეს 1829-1830 წლებში, როცა მეფის რუსეთმა ერზერუმიდან 30000 სომეხი გადმოასახლა აქ. ქართველებს კი მშობლიურ მიწაზე ცხოვრების უფლება არ მისცეს. მოსულმა სომხებმა ადგილობრივი, ქართველთა ნაგები მრავალსაუკუნოვანი ეკლესია-მონასტრები უცერემონიოდ დაისაკუთრეს, რასაკვირველია, მათი ქართულობის დამადასტურებელი ნიშნების მოსპობა-განადგურების შემდეგ. ამ ამაზრზენი საქციელის შესახებ აუარებელი მასალაა გამოქვეყნებული გასული საუკუნის ქართულ პრესაში. სანიმუშოდ მოვიხმობთ ვინმე მესხს — ივ. გვარამაძეს — „ზოგიერთნი სომეხნი არ დასჯერდნენ ჩვენს მამა-პაპების სისხლით მოცულ პოხიერ მიწა-წყალს, მისგან მიღებული მრავალნაირი სიკეთე-სიმდიდრესა, გაძლნენ, გალონიერდნენ, გაიმაგრეს ურთიერთობისაგან ზურგმხარი და უწყეს ნგრევა ჩვენი სათაყვანო ეკლესია-მონასტრებსა, სადაც შეძლეს, დაისაკუთრეს — ხუცური წარწერები წაშალეს და თავიანთებურს ჯღაბნა დაუწყეს არა მარტო ეკლესიებზედ, იგივე ნათხარ სოფლების ლოდებზეც, და ქვებზედ, სადაც ვერ გაიტანეს, ეკლესიების ნაწერი, ნახატი ქვები დაგლიჯეს და სასაფლაოები დაანგრიეს. ბევრგან ქართული ნაწერით სასაფლაოები დალეწეს. ეკლესიების ძველი სასაფლაოები დათხარეს და ძვლები ღელე-ხევებში გადაყარეს, როგორც საქართველოს კათოლიკეთ სასაფლაონის ეკლესიის გარემო აღარ გააბოგინეს, ისე სხვაგან. დღებეთის ქურთები, თურქები, თარაქამები, მაჰმადიანები კრძალვით და პატივისცემით ეპყრობიან ჩვენ ეკლესიებს და ზოგიერთი სომეხთაგანი კი მტრულად გვეპყრობიან. სიმართლით წყინობს ბ-ნი კლდია მათ დაუნდობლობსა მღვდლით ერამდის, მაგრამ გამგონი არა გვყავს, თბილისსაც ისაკუთრებენ, ასპინძა და აბასთუმანი რაღა სახსენებელია (ჟურ. „მოგზაური", 1904, № 11, გვ. 135-136). კიდევ შეიძლება ქართველ და არა მარტო ქართველ მოღვაწეთა ამონარიდების მოტანა, მაგრამ ესეც კმარა, წარმოდგენა ვიქონიოთ ამ ბარბაროსობაზე.

ამ ბოლო ხანებში ძალიან თვითდაჯერებით დაიწყო ზოგიერთმა სომეხმა მეცნიერმა მტკიცება სომეხთა „აბორიგენობის" შესახებ ჯავახეთში. ისტორიულ სინამდვილეს თვალი უნდა გაუსწოროთ თქვენ და თქვენნაირმა მეცნიერებმა, ს. კარაპეტიანო. გახსოვდეთ, სომეხთა უმეტესი ნაწილი 1828-1830 წლებშია მოსული ჯავახეთში. ასე დაიწყეს აფსუა და ოსმა ვაიმეცნიერებმა ქართულ მიწაზე მათი აბორიგენობის შესახებ ზღაპრების თხზვა და გააჩაღეს ცრუ მეცნიერული პროპაგანდა. რუსეთის იმპერიის დახმარებით დროებით შედეგსაც მიაღწიეს და გამოაცხვეს ე. წ. „რესპუბლიკები". აი, საით უმიზნებს ს. კარაპეტიანი, საზოგადოება „ჯავახქი" და მის ზურგს უკან მდგომი დაშნაკური პარტია. არ იქნება ურიგო გაიხსენოთ დაშნაკური პარტიის ბეცი პოლიტიკის შედეგად 1915 წელს მილიონნახევარი სომეხის გაჟლეტვა თურქეთში. ისტორიის მწარე გაკვეთილების გათვალისწინება ზედმეტი არასდროს არ არის. „სომხური ცივილიზაციის" „დამანგრეველი" ქართველი ხალხის გულმოწყალებით იქნებ კიდევ მოგიხდეთ სარგებლობა... თქვენი ყალბი მეცნიერული პროპაგანდის შედეგი თვალწინაა — დაშნაკურმა საზოგადოება „ჯავახქმა" 1998 წლის 20 აგვისტოს ნომერში, გაზ. „ჯავახქ"-ში გამოაქვეყნა „ჯავახქის" ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი?!... ანდა მეგობრობის, ან უბრალოდ მეზობლობის რომელ ნორმაში თავსდება აფხაზეთის ე. წ. საგარეო საქმეთა მინისტრის, ვინმე შამბას მიერ საქართველოს ისტორიის საკითხებზე დისერტაციის დაცვა ერევნის ეთნოგრაფიის ინსტიტუტში (1998. 10. XI). თქვენ ქართველთა სისხლით გაუმაძღარი მტერი გულში ჩაიხუტეთ!

ავლაბარში, ელიაზე, ოდესღაც ხოჯავანქის სასაფლაო იყო, დღეს მშვიდობისა და მეგობრობის პარკია. ამ ბაღის ტერიტორიის ერთ ნაწილზე წმ. სამების ქართული ტაძარი შენდება. ამ მშენებლობის შესახებ ხშირად არის ლაპარაკი კრებულში. მავანთ და მავანთ შევახსენებ: ვერის პარკი ოდესღაც ქართველთა სასაფლაო იყო, მაგრამ დღეს იქ სასპორტო მოედნები, ნაგებობებია: მთავრობის თუ ქალაქის მერიის გადაწყვეტილებით აშენდა მრავალსართულიანი, უზარმაზარი ჭადრაკის სასახლე და ა. შ. საქართველოსა და მის დედაქალაქში არ არის მტკაველი მიწა,

გაგრძელება მე-9 გვ.

## ხალხური მედიცინა

# ორგანიზმი იკურნება განმენდით!

## მცენარეული ზეთით მკურნალობის ჩინური მეთოდი

მეთოდის არსი მდგომარეობს მცენარეული ზეთების (უმჯობესია მზესუმზირის ზეთი) არა დალევის, არამედ წოვის აქტში. მთელი მკურნალობის საფუძველი სწორედ წოვის აქტია — დანარჩენს ასრულებს თვით ორგანიზმი. ამ მეთოდით მკურნალობა ახდენს სასწაულებს: სუფთავდება ყველა უჯრედი, ქსოვილი, ორგანო.

დაავადებები, რომლებიც იკურნება ამ მეთოდით: თავის და კბილის ტკივილი, ჰაიმორიტი, ფრონტიტი, თრომბოფლებიტი, სისხლის ქრონიკული დაავადებები, დამბლა, რადიკულიტი, ეგზემა, ეპილეფსია, ზოგიერთი სახის სიმსივნე, კუჭის, ნაწლავის, ღვიძლის, გულის დაავადებები, ქალური დაავადებები.

მკურნალობის მეთოდიკა: თავს ვხრით და ერთი სუფრის კოვზ მზესუმზირას ზეთს ვიგუბებთ პირის ღრუს წინა ნაწილში. შემდგომ 15-20 წუთის განმავლობაში უნდა ვწოვოთ ეს ზეთი ისევე, როგორც საწოვარა ან კანფეტი.

ზეთის ჩაყლაპვა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება!

წოვის პროცედურა უნდა ხდებოდეს მსუბუქად, თავისუფლად, დაძაბვის გარეშე. დასაწყისში პირის ღრუში მოთავსებული ზეთი ხდება ბლანტი, სქელი, შემდგომ კი თხევადი, როგორც წყალი. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გადმოვაფურთხოთ. გადმოფურთხებული სითხე უნდა იყოს რძესავით თეთრი, თუკი სითხე ყვითელია, ეს ნიშნავს, რომ წოვის პროცესი ბოლომდე არაა მიყვანილი. ამ შემთხვევაში უნდა გაიზარდოს წოვის ხანგრძლივობა. გადმოფურთხების შემდეგ პირში გამოვივლოთ წყალი და ეს წყალიც გადმოვაფურთხოთ.

პროცედურა უნდა ჩატარდეს ერთხელ დღეში, უმჯობესია დილით, შეიძლება ორჯერაც — დილით უზმოზე და საღამოს ძილის წინ. მკურნალობის დასაჩქარებლად — დღეში რამდენიმეჯერ.

მოსალოდნელი შედეგები: უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ მეთოდით მკურნალობის დასაწყისში შესაძლებელია წარმოიშვას გამწვავება, კერძოდ,



ავადმყოფის გუნება-განწყობილება გაუარესდეს, რაც იმის ნიშანია, რომ ხდება ქრონიკული პროცესის „გამოღვიძება", ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობისაკენ დაბრუნება.

ცხადია, რომ გამწვავების დროსაც არ უნდა შევწყვიტოთ მკურნალობა, რადგან დაავადება ვითარდება შემდეგი სქემით: ჯანმრთელი მდგომარეობა — მწვავე პროცესი — ქრონიკული პროცესი. გამოჯანმრთელებაც შებრუნებული სქემით უნდა მოხდეს: ქრონიკული პროცესი — მწვავე პროცესი — ჯანმრთელი მდგომარეობა.

მცენარეული ზეთით ორგანიზმის განმენდის ჩინური მეთოდი ძალზე ეფექტური მეთოდია, მაგრამ იგი უნდა გამოვიყენოთ დიდი ხნის განმავლობაში და შესაბამისად, შედეგის მიღწევასაც გარკვეული დრო სჭირდება. ეს მეთოდი ითვლება ღვიძლის გამწმენდ შესანიშნავ საშუალებად. მზესუმზირის ზეთი იმიტომ წმენდს ღვიძლს, რომ, როცა ჩვენ მას ჩავიგუბებთ პირის ღრუში, ვხრით თავს და ენით ვამოძრავებთ მთელ პირის ღრუში, ამ პროცესის შედეგად ქვედაყბისქვეშა ჯირკვლებში ძლიერდება სისხლის მომოქცევა. კაპილარებიდან ზეთი მიიზიდავს სისხლში გახსნილ ტოქსინებს, შლამებს, დაავადების გამომწვევ მიკრობებს, მარილებს. ყოველივე ამის შედეგად კი ღვიძლი, ელენთა, ფილტვები და ა.შ., პრაქტიკულად ყველა ორგანო სუფთავდება. როცა ვამტკიცებთ, რომ ამ პროცედურით ორგანო იწმინდება, ოდნავადაც არ ვაჭარბებთ. საქმე იმაშია, რომ ადამიანის თითქმის ყველა ორგანოს წარმომადგენლობა, „საელჩო" ენის ზედაპირზეა. სწორედ მათი მეშვეობით ვწმენდთ ამ ორგანოებს.

სასურველია, თუკი მზესუმზირას ზეთით გამწმენდ პროცედურებს ჩავიტარებთ მთელ წელიწადს. ყოველთვე 10 დღის განმავლობაში, მთვარის II და IV ფაზის პერიოდში, ღვიძლისათვის კი ყველაზე ხელსაყრელი პერიოდია მარტი, აპრილი, მაისი.

**შენიშვნა: 1998 და 1999 წლის მთვარის კალენდრებს გამოვაქვეყნებთ მომდევნო ნომერში.**

**მასალა აღებულია წიგნებიდან — „სამკურნალო წიგნი". I, II ტომები — შედგენილი შ. საბახტარიშვილის მიერ.**

გაგრძელება, დასაწყისი „საქართველო" № 62-68

# სომხები საქართველოში

## თავი მესამე
## სომხები საქართველოში XX საუკუნეში

1. სომეხთა მიგრაციის ახალი ნაკადები

საქართველოში რუსეთის ცარიზმის დემოგრაფიულმა ექსპანსიამ XX საუკუნის დასაწყისში ფართო ხასიათი მიიღო. ჩვენს ქვეყანაში კვლავაც გრძელდებოდა სომხების, რუსების და სხვა უცხო ტომთა ჩამოსახლება, ქართული მიწა-წყლის მიტაცება-მითვისება. თურქეთში სომხების წინააღმდეგ რეპრესიების გაძლიერების შედეგად საქართველოში მათი მიგრაცია გაიზარდა. როგორც უკვე აღინიშნა, 1897-1902 წწ. საქართველოში შემოვიდა დაახლოებით 55 ათასი სომეხი, თბილისში სომხების რაოდენობა გადიდდა 46,7 ათასიდან 124,9 ათასამდე, რომელთაგან დაახლოებით 68 ათასი ახლად მოსული იყო.

რუსეთის ბიუროკრატიას „ჩვეულებად" და კანონად ჰქონდა რომელიმე კავკასიელი ერის ნიშანში ამოღება და მისი განსაკუთრებით დევნა-შევიწროება. 80-იანი წლები სომხებისათვის საბედისწერო წლები იყო. რუსეთში ფინეთიდან კავკასიამდე გაისმოდა ლოზუნგი „რუსეთი რუსებისათვის!" ამ ლოზუნგს მოჰყვა სომხების ათვალისწუნება და მათდამი პოლიტიკური უნდობლობა. 1885 წელს დაიხურა 500-მდე სომხური სკოლა, 30 ათასი მოსწავლე ქუჩაში დარჩა. ცარიზმის მოხელეებს გაახსენდათ, რომ ზოგიერთ სომხურ სკოლაში ეკიდა „დიდი სომხეთის" ისტორიული რუკები, ლოცვა-წირვა სომხურად მიმდინარეობდა, სომხებს ბრალს სდებდნენ ინგლისთან სიმპატიებში. დახურეს „კავკასიის სომხური საქველმოქმედო საზოგადოება" და სხვა საზოგადოებები, მათ შორის წიგნის გამოცემის საზოგადოება, სომხური ჟურნალ-გაზეთები. 1903 წლის 12 ივნისის განკარგულებით სომხურ-გრიგორიანულ ეკლესიას ჩამოერთვა საეკლესიო ქონება. შეზღუდეს მისი თვითმმართველობა. სახელმწიფო სამსახურში სომხებს არ ღებულობდნენ. ძველ მოსამსახურეებს სამსახურს რუსეთში თავაზობდნენ. როგორც უკვე ითქვა, სომხები პოლიტიკურად არასაიმედო ხალხად იყო მიჩნეული. 1906 წლის 27 იანვრის საიდუმლო ცირკულარით რუსეთის გენერალური შტაბის ჟანდარმერიის კორპუსის უფროსი აცნობებდა თურქმენისტანის სამხედრო ოლქს, რომ ჟანდარმერიის კორპუსის დაკომპლექტებისას სომხები სამუშაოდ არ მიეღოთ. სომხებს კავკასიიდან და შავი ზღვისპირეთიდან რუსეთის ცენტრალურ რაიონებსა და ციმბირში ასახლებდნენ. კავკასიის მთავარმართებლის თავად გოლიცინის 1901 წლის ნოემბრის ცირკულარით სომხები უკან თურქეთში უნდა დაბრუნებულიყვნენ, ხოლო ისინი, ვინც რუსეთის ქვეშევრდომობას მიიღებდა, რუსეთის იმპერიაში რჩებოდა.

ამის საპასუხოდ რუსეთსა და კავკასიაში შეიქმნა მთელი რიგი სომხური არალეგალური კომიტეტები, რომელთა ტერორისტულმა საქმიანობამ მძიმე ხასიათი მიიღო. ზოგიერთი რუსი მოხელე სომხური საკითხის გადაჭრას, მათი სეპარატიზმის ალაგმვას სომხების ციმბირში გადასახლებაში ხედავდა. გრ. ჩალხუშიანი მიუთითებდა, რომ თითქოს ერთ-ერთი მაღალი ჩინის მოხელეს განეცხადებინოს: „მე დავწყნარდები მხოლოდ მაშინ, როცა თბილისის მუზეუმის ექსპონატებს შორის იქნება სომხის ჩუჩელა, იმ ფაქტის დამადასტურებლად, რომ კავკასიაში ოდესღაც სომხები ცხოვრობდნენო" (იხ. გ. ჩალხუშიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 89).

1905 წელს ცარიზმის მიერ ინსპირირებულ სომეხ-თათართა შეტაკებების წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა ქართველობამ, ქართველმა ინტელიგენციამ. მეფის არმიის ახალგაზრდა ოფიცერმა ლავრენტი ბაბუნაშვილმა, 1905 წელს ბაქოში იმპერიის შავრაზმელ მოხელეთა მიერ ინსპირირებულ სომეხ-თათართა ჟლეტის დროს, თავისი გმირული თავდადებით დაღუპვას გადაარჩინა 170 სომეხი. სომეხი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მხსნელს გადასცა ოქროს ხმალი წარწერით, ვერცხლის ალბომი, სიკვდილს გადარჩენილი ქალებისა და ბავშვების სია, ბაქოს მახლობლად აჩუქეს აგარაკი და მიართვეს ადრესები. ერთ-ერთ ადრესში, რომელსაც ხელს აწერდა 89 სომეხი ქალი და ბავშვი, ნათქვამი იყო: „ჩვენ უსამართლოდ დევნილი და ტანჯული სომეხი ქალები, მოგმართავთ თქვენ, ჩვენო კეთილშობილო და დამცველო, რათა გითხრათ გულწრფელი და ულრმესი მადლობა ჩვენი ძმების, დების, ბავშვებისა და თვით ჩვენი გადარჩენისათვის, თქვენი გმირული სახელი არასოდეს წაიშლება და ჩვენს გულებსა და მეხსიერებაში მარად უკვდავი დარჩება" (იხ. დ. კაკაბაძე, მივიწყებული გმირი ოფიცერი-განთიადი, 1990, №1, გვ.107).

ძვირად დაუჯდა 22 წლის ქართველ ოფიცერს ლ. ბაბუნაშვილს მეფის რეაქციასთან შერკინება და სომეხთა გადარჩენა. 1906 წლის 31 იანვარს, იმ საგმირო საქმის ჩადენიდან სამი თვის შემდეგ, ტყვიით განგმირული ნახეს ყაზარმასთან ახლოს.

კავკასიის მთავრობამ სომხების წინააღმდეგ იდეოლოგიურ ბრძოლაში გამოიყენა ოფიციალური გაზეთი „კავკაზ"-ი, რომელსაც რედაქტორობდა ვ. ველიჩკო. სომეხი ერი მიაჩნდათ ანტისახელმწიფოებრივ ელემენტად. გაზეთის მთელი რიგი პუბლიკაციები სომხების წინააღმდეგ იყო მიმართული. თვით ვ. ველიჩკომ დაიწყო პამფლეტ-მოთხრობა „ნორ-ქალაკ"-ის გამოქვეყნება. იგი თითქმის ერთ წელიწადს იბეჭდებოდა და შეიცავდა ათასგვარ ცილისწამებას სომხების წინააღმდეგ (იხ. გ. ლასხიშვილი. მემუარები. თბ., 1992, გვ. 99).

კავკასიის მთავარმართებლად გოლიცინის შემდეგ ი. ვორონცოვ-დაშკოვი დაინიშნა. სომხების წინააღმდეგ ბრძოლა თანდათან შესუსტდა და დიამეტრულად შეიცვალა სომხებისადმი რუს დიდმოხელეთა დამოკიდებულება. სომხურ ეკლესიას ჩამორთმეული მამულები და ქონება დაუბრუნეს. სომხებს დაუწყეს მფარველობა და მოფერება. ცარიზმა ეხლა ქართველები მიიჩნია იმპერიისათვის ყველაზე საშიშ ელემენტად, ქართული ენა, ქართული სკოლა, ეკლესია, ქართული საზოგადოებრიობა.

ი. ვორონცოვ-დაშკოვმა გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით მფარველობის ქვეშ აიყვანა სომეხი ნაციონა-



ლისტები და სომხური ბურჟუაზია. რუსეთის მთავრობა სომეხთა მიერ პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე ამიერკავკასიის ფარგლებში ოცნების შესაძლებლობაც კი ფიქრადაც არ მოსდიოდა, ამიტომ როგორც უკვე აღინიშნა, სომეხთა ჩამოსახლება საქართველოში საშიშროებად არ მიაჩნდა, რადგან სამაგიეროდ ქართველი მოსახლეობის ხვედრითი წონა მცირდებოდა და თანაც საქართველოში რუსეთის უერთგულეს ქვეშევრდომთა რიცხვი უმრავლდებოდათ, მაგრამ როდესაც ამიერკავკასიაში ერობის შემოღებაზე მსჯელობა დაიწყეს, მაშინ უკვე ყველასათვის ნათელი გახდა, რომ პოლიტიკოსებს ოსმალეთიდან სომეხთა საქართველოში გადმოსახლება, როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, „... მარტო ფიზიკურად გადარჩენის თვალსაზრისით არ აინტერესებდათ, არამედ გარკვეული პოლიტიკურ-ეროვნული გეგმის, გაბნეული სომხებისათვის ერთიანი მთლიანი ტერიტორიის შესაქმნელად იყო საახალშენო ადგილები არჩეული"... (ივ. ჯავახიშვილი. მოხსენება საბჭოთა საქართველოს მთავრობას 1925წ. 2 ივლისს-სახალხო განათლება, 1990, 11 ნოემბერი).

სომხები სარგებლობდნენ რუს მოქალაქეთა ყველა უფლებით და უპირატესობით. სომხები ითვლებოდნენ საერთოდ რუსეთის და კერძოდ, კავკასიის ყველაზე საიმედო ელემენტად (იხ. გ. ჩალხუშიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 6). ეს როლი სომხებს ეამაყებოდათ და აზვიადებდნენ მას. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს გრ. ჩალხუშიანის წიგნაკი „რუსეთში სომხური საკითხი და სომეხთა დარბევები (პანისლამიზმი)". გრ. ჩალხუშიანი დიდი სიამაყით აღნიშნავს, რომ თითქოს სომხების კულტურული როლი რუსეთის იმპერიაში საერთოდ და განსაკუთრებით კავკასიაში მეტად მნიშვნელოვანი იყო. რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობის შემდეგ კავკასია წარმოადგენდა იმპერიისათვის არასაიმედო და მტრულად განწყობილ მხარეს. „სომხები, როგორც ყოველთვის, — ნათქვამია გრ. ჩალხუშიანის წიგნაკში, — კავკასიაში წარმოადგენდნენ რუსეთის ინტერესების ერთგულ გამტარებლებად და ხელს უწყობდნენ რუსული მმართველობის დამყარება-განმტკიცებას...

ყოველ ომში კავკასიაში რუსები პოულობდნენ სომხების მატერიალურ მხარდაჭერას" (იქვე, გვ. 11). სომეხთა ამ „დამსახურების" შესახებ არაერთხელ აღინიშნა რუსეთის იმპერატორების რესკრიპტებში.

გრ. ჩალხუშიანი თავის „ნაშრომს" ასე ამთავრებს: „ნუთუ კავკასიის ყველა ხალხი თავისი უფროსი ძმის რუსებთან ერთად ხელიხელ ჩაკიდებული, ურთიერთსიყვარულით არ წავა სასურველი ნაყოფიერი შრომის, კულტურისა და თავისუფლების გზით?! და ნუთუ კავკასია, ეს ჩვენი იმპერიის საუკეთესო ბრილიანტი არ მოიცილებს თავის სქელ მტვერს და არასდროს არ გამობრწყინდება?!" (იხ. გ. ჩალხუშიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 93).

ჯერ კიდევ ეკატერინე II-ის დროს განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები სამხრეთ რუსეთის დაუსახლებელ ადგილებში სომხების მასობრივ-დასასახლებლად. ეკატერინე II ყირიმში დასახლებულ სომხებს მიანიჭა მთელი რიგი უპირატესობები.

1905 წლის ივნისში თბილისში ი. ვორონცოვ-დაშკოვმა მიიღო კავკასიის 24 რაიონის სომხური მოსახლეობის დეპუტაცია-ა. ბებუთოვის, პ. გამბაროვის, ტ. იოანისიანის, ა. კალანტარის, ი, სპენდიაროვის, გ. სტეპანოვის, ა. ხატისოვის (თბილისი); ს. არუთინოვის, კ. ხატისოვის (ბაქო); ლ. სარქისიანის (ნახჭევანი); ს. აფანასიევის (ელისავეტპოლი); ი. საგათელიანის და ს. ტიგრანიანის (ერევანი); ე. მელიქ-აზარიანის (შუშა) და ტერმირაკიანის (ალექსანდრპოლი) შემადგენლობით.

დეპუტაციამ ი. ვორონცოვ-დაშკოვს წარუდგინა მოხსენებითი ბარათი, რომელშიც ნათქვამი იყო: „კავკასიაში რუსეთის ბატონობის დამკვიდრების დღიდან სომხები თავიანთი მოქალაქეობრივი შეგნებით ღებულობდნენ საქმიან მონაწილეობას კავკასიის მოწყობასა და იქ კულტურის დამკვიდრებაში. სომხურ მოსახლეობას შეგნებული ჰქონდა რუსულ საზოგადოებასთან ერთიანობის აუცილებლობა, მშვიდობიანი შრომისადმი თავისი ერთგულებით ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ ქვეყნის კანონები უზრუნველყოფდნენ მის თავისუფალ, სამოქალაქო და ეროვნულ განვითარებას" (იქვე, გვ. 62).

მაგრამ „სომეხი ხალხის სისტემატიური დევნა მივიდა იქამდე, რომ ცენტრალური ადმინისტრაცია ოფიციალურ ორგანოს ფურცლებზე წინასწარგამიზნულად ყალბად აშუქებდა კავკასიის ცხოვრებას და სომხების მისწრაფებებს, თესავდა სიძულვილს ცალკეულ ხალხებს შორის. თვით რუსეთის სომხების ბუნებრივი მისწრაფება, თავიანთ საზღვარგარეთელ ძმებისათვის გაეწიათ მატერიალური და მორალური მხარდაჭერა და დახმარება, დანაშაულად ითვლებოდა და ისჯებოდა" (იქვე, გვ. 63).

ი. ვორონცოვ-დაშკოვი წინასწარ გაეცნო მოხსენებით ბარათს და პირადად მიიწვია სომხური დეპუტაცია განსაკუთრებულ აუდიენციაზე. იგი სომხებს შეპირდა, რომ ყოველმხრივ დახმარებას გაუწევდა და თავის მხრივ მან მოითხოვა სომხებს შეეწყვიტათ ტერორისტული საქმიანობა (იხ.იქვე, გვ. 69).

ი. ვორონცოვ-დაშკოვის არმენოფილურმა პოლიტიკამ კიდევ უფრო წააქეზა და გააქტიურა სომეხთა წრეები, ულტრაშოვინისტთა შორის გამიზნული ანტიქართული საქმიანობა. აშკარად გამოიკვეთა ქართველ კათოლიკეთა გასომხების პოლიტიკური ასპექტები. ამ მხრივ საინტერესოა 1914 წლის 14 მაისს „სახალხო გაზეთში" გამოქვეყნებული „ძალად სომეხ-კათოლიკე მესხთა" ღია წერილი სომეხ-კათოლიკეთა მმართველის არქიმანდრიტ ტერ-აბრამიანის მიმართ. კათოლიკე მესხთა წერილი მთავრდებოდა სიტყვებით:

„... აღარ გვსურს ყოფნა სომეხ-კათოლიკე ტიბიკონზე, ყოველს საშუალებას ვილონებთ და აღარ დავრჩებით თქვენი ნაძალადევი ბატონობის ქვეშ. ჩვენი სურვილია ვიყოთ იმავე ტიბიკონზე, რომლებზედაც არიან ჩვენი მოძმე: ტფილისის, ქუთაისის, ბათუმის და სხვა ადგილების კათოლიკე ქართველნი" (პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ვინმე მესხის(კ. გვარამაძე) მონაცემებით, სამცხე-ჯავახეთში ცხოვრობდა 9616 ქართულად მოლაპარაკე და 3890 თურქულად მოლაპარაკე ქართველი კათოლიკე(იხ. მესხი კ. გვარამაძე. ქართველ კათოლიკეთა სტატისტიკა. — „სახალხო ფურცელი", 1915, 4 ივნისი).

სამწუხაროდ, საქართველოს დაპატრონებას და საქართველოში არაქართველი მოსახლეობის დემოგრაფიულ ექსპანსიას ხელს უწყობდნენ ზოგიერთი ქართველი ბეცი პოლიტიკოსები, „ინტერნაციონალისტი" სოციალ-დემოკრატები. ქართველი სოციალ-დემოკრატები გაჰყვიროდნენ, საქართველოში სხვა ერების დასახლების წინააღმდეგ არა ვართო. ამას მიხაკო წერეთელმა უკულტურო ადამიანთა „ინტერნაციონალიზმი" უწოდა (იხ. მ. წერეთელი. ერი და კაცობრიობა, თბ., 1990, გვ.29).

მიწის საკითხი არა მარტო აგრარული საკითხია, არამედ იგი ღრმა პოლიტიკური საკითხიცაა. ქართველებს ძალიან ხშირად, საბედისწეროდ ავიწყდებათ, რომ ქართული მიწის საკითხი უწინარეს ყოვლისა, სწორედ პოლიტიკური შინაარსითაა დატვირთული, ხოლო „პოლიტიკური" ამ შემთხვევაში ერის ეროვნული ყოფნა-არყოფნის საკითხს გულისხმობს. ქართველები ქართულ ტერიტორიას ძალიან იოლად იმეტებენ, თეთრი კბილით თუ შავი გულით მოწოლილ უცხო ტომთათვის (იხ. ლ.სანიკიძე „მესამე დასის" საქართველო. თბ., 1989, გვ.128-129).

1912 წელს კიევში ჩატარდა

გაგრძელება მე-11 გვ.

# ერთი ცილისმწამებლური სომხური გამოცემის გამო

*„ცილისწამება: ტყუილის მოწმობა, ტყუილის შეწამება"*

*სულხან-საბა*

მერვე გვერდიდან

ადამიანთა ნებსით თუ უნებლიე სამარხი არ იყოს, რაც ჩვენი ბედუკუღმართი ისტორიის კვალია. ადრე თუ ამა თუ იმ ადგილას სასაფლაო იყო და დღეს იქ რაიმე აშენდა, ეს არავინ, არც ქართველებმა და არც სომხებმა მტკივნეულად არ უნდა მიიღოს, დრო და ქალაქის განაშენიანება თავისას მოითხოვს. ასე რომ, საქართველოს საპატრიარქოს სრული იურიდიული და მორალური უფლებაა, ააშენოს ტაძარი თბილისში იმ ადგილას, სადაც მიზანშეწონილად ცნობს.

სომხური ეპიგრაფიკა შეგნებულად არავის მოუსპია. თუ ჟამთასვლამ თავისი ქნა და განადგურდა, ქართველი აქ რა შუაშია. ის კი, თითქოს სამ ათეულზე მეტი სომხური ეკლესია „გაქართულდა", ე. ი. მიითვისეთ, არ არის მართალი და მკითხველს ატყუებთ. კი არ გაქართულდა, არამედ ეს ეკლესიები იყო ქართული, ქართველთა ძნელბედობით ისარგებლეს სომხებმა და სხვადასხვა დროს არცთუ საკადრისი ხერხებით მიისაკუთრეს, რა თქმა უნდა, მისი ქართულობის დამადასტურებელი ნიშნის მოსპობა-განადგურების შემდეგ. შემდეგ სომხის სასულიერო პირებს ეკლესია სომხურ ეკლესიათა სიაში შეჰქონდათ, მისი ქართული წარმომავლობის აღნიშვნის გარეშე. ამიტომ, სომხური საეკლესიო საბუთები იმთავითვე ნაყალბევია და მეცნიერულ ნდობას არ იმსახურებს. ამის შესახებ დაწვრილებით იხილეთ წიგნი მონოგრაფია — ბონდო არველაძე „სომხური" თუ ქართული ეკლესიები საქართველოში?!)".



1997 წლის ერევნის გაზეთ "Голось Армения" (30.IX) გამოქვეყნებულია ვინმე — გენოს — წერილი "Будет ли положен концу варварству".

ამ წერილში ერთ-ერთ ბრალდებად წამოყენებულია — თითქოს ექიმის და საზოგადო მოღვაწის, ნამდვილად კეთილშობილი მოქალაქის ნიკო ხუდადოვის საფლავი ვერის ძველ სასაფლაოზე განადგურებულია და მის ადგილას 23 წლის ქართველი ახალგაზრდა არის დასაფლავებული. ამ ცნობამ შემძრა. სასწრაფოდ წავედი ვერის სასაფლაოზე და მოვინახულე ნიკო ხუდადოვის საფლავი. განცვიფრებული დავრჩი ნანახით. ადგილზე იყო საფლავის ქვაც და მასზე წარწერაც. ეჭვი რომ არ შეეპაროს ვინმეს, გადავიღე ფოტო და ვაქვეყნებ. ახლა მკითხველმა განსაჯოს, რამდენად სანდოა გენოსი და მისნაირების კრებულში შესული წერილები და მათში მოტანილი ფაქტები. ამ წერილებს კი ს. კარაპეტიანი მეცნიერულ ნდობას უცხადებს. საგულისხმოა ისიც, რომ გენო შემთხვევითი ავტორი არ არის, მისი, რამდენიმე „გულისამაჩუყებელი" წერილია კრებულში (გვ. 36, 43, 54).

კრებულში კიდევ არაერთი სადავო საკითხია, რაც დინჯ, მეცნიერულ კვლევას მოითხოვს, ეს კი მომავლის საქმეა. ეს მოკლე საინფორმაციო წერილი გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს ამ მართლაც ცილისმწამებლური კრებულის შინაარსზე.

ჩვენ მაინც იმედს ვიტოვებთ და გვგონია ს. კარაპეტიანივით არ ფიქრობს ყველა სომეხი საქართველოსა და ქართველ ხალხზე. საღად მოაზროვნე სომხები ქართველებთან ძმობა-მეგობრობას აფასებენ და უფრთხილდებიან კიდეც.

**გოჩა ხურციძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამოხმაურება

# ლენინური პრემიის ლაურეატი — მსოფლიოს გამოჩენილი ურარტოლოგი!

# ტერორიზმი მეცნიერებაში

## გ. ყორანაშვილის მიერ გამოქვეყნებული პასკვილის გამო

*მეშვიდე გვერდიდან*

**пополняю свои знания по соответствующим дисциплинам и пользуюсь его указаниями в разработке ряда тем.** ბ-ნმა ყორანაშვილმა გადმოწერა: 2) ... **исполняю свои знания по соответствующим дисциплинам и пользуясь его указаниями в разработке рядом тем...**

და სხვ.

თუმცა რუსული რა მოსატანია, ჩვენი ისტორიკოს-ფილოსოფოსი მშობლიურ, ქართულ ენასაც უმოწყალოდ ამახინჯებს. ფაქტებისათვის შორს წასვლა საჭირო არ არის. განსახილველი თხზულებაც სავსეა ისეთი „მარგალიტებით", როგორიცაა: „ხმა გამოილო", „ორგანიზება უყო", „მოწმეთა"... „ცოცხლად ყოფნის დროს", „მითითებას არ დაზარდებოდა" და სხვ.

ზემოთ, ქართულ საზოგადოებაზე ბ-ნი ყორანაშვილის ნეგატიურ შეხედულებებს შევეხეთ. სამართლიანობა მოითხოვს ვაღიაროთ, რომ მის ერთ-ერთ შეფასებას, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც, ჩვენც ვიზიარებთ. მხედველობაში გვაქვს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „... მეცნიერმუშაკთა წრეშიც კი პლაგიატი დიდ სირცხვილად არ ითვლება". ამ დებულებას ასე დავაზუსტებდით: „მეცნიერთა წრეში" კი არა, „სამწუხაროდ, ზოგიერთი მეცნიერისათვის საკუთარი პლაგიატი დიდ სირცხვილად არ ითვლება". ამის დასამტკიცებლად არც რაღაც დაუჯერებელი, ზღაპრული ვერსიების გამოგონებაა აუცილებელი და არც დიდი ხნის წინათ ჩვენგან წასული პიროვნებათა სულების შეწუხება. საამისო „კრიმინალი" (როგორც ამას ბ-ნი ყორანაშვილი იტყვის) სულ ახლახანს მოხდა ათეულობით ისტორიკოსის თვალწინ: 1998 წლის 18-22 მაისს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში (მელიქიშვილის ქ. 10) ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. აღნიშნულ სესიაზე (20 მაისს) წაკითხულ იქნა მოხსენება თემაზე: „ქართველთა ერთი მნიშვნელოვანი ბრძოლის ადგილმდებარეობის შესახებ". დამსწრეთა უკმაყოფილება გამოიწვია აშკარა ცინიზმმა და ირონიულმა ტონმა, რითაც მომხსენებელი მის წინამორბედ მკვლევარებს, მათ შორის ივ. ჯავახიშვილს და სხვებს ამკობდა იმის გამო, რომ მათ სწორედ ვერ განსაზღვრეს აღნიშნული ბრძოლის ადგილმდებარეობა. მაგრამ მთავარი მათ წინ ელოდათ: თავისი გამოსვლით კმაყოფილმა, სახეგაბრწყინებულმა მომხსენებელმა, აუდიტორიას ამაყად მოავლო თვალი და ის იყო ყელმოღერებული ტრიბუნიდან ჩამოსვლას აპირებდა, რომ ადგილიდან წამოდგა ცნობილი მეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე და ისტორიკოსი, პროფესორი კარლო ტაბატაძე და გამარჯვებულ ორატორს დელიკატურად შეეკითხა — გამოყენებული ჰქონდა, თუ არა მას ბ-ნ გივი იმერლიშვილის გამოკვლევა, რაზეც მომხსენებელმა, რამდენადმე იხტიბარგატეხილმა, უპასუხა, რომ ასეთი გამოკვლევის არსებობა მისთვის უცნობია, რასაც ბ-ნი კ. ტაბატაძის რეაქცია მოჰყვა — როგორ არ იცოდი, მე თვითონ გითხარიო. ამაზე მომხსენებელმა რაღაც წაილუღლუღა და ტრიბუნა დატოვა.

ერთი სიტყვით, გამოაშკარავდა, რომ ასეთი რიხით წაკითხული მოხსენება მთლიანად გადმოღებული იყო ხაშურის რაიონის გაზეთ „ალიონის" 1990 წლის 17 ივლისის ნომერში მოთავსებული გ. იმერლიშვილის წერილიდან „შინდარის ბრძოლა".

ეს მომხსენებელი, ანუ ხაშურის მუზეუმის თანამშრომლის გამძარცველი-პლაგიატორი, გახლდათ მეცნიერული ეთიკისა და სამართლიანობისათვის მებრძოლი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ისტორიკოსი, ბ-ნი ყორანაშვილი (მკითხველს შეიძლება გაუკვირდეს, საიდან ჩაუვარდა ხელში პლაგიატორს ხაშურის გაზეთი, ამიტომაც ვაცნობებთ, რომ ბ-ნი ყორანაშვილი ხაშურის რაიონის მკვიდრია. აქვე მოვახსენებთ, რომ რადგან მისი ოინები გამოაშკარავდა, პლაგიატორმა მოხსენების პირვანდელი სახით გამოქვეყნება ვეღარ გაბედა, მას სათაური შეუცვალა („ქართველთა ერთი მნიშვნელოვანი ბრძოლის ადგილმდებარეობის გარკვევისათვის") და ისტორიოგრაფიული მიმოხილვის ფორმით გამოაქვეყნა, სადაც იძულებული გახდა ეღიარებინა აღნიშნული საკითხის გარკვევაში გ. იმერლიშვილის პრიორიტეტი).

აი, ვის აქვს საქართველოს პირველი ისტორიკოსის პრეტენზია. აი, ვინ იბრძვის 13 წლის მანძილზე იმისათვის, რომ ჭეშმარიტად დიდ ქართველ მეცნიერს ტალახი ესროლოს და ყოველგვარი უმსგავსობა (მათ შორის პლაგიატორობა) დააბრალოს. აი, ვის წარმოუდგენია თავი ქართული მეცნიერების სინდისად და მისი განვითარების მიმართულების განმსაზღვრელად.

ვფიქრობთ, ყველაფერი ნათელი და გარკვეულია; გასარკვევი მხოლოდ ის არის, თუ სადამდე გაგრძელდება საეჭვო მორალისა და ზნეობის, ვაი მეცნიერის აულაგმავი ჯირითი ქართული გაზეთების ფურცლებზე? როდემდე უნდა უცქიროს ქართულმა საზოგადოებამ გულგრილად ბ-ნი ყორანაშვილის შეუნიღბავ ტერორს ქართველი ისტორიკოსების წინააღმდეგ?

არ გვინდა ჩვენი წერილი მკითხველმა აკადემიკოს გ. მელიქიშვილის გამოსარჩლებად მიიღოს. ღვაწლმოსილ მეცნიერს თავისი ღირსეული ადგილი ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარებაში უკვე გარანტირებული აქვს და ამას ვერავითარი ინსინუაციები ვერ შეარყევს. ჩვენი მიზანია ქართული საზოგადოების ყურადღება მივაქციოთ ჭეშმარიტი მეცნიერების დაცვას პროვინციული, ამბიციური უტიფრობის, ყოყლოჩინობისა და შურისმაძიებლობისაგან.

ჩვენ ყველა იმ სისტემიდან მოვდივართ, სადაც ყოველგვარი ურთიერთობა სახელმწიფოს დონეზე იყო დარეგულირებული. ერთადერთი პარტია, მთავრობა, ცენზურის დახვეწილი სტრუქტურებით ოფიციალური პრესის და სხვა საშუალებებით ცალკეული პიროვნებების მხრიდან ადამიანის უფლებების დაცვის გარკვეულ გარანტიებს უზრუნველყოფდნენ და დამცავ ბარიერებს ქმნიდნენ. სისტემა დაინგრა. გათავისუფლებულმა ქვეყანამ ღია დემოკრატიული საზოგადოების აშენება დაიწყო, რომლის პირველი ნაყოფი — სიტყვის თავისუფლება, ზოგიერთისათვის ძნელად მოსანელებელი გამოდგა. ტოტალიტარული რეჟიმის აღმკვეთი ბარიერების მოშლა ზოგიერთმა ამბიციურმა პიროვნებამ ყველაფრის უფლების, დაუსჯელობის ზეიმად აღიქვა. დღეს, ყველა განაწყენებულს, შურისმაძიებელს, თუ უბრალოდ, შურით აღვსილს, საშუალება აქვს, რაც მოესურვება, ის თქვას და დაბეჭდოს, მეცნიერის ადამიანური უფლებები ფეხქვეშ გათელოს, ისეთი ჭორები გაგივრცელოს, ისეთ რამ დაგაბრალოს, რისგან თავის მართლებაც კი შეურაცხმყოფელი იქნება. ნებისმიერი პრინციპული პიროვნება სრულიად დაუცველია, თუ საზოგადოებრივი აზრი მხარს არ დაუჭერს. ამ თვალსაზრისით აკად. გ. მელიქიშვილის მაგალითი მრავლის მთქმელია და ჭკუის სასწავლი: ღვაწლმოსილი მეცნიერი იმით გამოირჩევა, რომ მასში შერწყმულია ერთი მხრივ თავდამბლობა და მოკრძალება, მეორე მხრივ — როცა საქმე მეცნიერებას შეეხება — უაღრესი პრინციპულობა და უკომპრომისობა, რაც მას ზოგჯერ მეტად ძვირი უჯდება.



1968 წელს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორმა აკად. გ. მელიქიშვილმა შეიცოდა ფილოსოფიის მეცნიერების ახალგაზრდა კანდიდატი, გ. ყორანაშვილი, რომლისთვისაც მძიმე პიროვნული თვისებების გამო, ყველა სამეცნიერო დაწესებულების კარი ჩარაზული აღმოჩნდა და არა მარტო ინსტიტუტში მიიღო და ლუკმა-პური გაუჩინა (იმ დროს მეცნიერმუშაკს ჯერ კიდევ შეეძლო ოჯახის რჩენა), არამედ საკუთარ განყოფილებაშიც კი გამოუძებნა ადგილი. გ. ყორანაშვილს იქ სათბურის პირობები შეექმნა. ინსტიტუტის და მისი სახელოვანი დირექტორის, აკად. გ. მელიქიშვილის გვერდში დგომით, მალე სადოქტორო დისერტაციის დაცვაც შეძლო. სჩანს, ეს მეტად მძიმე ტვირთი აღმოჩნდა მისი ამბიციური ფსიქიკისათვის; თავისი პერსონის ძალები და მნიშვნელობა გადაჭარბებით შეაფასა და როდესაც სადოქტორო დისერტაციის გამოქვეყნებაზე უარი მიიღო (უარის მიზეზი გ. მელიქიშვილის მეცნიერული პრინციპულობა გახლდათ: იგი მიიჩნევდა, რომ ნაშრომის დონე და თემატიკა მარტო ისტორიის ინსტიტუტის გრიფით გამოქვეყნებას არ იმსახურებდა), მან დაივიწყა აკად. გ. მელიქიშვილის მიერ მისდამი გამოჩენილი ყველა სიკეთე, დაივიწყა, რომ სამეცნიერო ასპარეზზე მიღწეულ ყველა წარმატებებში ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის წვლილი ერთობ მნიშვნელოვანი იყო, მას უმადურობის სინდრომი დაეუფლა და „სამაგიეროს გადახდის" უკეთური გრძნობით აღივსო. ფილოსოფიის დოქტორი, თავის კეთილისმყოფელს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდა და აგერ უკვე მრავალი წელია შესაძლებლობას არ უშვებს, რომ ღვაწლმოსილი მეცნიერი სრულიად დაუმსახურებლად, უშვერი სიტყვებით გალანძღოს, ტალახი ესროლოს, ლაფში ამოსვაროს. უფრო მეტიც, იგი არც უარყოფს, რომ მისი მიზანი დიდი მეცემერის ფიზიკური განადგურებაა. ბ-ნი ყორანაშვილი ვერ მალავს, რომ მისი სამარცხვინო ამხედრება აკად. გ. მელიქიშვილის წინააღმდეგ მხოლოდ მდაბალი შურისგების გამოვლენაა. ერთგან ის აღნიშნავს, რომ პ. უშაკოვის საქმით ის 30 წლის წინ დაინტერესდა. ისტორიის ინსტიტუტის დირექტორისადმი მისი დაპირისპირება კი მხოლოდ 13 წელს ითვლის, ე.ი. ეს დაპირისპირება მხოლოდ მაშინ დაიწყო, როცა აკად. გ. მელიქიშვილმა მისი მონოგრაფიის გამოქვეყნებას მხარი არ დაუჭირა. სრულიად ნათელია, რომ ბ-ნ ყორანაშვილს მეცნიერული სამართლიანობის აღდგენის ინტერესი კი არ ამოძრავებდა, არამედ სამაგიეროს გადახდის უკადრისი მისწრაფება. მას იმედი ჰქონდა, რომ დიდ მეცნიერს პოლემიკაში გამოიწვევდა და ამით თავის პატივმოყვარეობას დაიკმაყოფილებდა და საკუთარ პერსონას დიდების შარავანდედს მოჰფენდა, მაგრამ ეს იმედი ჩქარა გაუქარწყლდა: აკად. გ. მელიქიშვილი, როგორც მოსალოდნელი იყო, არ აჰყვა, თავი არ გაუყადრა, მისი საძაგელი ინსინუაციების დონეზე არ დაეშვა. ამ ხნის მანძილზე ღვაწლმოსილ მეცნიერს, მისი გამოსვლებისათვის არცერთხელ არ მიუქცევია ყურადღება. უფრო მეტიც, იგი თავის მრავალრიცხოვან მოწაფეებსაც კი უკრძალავდა ამას (სხვათა შორის, წინამდებარე წერილიც მისგან მალულად დაიწერა). ამან ბ-ნი ყორანაშვილი, ერთი მხრივ, კიდევ უფრო მეტად გაალიზიანა, მეორე მხრივ, რაკი დარწმუნდა, რომ მოპასუხე არავინ ჰყავდა, დაუსჯელობის სინდრომი გაუძლიერდა და უზომოდ გათამამდა, დიდი მეცნიერის საწინააღმდეგო უნიჭო პასკვილების კორიანტელი დააყენა. ამ გამოხდომებით იგი სამი კურდღლის დაჭერას ახერხებს: 1. შურისმაძიებლურ გრძნობებს იკმაყოფილებს; 2. გარკვეულ მატერიალურ მდგომარეობას იუმჯობესებს და, რაც მთავარია, 3. ავადმყოფურ ამბიციებს იშოშმინებს და საქმეში ჩაუხედავ მკითხველის თვალში „დიდი მეცნიერის" სახელს იხვეჭს იმ გოშიას მსგავსად, სპილოს რომ უყეფდა — შემომხედეთ, რა ძლიერი ვარო. სხვაგვარად, ხომ ერთობ მოკრძალებული ნიჭიერების გამო, მას ავადმყოფური პატივმოყვარეობის დაკმაყოფილების არავითარი შანსი არ გააჩნია.

შეიძლება მკითხველმა იფიქროს, რომ ბ-ნი ყორანაშვილის ოდიოზური პიროვნული თუ მეცნიერული პროფილის წარმოჩენას ერთობ დიდ ყურადღებას ვუთმობთ, მაგრამ ვთვლით, რომ „ყორანაშვილიზმი" ღია საზოგადოების მშენებლობის პროცესსა და დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბების ვითარებაში, ერთობ საშიში ტენდენციების მატარებელია. ეს არის უნიჭობისა და არაპროფესიონალიზმის შეტევა ნიჭიერებასა და პროფესიონალიზმზე, ამბიციურობის ბრძოლა ჭეშმარიტი, თავმდაბალი მეცნიერის წინააღმდეგ; თვითრეკლამისა და თვითდამკვიდრების ულირსი მეთოდოლოგია, რაც ჩვენში თანდათან იდგამს ფესვებს და ყლორტებს იყრის: ბ-ნ ყორანაშვილს უკვე გამოუჩნდა მასავით პატივმოყვარე და დაბოღმილი შურისმაძიებელი არა ერთი მიმდევარი, თუ ამ სენის წინააღმდეგ ჯანსაღი საზოგადოებრიობა არ დაირაზმა, ქართული მეცნიერების განვითარება დიდი ეჭვის ქვეშ დადგება.

ამ საქმეში თავისი გადამწყვეტი სიტყვა უნდა ქართულმა პრესამ თქვას. გვესმის, რომ საყოველთაო შეჭირვების პირობებში, მსოფლიო სახელისმქონე მეცნიერის პლაგორიატორობაში დადანაშაულება დიდი სენსაციაა და ამდენად, მატერიალური თვალსაზრისით, — სარფიანი საქმეა, მაგრამ არსებობს უფრო მაღალი ღირებულება, რის დასაცავად, ეჭვი არ გვეპარება. ქართული პრესის წარმომადგენლები არაფერს დაიშურებენ: ესაა ქართველი ინტელიგენტის ღირსება და ქართული მეცნიერების განვითარების ინტერესები.

ვფიქრობთ, საკმარისია. ჩვენ არ ვაპირებთ ბ-ნ ყორანაშვილის ყველა შეცდომას თუ აბსურდულ მოსაზრებას გამოვეხმაუროთ და პასუხი გავცეთ, ამას არც გაზეთის შესაძლებლობა იძლევა და არც მკითხველის მოთმინება. პ. უშაკოვის მეცნიერული დონისა და მისგან აზრებისა თუ წაკითხვების გადმოღების თაობაზე მკითხველი აკადემიკოსების: თ. გამყრელიძისა და გ. გიორგაძის საგანგებო წერილს მიიღებს.

აშკარაა, რომ სასწაული არ მოხდა. ბ-ნმა ყორანაშვილმა ვერც აკად. გ. მელიქიშვილის პლაგიატორობა დაამტკიცა და ვერც უშაკოვის დიდი მეცნიერობა.

სამაგიეროდ, ყორანაშვილმა წარმოაჩინა საკუთარი არაკომპეტენტურობა და დილეტანტიზმი.

მეცნიერება, ისევე როგორც ყოველგვარი შემოქმედება, დიდ თეორიულ ცოდნასთან ერთად, ახლის შექმნის გამორჩეულ ნიჭს მოითხოვს, რაც რჩეულთა ხვედრია. პიროვნება, რომელსაც მეცნიერული იდეები გააჩნია, მთელ ენერგიას მათ ხორცშესხმას ახმარს. კრიტიკანობა, მდაბალი ინტრიგა, მისთვის უცხო და მიუღებელია. ამაზე იგი დროს არ დაკარგავს, მოყვასის შეურაცხყოფას, ლაფში ამოსვრას ცხოვრების მიზნად არ გაიხდის. ჭეშმარიტ მეცნიერს ეს არ ეკადრება.

არ ვართ დარწმუნებული, რომ გაგვიგებენ, მაგრამ ჩვენ მაინც გვსურს მათ ვუთხრათ: ბატონებო, ნუ გაგიტაცებთ სისვით, ბოროტებით მოხვეჭილი სახელი და პოპულარობა; რაკი შენება არ შეგიძლიათ, ამისათვის სხვის ნაშენებს ნუ დაანგრევთ, ჰეროსტატეს ნუ მიბაძავთ. ამით საკუთარი შურისმაძიებლობის და ამბიციების დაკმაყოფილებას ნუ შეეცდებით.

**აკად. გრიგოლ გიორგაძე**
**პროფ. მ. სამსონაძე**
**პროფ. ჯემალ შარაშენიძე**
**ალექსანდრე დაუშვილი**
**ისტ. მეცნ. კანდიდატი ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე**

*მეცხრე გვერდიდან*

# სომხები საქართველოში

რუსეთის ერთა არასახელმწიფოებრივი საკრებულო, კამუფლაჟით „კოოპერაციის კონფერენცია", რომელზედაც მოწვეულნი იყვნენ სოციალ-დემოკრატები—ნოე რამიშვილი და სილიბისტრო ჯიბლაძე და სოციალ-ფედერალისტები — ოსიკო ბარათაშვილი და სამსონ ფირცხალავა. ქართველმა დელეგატებმა ხელი მოაწერეს ისეთ „დადგენილებაზე", რომლის ძალითაც მორალურად საინგილო მიაკუთვნეს აზერბაიჯანს, აფხაზეთი რუსეთს და ახალციხე-ახალქალაქი, ბორჩალოს მაზრა ნავთლუღამდის სომხეთს. ეროვნულ-დემოკრატებმა სამსონ ფირცხალავას „კიევის რუკა" გამოსტყუეს, სამგლოვიარო არშიები შემოავლეს და თავიანთ ჟურნალ „კლდე"-ში გამოაქვეყნეს (იხ. დაბრუნება. მრავალტომეული. ტ. 3, თბ., 1992, გვ. 118).

„საქართველო დღეს წააგავს მსუქან დუმას, — წერდა ვაჟა ფშაველა, — გარეშე ძალა მიეტანა ამ დუმას და ნელ-ნელა ითვლის კაიკაი ნაჭრებს. ჩვენი ტერიტორია სხვის ხელში გადადის და ჩვენ ქართველები, ამ დუმის თვლას ან მიწა-წყლის გადასვლას სხვის ხელში როდი ვეწინააღმდეგებით სასტიკად, როგორ ეკადრება ასეთი საქციელი ჩვენს კეთილშობილებას!" (ვაჟა-ფშაველა. თხზ., სრ. კრებული, V, 1961, გვ. 237).

XIX-XX სს-ის მიჯნაზე ქართველ-სომეხთა ანტაგონიზმს ზოგიერთი ქართველი მკვლევარი და პუბლიცისტი სომეხ ბურჟუაზიასა და ქართველი მემამულეების წინააღმდეგობით ხსნიდა და ხსნის. როგორც გერონტი ქიქოძემ 1916 წლის სტატიაში „ბრძოლა თუ შეთანხმება" მიუთითებს, ასეთი ახსნა ცალმხრივია. ეს ანტაგონიზმი ბევრად უფრო რთული და ძველიაო. პლ. იოსელიანი აღნიშნავს, რომ გიორგი XII თურმე ხშირად ამბობდა: „ადვილად გამცემი ქვეყნისა სომეხი ერთ გროშზე გაჰყიდის მეფესა და მეფობასა. აქა ან სხვათაცა ქვეყანაში არა აქვს-რა შესატკივარი გულისა, არც კოშკი მამა-პაპათა, არც ციხე, არც ხმალი წინაპართა, არც დროშა, არც მატური მეფეთა. დღესაც მოსაცდუნებლად სპარსთა და თურქთა, სადაც არიან გაბნეულნი მათნი რომელნივე, მარადის მოვისყიდით ჯაშუშად სომეხთა უნებურთა და თვით სპარსნი და თურქნი მოისყიდიან ჩემთა სომეხთა. ასეთია მათი ბუნება. დიდად მავნეა ჩემის სამეფოსათვის თესლი ესე გაბნეული და მოშორებული ჩვენგან სარწმუნოებითა, ენითა, ზნეობითა და უცხოთა ნათესაობითა-ვითარცა ვაჭარნი საჭირონი არიან, ქვეყნისა მცხოვრებნი დიდად საშიშნი და მოსარიდებელნი; არა მეომარნი, მხდალნი და მაყურებელნი საწუთროისა, სადა და ოდეს დაედევნენ და ვისა მიემხრონ: ოსმალსა და ყიზილბაშსა" (გ. ქიქოძე. ეროვნული ენერგია. თბ., 1919, გვ.194).

გერონტი ქიქოძე მიუთითებდა, რომ „დღეს სომხები ბევრ რამეს გვედავებიან, უწინარეს ყოვლისა ტერიტორიას, რომელიც თითქოს უპატრონოა, შემდეგ მცხოვრებთა ერთ ნაწილს, რომელსაც თითქოს მეტრიკა დაჰკარგვია და ზოგჯერ პოლიტიკურ იდეალებსაც. რასაკვირველია, ეს დავა აიხსნება არა რაღაც თანდაყოლილი ჟინიანობით ანბოროტებით, არამედ სომხის ერის მდგომარეობით. სომხობა იმ ხალხთა რიცხვში შედის, რომელნიც მოკლებულნი არიან მთლიან ტერიტორიას. ასეთი ხალხის მდგომარეობა კი დიდ საფრთხეს წარმოადგენს მეზობლებისათვის. ტერიტორია ის ძალაა, რომელიც ეროვნებას აკავშირებს და გარკვეულ სახეს აძლევს. იმ ძალის უქონლობა ერმა უსათუოდ როგორმე უნდა აანაზღაუროს: წინააღმდეგ შემთხვევაში გადაგვარება და გაქრობა მოელის. ამით აიხსნება, რომ სომხობა ასე ებღაუჭება რელიგიურ მომენტს, უკანასკნელი თითქოს ტერიტორიის ერთგვარ სანაზღაუროს წარმოადგენს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ რელიგიის მნიშვნელობა თანდათან სუსტდება, ამიტომ საჭირო ხდება მისი შეკავშირება სხვა რომელიმე უფრო გავლენიან ძალასთან. ამას სომხობაც გრძნობს, მათი ეკლესია პოლიტიკური და ეკონომიკური ბრძოლის ორგანიზაციად ხდება" (იქვე, გვ. 195).

მაგრამ სომხობა მარტო ეკლესიაში როდი ეძებს დაკარგული ეროვნული ტერიტორიის სანაზღაუროს. ეკონომიკური ცხოვრების ასამოძრავებლად გაშლილი ასპარეზია საჭირო. სომხობა ობიექტური პირობების გამო იძულებულია უცხო მიწა-წყალი ჩაიგდოს ხელში, სადაც კი ეს შესაძლებელია. მისი ტალღა იქით მიისწრაფვის, საიდანაც ნაკლები წინააღმდეგობა ხვდება. საქართველოს მხრით წინააღმდეგობა მეტისმეტად სუსტი იყო წარსულ საუკუნეებში. მონღოლების, სპარსელების... შემოსევებმა გაანიავა და ფართო კარები გაუღო უცხო ელემენტებს (იხ. გ. ქიქოძე. ეროვნული ენერგია, გვ. 196).

მოსალოდნელია, — განაგრძობს გ. ქიქოძე, — რომ „გაძლიერებულ და გათვითცნობიერებულ ქართველ დემოკრატიას ბუნებრივად ტერიტორიული გაფართოების მოთხოვნილება დაებადება. ქართველი ხალხი დღესაც ძლივს ეტევა ვიწროდ შემოფარგლულ მიწა-წყალზე, მეორე მხრივ აღმოსავლეთ საქართველოში დღითიდღე იზრდება სომეხთა რიცხვი. ასეთ პირობებში აუცილებელია შეურიგებელ წინააღმდეგობათა წარმოშობა. ირლანდიისა და ოლსტერის მაგალითმა ნათლად დაგვანახა, რა დიდ საფრთხეს წარმოადგენს ერის პოლიტიკური იდეალებისათვის ჩამოთესლილი და მოუნელებელი ელემენტები სომხები..." (იქვე, გვ. 197).

პირველი მსოფლიო ომის დროს სომხურმა ბურჟუაზიამ მოხალისეთა რაზმების შექმნით, ომის სასარგებლოდ დიდი მატერიალური დახმარების გაღებით და სხვა, თავიდანვე მიიპყრო მაშინდელი მეფის ნაცვლის ვორონცოვ-დაშკოვის ყურადღება და მისი დიდი ნდობა დაიმსახურა. სომხურმა ბურჟუაზიამ დაშნაკთა პარტიის უშუალო დახმარებით ომის დროს გაითამაშა „ურაპატრიოტიზმის" ყველაზე უფრო ველური ვაკხანალია („დაშნაკცუთიუნ" („კავშირი") ერთ-ერთი უდიდესი ნაციონალისტური პარტიაა სომხეთში, რომელსაც ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. იგი აღმოცენდა თბილისში 1890 წელს. სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მან თავისი საქმიანობა, ძირითადად უცხოეთში გადაიტანა, სადაც დიდ როლს თამაშობდა სომხურ თემებში. სომხეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ იგი ერთ-ერთი წამყვანი ოპოზიციური პარტია გახდა. 1994 წლის დეკემბრიდან 1998 წლის თებერვლამდე იგი აკრძალული იყო. მ.წ. აპრილიდან კვლავ დაიწყო გამოსვლა მისმა ყოველდღიურმა გაზეთმა „ერქირმა" („ქვეყანა"). ამჟამად უკანასკნელი 80 წლის შემდეგ პირველად სომხეთის მთავრობაში ამ პარტიის წარმომადგენელია შეყვანილი. „დაშნაკცუთიუნს" პარტიას 1992 წლიდან ჰყავს თავისი უკანონო საიდუმლო ორგანიზაცია „ჰდრო". სომხური დიასპორის მრავალრიცხოვანი ნაწილი დღეს „დაშნაკცუთიუნის" წევრია და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დიდძალ კაპიტალს ფლობს. გახსნილი აქვს საკუთარი წარმომადგენლობები ევროპის, აზიის და ამერიკის კონტინენტებზე. დასავლეთის ბიუროს ცენტრი ათენშია, ხოლო აღმოსავლეთის — ბეირუთში). სომხური ბურჟუაზია და სომხური ნაციონალისტური პარტიები ვარაუდობდნენ, რომ ომში რუსეთის გამარჯვებით მიიღებდნენ თავისუფალ ეკონომიკურ რაიონს — სომხეთის ავტონომიას და გახდებოდნენ მდგომარეობის ბატონ-პატრონი.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა გ. ვეშაპელის მოსაზრება. იგი აღნიშნავს, რომ XX საუკუნის ათიან წლებში რუსეთის აღმოსავლეთის პოლიტიკა უგულებელყოფდა თურქეთის ქართველებს და უმთავრესად ორიენტაციას სომხებზე იღებდა. საქართველომ რუსულ დიპლომატიასა და სტრატეგიაში თავისი როლი შეასრულა, ვინაიდან საქართველომ თავისი სახელმწიფოებრიობა ჩრდილოეთის იმპერიას ჩააბარა, რამაც საფუძველი ჩაუყარა რუსეთის ბატონობას კავკასიაში. ამის შემდეგ რუსეთის მორიგი ფავორიტები სომხები იყვნენ, რითაც მას საშუალება ეძლეოდა გაჭრილიყო მცირე აზიაში, ხმელთაშუა ზღვის თბილ წყლებში. მაგრამ თურქეთის სახელმწიფოს სომხების რუსეთთან კავშირი საბედისწერო აღმოჩნდა სომხებისათვისაც.

რუსეთის მთავრობამ თურქეთში სამხედრო მოქმედების გასაადვილებლად სომხებს აჯანყება ურჩია. ამასთან რუსეთი სომხებს ოსმალეთის სომხეთის განთავისუფლებასა და რუსეთის მფარველობის ქვეშ დამოუკიდებლობას შეჰპირდა. სომხებმა რუსეთის მფარველობის რჩევა ყოველგვარი პოლიტიკური გააზრების გარეშე აღასრულეს, რასაც განრისხებული ოსმალების სომეხი ხალხის მასობრივი ხოცვა-ჟლეტა მოჰყვა. ოსმალეთიდან კავკასიაში სომეხ ჯარისკაცთა რაზმები და ლტოლვილთა დიდი ჯგუფები დაიძრა.

სომეხთა გენოციდს საფუძველი ჩაუყარა სულთანმა აბდულ გამიდმა ჯერ კიდევ XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. ცნობილია, რომ 90-იან წლებში ფიზიკურად გაანადგურეს 300 ათასამდე დაუცველი მშვიდობიანი სომეხი მოსახლეობა, ხოლო 1909 წელს ქალაქ ადანსა და კილიკიის მთელ რიგ პროვინციებში 40 ათასი კაცი.

1915 წლის 25 აპრილს ახალგაზრდა თურქთა პარტიამ მისი სულისჩამდგმელის ვინმე თალიათფაშას დანაშაულებრივი მეთაურობით მსოფლიო ისტორიაში გაუგონარი ხოცვა-ჟლეტა, გენოციდი



მოაწყო. რამდენიმე დღის განმავლობაში ყელი გამოსჭრეს მილიონნახევარ სომეხს.

სომეხთა რბევა გრძელდებოდა შემდგომ წლებშიც. 1919-1922 წლებში თურქეთის ჯარისა და სხვადასხვა ბანდების მიერ მოეწყო სომეხთა ახალი მასობრივი რბევა აღმოსავლეთ და დასავლეთ სომხეთში, თურქეთის ცენტრალურ პროვინციებში, კილიკიაში, იზმირში და სხვა ადგილებში.

თავის სამკვიდრებლიდან დევნილმა 800 ათასმა სომეხმა თავი შეაფარა კავკასიას, არაბეთის აღმოსავლეთს, საბერძნეთსა და სხვა ქვეყნებს. დაახლოებით 350 ათასამდე სომეხი რუსეთის იმპერიაში შემოვიდა, აქედან მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოში აღმოჩნდა.

რუსეთის ხელშეწყობითა და დახმარებით სომხებმა დაიკავეს ქართული ტერიტორიები — ახალქალაქის, ახალციხის, ბორჩალოს (ალავერდი, შულავერი, სადახლო), თბილისის, გორისა და ქუთაისის მაზრებში.

სომხები სომხეთის აღდგენას საქართველოში ფიქრობდნენ. ამ მიზნით სომეხი ვაჭარ-კომერსანტები თბილისში იძენდნენ დიდ სამოსახლო ადგილებს, ხოლო თბილისის გარეუბნებში სხვადასხვა თაღლითობით ხელში იგდებდნენ ცარიელ ადგილებს და ასახლებდნენ სომეხ ლტოლვილებს. 1880 წელს, ვერაზე სომხების სასაფლაოს ახლოს, სადაც ქალაქის მიწაზე დასახლებული იყო 20-მდე ქართველების ოჯახი, სომეხმა არამიანცმა ერთი ვილაცა ყალბი პატრონისაგან ჩუმად შეიძინა და შემდეგ ყველა ქართველი აქედან აყარა (ზ. ჭიჭინაძე. სომხეთი საქართველოში (სომხის სამღვდელოებისა და დაშნაკელთა ოცნება). — „სამშობლო", 1916, 15 აპრილი).

ვერაზე ბარათაშვილის მამულს, სადაც 300-მდე ქართველთა ოჯახი იყო დასახლებული, ჩუმად დაეპატრონა ერთი სომეხი, რომელმაც შემდეგ ეს მამული გაყიდა მეორე სომეხზე, მეორემ — მესამეზე. ბოლოს კი ეს მამული იყიდა არამიანცმა და 300 ქართველი ოჯახი აქედან აყარა.

კუკიისა და დიდუბის შუა მდებარე ადგილები ეკუთვნოდა სომხებს — ნადიროვსა და დოლუხანოვს. ამ ადგილებში ცხოვრობდა 500-მდე ქართველი ხელოსანი. მათ ედავებოდნენ ნადიროვი და დოლუხანოვი, რომლებიც ამ ადგილებს ისე ძვირად აფასებდნენ, რომ მათ ყიდვას და ვერც იჯარით აღებას ქართველი კაცი ვერ შესძლებდა. ქართველები იძულებული იყვნენ აქედან აყრილიყვნენ. აი, რას ამბობდა ამ მამულების ისტორია: 1770 წელს სპარსეთიდან თბილისში ერეკლე II-ის კარზე გაჩნდა ვინმე სომეხი ექიმბაში ამატუნი. მან ერეკლეს წინაშე საკმაოდ გაითქვა სახელი. ამატუნმა მოახერხა ერეკლესაგან ამ მამულების თავის საკუთრებაში დამკვიდრება და თავადობაც მიიღო. მდედრობითი სქესის შთამომავლობამ (ნადიროვები და დოლუხანოვები) დაივიწყეს ერეკლე II-ის პურმარილი, სიკეთე და დახმარება. ისინი ქართველთა სისხლით მორწყულ მიდამოებში ქართველებს ემტერებოდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ქართველები იყვნენ (იხ. იქვე).

1915 წლისათვის ოსმალეთიდან გამოქცეულ სომეხთა რაოდენობა საქართველოში 60-100 ათას კაცს აღწევდა. თბილისში იყო აგრეთვე სპარსეთიდან გამოქცეული 3 ათასამდე აისორი (იხ. კლდე, 1915, №4, გვ. 15).

ბუნებრივია, რომ ქართული პრესა სამართლიანად და ობიექტურად აშუქებდა ლტოლვილთა მდგომარეობას და მათი დიდი რაოდენობით მოზღვავება ქართული ინტერესების საზიანოდ მიაჩნდა. სომხურმა ბურჟუაზიულმა გაზეთმა „კავკასკიი სლოვო"-მ თავისი 1915 წლის 23 იანვრის სარედაქციო წერილში „გამოქცეულების საკითხი ფართოვდება და ბევრს აწუხებს" გულახდილად აღიარა სომეხთა პოლიტიკური მიზნები საქართველოში. გაზეთი აღნიშნავდა: ამბობენ, რომ სპარსეთსა და ოსმალეთიდან გამოქცეულნი უცხოელნი არიან. ასეა თუ არა? ფორმალურად — კი, მაგრამ არსებითად არა... თავის გავლენის მცირე აზიაში რუსეთი ემყარებოდა ჯერ ქართველებს, შემდეგ — სომხებს. ამიტომ არ შეიძლება მათ ასე ვუყუროთ, როგორც უცხოელებს. ესენი სულ ჩვენი მოკავშირენი არიან, სპარსეთსა და ოსმალეთიდან გამოქცეული სომხების მიმართ რუსეთის სახელმწიფოს აქვს მოვალეობა, კიდევაც უნდა შეასრულოსო.

ქართული ჟურნალი „კლდე" (რედაქტორი რ. გაბაშვილი) „კავკასკიი სლოვოს" ეკამათებოდა და წერდა, რომ სპარსეთიდან გამოქცეული სომხობა მთლიანად ღარიბ-ღატაკებისაგან შედგება და სომხების შეძლებული ნაწილი ადგილიდან არ დაძრულაო. „გამოქცეულთა საკითხი" ხელოვნურად შეიქმნა. სარწმუნო ცნობები ადასტურებენ, წერდა „კლდე", რომ სპარსეთსა და ოსმალეთიდან არ დაძრულა არც ერთი შეძლებული სომეხი, იქიდან „გამორბოდნენ" მხოლოდ ღარიბ-ღატაკნი... რაც მეტი აქვს ადამიანს, მით უფრო ადვილად გარბის, რადგან მართლაც მით უფრო მეტი შიში მოელის. ოსმალეთსა და სპარსეთში ეს კანონი უკუღმაა შეტრიალებული. იმიტომ, რომ ეს გამოქცეულები ნამდვილი შიშით კი არ იყვნენ შეპყრობილნი, არამედ ორმაგი პოლიტიკით. ჯერ ერთი, სპარსეთისა და ოსმალეთის მდიდარი სომხობა თვითონ აბრიყვებს ღარიბ-ღატაკებს და თავიანთ მთავრობასთან ერთად ძალით თუ აგიტაციით ისტუმრებს საზღვარგარეთ, სადაც პირდებიან თითქოს აღთქმულ ქვეყნებს და თავად იშორებს შემაწუხებელ ელემენტებს. აშინებს მათ ხოცვა-ჟლეტით. მეორე მხრივ, საქართველოში მცხოვრები სომხობა მართლაც შველოდა გამოქცეულებს და მათი დახმარებისათვის შესძრა რუსეთისა და ინგლისის საზოგადოებრიობა. ეს ღარიბ-ღატაკნი სპარსეთსა და ოსმალეთში პირუტყვებთან ერთად ცხოვრობდნენ, არ გააჩნდათ პურიც კი. წარმოდგენა არ ჰქონდათ რა იყო ჩაი და შაქარი, უარს ამბობდნენ თევზის ჭამაზედაც. ასეთი ღარიბ-ღატაკნი გამოიქცეოდნენ, რადგან ადგილზე ურიგებდნენ ტანისამოსს, თეთრ პურს, სანოვაგეს, პასპორტებს, ქმნიდნენ მათთვის სასადილოებს, აწყობდნენ სამუშაოზე, აძლევდნენ პირუტყვს, სასოფლო-სამეურნეო იარაღს და ზოგან მიწასაც (იხ. კლდე, 1915, №5, გვ. 3-5).

ლტოლვილებს საქართველოში შემოჰქონდათ მძიმე დაავადებები და ეპიდემიები (სახადი, ყვავილი, ქოლერა და სხვა). ჟურნალი დაასკვნიდა, რომ კავკასიაში არ არის თავისუფალი ადგილები სომხების ახალი ტალღის დასასახლებლადო (იხ. იქვე,1915, №4, გვ. 12). ასაბუთებდა, რომ „ორი წლის მოუსავლიანობისა და ეხლანდელი უმაგალითო ომიანობის გამო დღეს ჩვენი ცხოვრება მეტად გაჭირვებულია, საკვები ძნელი საშოვარია და გარედან შემოტანაც ძალზე გაძნელებულია — ამ პირობებში ჩვენს ტერიტორიაზე ადგილობრივ მკვიდრთაც კი უჭირთ თავის შენახვა და მოვლა — ეხლა კიდევ, რომ ჩვენი ქვეყნის მუდმივ მობინადრეებს გამოხიზნულები მიემატნენ, ჩვენი მდგომარეობა სწორედ რომ აუტანელი იქნება. ჩვენ საკუთარი საჭიროება და მოთხოვნილებაც ბევრი გვაქვს დღეს და სხვის გასაჭირს კიდევ ვერ მივიღებთ ჩვენ თავზე, არის მეორე გარემოებაც, უფრო სერიოზული და მნიშვნელოვანი. თბილისის გარეუბნის ზოგიერთი ადგილი დღესაც მეტად აჭრელებულია ეროვნულად. მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ჩვენ დავკარგეთ სრულიად ახალქალაქის მაზრა; მრავალი გადმოსახლებული დასახლდა აგრეთვე ბორჩალოსა და ახალციხის მაზრებში. ეხლა რომ ახალი გამოხიზნულები ჩაგვისახლდნენ საქართველოს ტერიტორიაზე, ეს საქმეს მეტად გაგვირთულებს და გაამწვავებს. ეს დიდი საფრთხეს მოუმზადებს ჩვენს ეროვნულ მდგომარეობას და არ შე[illegible]ლის ლონის წინააღმდეგობა არ გაუწიოთ ჩვენი მიწა-წყლის აჭრელებას, რომელიც ქართველ ერსაც ძლივს ჰყოფნის — სრულიად დარწმუნებულნი უნდა იყვნენ თავის სამშობლოდან გამოქცეულნი, უსახლკაროდ დარჩენილი სომხები, აისორები და სხვები, რომ კარგად გვესმის მათი უმწეო მდგომარეობა, სულითა და გულით თანაუგრძნობთ გაჭირვებასა და განსაცდელში და დავეხმარებით, გარემოება რამდენად ხელს შეგვიწყობს. მაგრამ თვითონაც ნათლად უნდა გაითვალისწინონ ...ეხლანდელი საერთო ვითარება და ქართველი ხალხის მდგომარეობა და ნურავინ მოგვთხოვს იმას, რაც ძირიან-ფესვიანად ეწინააღმდეგება ჩვენი ერის აწმყოსა და მომავალს"(იხ. კლდე, 1915, №4, გვ. 15).

ჟურნალი „კლდე" მომდევნო ნომერში გამოქვეყნებულ საინტერესო სტატიაში დაასკვნიდა, რომ „...სხვაგან დამკვიდრება, უცხოთა შორის საკუთარი ბინის მოპოვება, სხვისი ეროვნული ერთფეროვნების დაშლა, დარღვევა, გადაიქცა სომხის ერის ისტორიულ ხასიათად და გარდაუვალ მიდრეკილებად" (იქვე, 1915,№6, გვ. 3). და შემდეგ „ეროვნულ თვითგანმტკიცების ინსტიქტმა მსახურად გაიხადა ამიერიდან გულ-გონება სომხისა, რომელიც უკვე შეგნებულად შეუდგა ახალი სამშობლოს შექმნას... საერთო ნიადაგზე შეხვდნენ საქართველოში, ერთი მხრით სომხეთი დაშლილი, გაბნეული, უსახელმწიფო ერი, და მეორე მხრით რუსეთი — ძლიერი და მტკიცედ შემოჭრილი სახელმწიფო" (იქვე, გვ. 4).

„კლდე" დაუნდობლად ამხელდა დიდვაჭარ და კომერსანტ სომეხ შოვინისტთა ნამდვილ მიზანდასახულ მოქმედებას საქართველოში. ჟურნალი პუბლიკაციაში „სომხები" აღნიშნავდა, რომ „როგორ გგონიათ, რა მისიას ახორციელებენ აქ, საქართველოში, სომხები? მათ შეისყიდეს ჩვენი ტერიტორიის ნაწილები და ზედ „არმენიზმს" ამკვიდრებენ, მათ დაიპყრეს ეკონომიკურად ჩვენი ქალაქები და ზედ იმავე „არმენიზმის" დროშას აფრიალებენ! და ყველა ამას ისინი სჩადიან იმ ერის კერაზედ, რომელიც მათზედ ნაკლებ არ არის გატაცებული საკუთარი აღორძინების აზრით! შეიძლება განა ამის შემდეგ „მეზობლობაზედ" ლაპარაკი?"

სომხის ბურჟუაზია „მთავრობის ხელში... მუდამ ბრმა იარაღის როლს ასრულებს, რომლის საშუალებითაც მთავრობა ყოველ ეროვნულ ორგანიზმში მეტხორცსა ქმნის. სამაგიეროდ, მათ ნება ეძლევათ ყველგან და ყოველთვის თავიანთი ვიწრო შოვინიზმი აღვივონ. მითუმეტეს, რომ მთავრობისათვის სომხური შოვინიზმი საშიში არ არის. მთავრობას კარგად ესმის, რომ სომხები კავკასიაში ვერასოდეს ვერ მიაღწევენ ისეთ მდგომარეობას, რომ ოდესმე ეს მდგომარეობა საფრთხედ იქცეს, მაგრამ ეს როლი თვით სომხებს კარგად შეგნებული არ აქვთ, როგორც თავის კაპიტალზე, ისე თავის ეროვნულ ძალებზე და ზოგჯერ მათი ყოფა-ქცევა ისეთ აგრესიულ ხასიათს იღებს, რომ ძალაუნებურად შიშსა და მღელვარებას იწვევს ქართველებში" (იქვე, 1913, №41, გვ. 5-7).

XX საუკუნის 10-იან წლებში საქართველოში მცხოვრებ სომეხთა ანტიქართული იდეოლოგია და პრაქტიკა კიდევ უფრო გაძლიერდა. სომეხი შოვინისტები ებრძოდნენ ქართულ კულტურას, განათლებას, ამახინჯებდნენ საქართველოს ისტორიას, თავიანთ რუს კოლეგებთან ერთად ცდილობდნენ ქართული ენის დამცირებას და ამოძირკვას. ჟურნალმა „კლდემ" 1912 წლის მეექვსე ნომერში გამოაქვეყნა კორესპონდენცია, რომელშიც მოთხრობილი იყო აჭარაში სახალხო სწავლა-განათლების მდგომარეობის შესახებ. სამოსწავლო სკოლის უმცროსი აგენტი ვინმე ტერ-გასპარიანცი ქართული სკოლიდან ქართველ მასწავლებლებს ითხოვდა და მათ მაგიერ ქართველების მასწავლებლად ყარაბაღელ და ერევნელ სომხებს იწვევდა. იგი ქართველებთან საუბარს ყოველთვის იწყებდა შეკითხვით: „რომელი ეროვნებისა ხართ"-ო. ტერ-გასპარიანცის თვითნებობა იმდენად ნათელი იყო, რომ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით იგი სამსახურიდან დაითხოვეს. ჟურნალი „კლდე" დაასკვნიდა: „არმენიზაცია" ქართულ სახალხო განათლებაში — ეს მხოლოდ ცოდვილობაა გაცუღლუტებული პატრიოტისა და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ „არმენიზაცია", როგორც რუსული სახელმწიფოებრივი საშუალება, არც არსებობს კავკასიის სასწავლო ოლქის სამმართველოში" (კლდე, 1912,№6, გვ. 7).

**შოთა თეთვაძე**
**ოთარ თეთვაძე**

# რუსთავში მომუშავე სატელეფონო სადგურების გამომშვები ქარხანა აღარც კი არსებობს... ატეეს 12 და ატეეს 14 კი 100% დატვირთვით მუშაობს



არჩევნებამდელმა ინტერვიუმ საქართველოს „ელექტროკავშირის" გენერალურ დირექტორთან, ბატონ ილია კუბეციასთან, რომელიც გაზეთ „საქართველოში" გამოქვეყნდა სათაურით — „არჩევნების შემდეგ საბიუჯეტო ორგანიზაციებს მომსახურებას შევუწყვეტთ", ერთგვარი დაინტერესება გამოიწვია, მკითხველს პერიოდულად ვაწვდით მასალებს კავშირგაბმულობის სისტემაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. ამჯერად ჩვენი ყურადღება „ელექტროკავშირის" რუსთავის ფილიალმა და 40 წლის ისტორიის მქონე 12, 14 ატეესებმა მიიქცია, რამდენიმე კითხვით ვეწვიეთ „საქელექტროკავშირის" რუსთავის ფილიალის მმართველს, ბატონ **თომა ჩალაძეს**.

მისაღებში სულ რამდენიმე წუთით ლოდინისას არცთუ მოულოდნელი შემთხვევის მომსწრე გავხდით. ხანდაზმული მანდილოსანი 72 წლის მარტოხელა მოხუცისათვის გამონაკლისის სახით დახმარების გაწევას ითხოვდა (ალბათ, მეზობლისათვის), რომელმაც პენსიის დაგვიანების(!) გამო ივნისიდან სააბონენტო გადასახდი ვერ გადაიხადა და ტელეფონი გამოურთეს. გამონაკლისის დაშვება არ მოხდა, მანდილოსანმა მმართველამდე ვერ „შეაღწია", მდივანმა შესაბამისი ახსნა-განმარტებებით შესაბამის სტრუქტურებში გაგზავნა. პირველი კითხვა ზემოხსენებულ ქალბატონს და მარტოხელა 72 წლის მოხუც ქალს შეეხო.

— გამონაკლისის დაშვების უფლება ჩვენ არ გვაქვს. სახელმწიფო ითვალისწინებს მარტოხელების, ინვალიდების და საერთოდ, ამ კატეგორიის მოქალაქეთა მდგომარეობას და უწევს დახმარებას. მათზე სათანადო შეღავათები ვრცელდება, მათ სატელეფონო გადასახადებს კი ბიუჯეტი ფარავს, რაც შეეხება დღევანდელ შემთხვევას, ასეთი რამ ხშირად ხდება. მოდიან ადამიანები, თავს ასაღებენ მარტოხელად, რადგან სახლში მარტო არიან და შვილები და შვილიშვილები სხვაგან ცხოვრობენ, იყენებენ მარტოხელას სახელს და ცდილობენ გადასახადის გადაუხდელობისას დაკისრებულ ჯარიმებს თავი აარიდონ.

იმ შემთხვევაშიც კი, როცა ადამიანმა პენსია ან ხელფასი ვერ აიღო და ამის გამო გადასახადი ვერ გადაიხადა, გამონაკლისის დაშვების უფლება არ გვაქვს, — გვითხრა ბატონმა თომამ.

ამ კუთხით თუ ვიმსჯელებთ, ამ ბოლო დროს მთელი საქართველო „გამონაკლისს" წარმოადგენს პენსია-ხელფასების აულებლობის გამო(!) და მაშინ, ვაი საბრალო „ელექტროკავშირის" ბრალი...

დღეს კავშირგაბმულობა ერთადერთი სისტემაა საქართველოში, რომელიც დროულად უხდის ხელფასს თავის თანამშრომლებს, იქნებ ამიტომ, ან იქნებ იმიტომ, რომ მიზეზთა და მიზეზთა გამო უფლება არ აქვს ანგარიში გაუწიოს სხვას, არ შეუძლია დახმარების ხელი გაუწოდოს უხელფასობით დატანჯულ თანამოქალაქეებს.

თანაც ის სიმბოლური თანხა (70 თეთრი), რომელსაც ერთ ნომერზე იხდის აბონენტი, სანახევროდაც ვერ ჰყოფნის ამ ნომრის შენახვას.

— ატეეს 12 და ატეეს 14, რომ იტყვიან სამუზეუმო ექსპონატები გვაქვს, — გვითხრა მომსახურების დონეზე საუბრისას „ელექტროკავშირის" რუსთავის ფილიალის მმართველმა, — ისინი 1966 წელს დამონტაჟებული სადგურებია, რომლებსაც 100% დატვირთვით ვამუშავებთ, დღეისათვის ასეთი ტიპის სადგურების გამომშვები ქარხანაც ალარ არსებობს. სათადარიგო ნაწილების ცვეთა დიდია და პრობლემებიც გვექმნება. ორივე სადგურზე 13000 აბონენტი გვყავს, სადგური ველარ უძლებს დატვირთვას, საჩივრებიც ხშირია, ატეესი აგერ 40 წელი ხდება მუშაობს, ყოველწლიურად მეტი და მეტი თანხები სჭირდება მის შენახვას, ათჯერ მეტი გვიჯდება თითოეული აბონენტის მომსახურება, იმასთან შედარებით, რასაც ისინი იხდიან.

ახალი ტექნიკის შემოტანაზე და განვითარებაზე ხომ საერთოდ ზედმეტია საუბარი, ამას თანხები სჭირდება. „ელ. კავშირს" კი ფული მანამ არ ექნება, ვიდრე გადასახადი 70 თეთრი იქნება. რუსთავის ფილიალი წელს ზარალზე დაიგეგმა, შემოსავლები დაეცა (საბონენტოსთან ერთად საქალაქთაშორისოსაც ვგულისხმობ. პენსია-ხელფასების დაგვიანება გადასახადებზეც მოქმედებს, არ აქვთ ფული, ალარ რეკავენ). 11 თვის შემოსავლების გეგმა 312 ათასი ლარი გვქონდა, შემოსულია 292000 ლარი.

საუბარმა პირდაპირ საბიუჯეტო ორგანიზაციების დავალიანებებთან მიგვიყვანა. ალმოჩნდა, რომ ამ უკანასკნელს 15000 ლარი აქვს გადასახდელი „ელექტროკავშირის" რუსთავის ფილიალის სასარგებლოდ. ბატონ თომას „ელ. კავშირის" გენერალური დირექტორის ილია კუბეციას სიტყვები მოვაგონეთ და რუსთავში არჩევნების შემდგომი მდგომარეობის კომენტარი ვთხოვეთ.

— სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე არჩევნებისთვის გამორთული ტელეფონებიც კი ჩავრთეთ, ახლა კი მდგომარეობა შეიცვალა, ტელეფონების გამორთვა საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის დაწყებულია, ქალაქს სრული პარალიზების უფლება არავის აქვს და ამას არც ვაპირებთ. სკოლები, განათლება, კულტურის განყოფილება მთლიანად გავთიშეთ, რაც შეეხება სასიცოცხლო ობიექტებს — პოლიციას, სახანძრო პოლიციას, საავადმყოფოს, მერიას, დავუტოვეთ აუცილებელი ტელეფონები ხალხთან საკონტაქტოდ, თუ აქვთ 10 ტელეფონი, ვურთავთ 8, 9-ს.

გათიშული ტელეფონებისა რა მოგახსენოთ, „ელ.კავშირის" ხელმძღვანელობა თავის მოვალეობას ასრულებს. აი, რაც ტელეფონების ჩართვას შეეხება, ეს უკვე ბიუჯეტის და სახელმწიფოს ხელმძღვანელობის საქმეა, იქნებ, მოვალეობა მათაც პირნათლად შეასრულონ და გამორთული ტელეფონები არა მარტო საბიუჯეტო ორგანიზაციებს, არამედ უხელფასობით და უპენსიობით დატანჯულ ხალხსაც ჩაერთოს.

**მანანა ლოგჯანიძე**
**ნანა ძველაია**

# ლარი თუ ჯუჯა-ლარი?..

როცა გაირკვა, რომ ქართული ფულის ერთეულს ლარი დაერქმეოდა, ენაკვიმატმა თბილისელებმა მაშინვე იხუმრეს — დიდ ფულს დო-ლარი ერქმევა, პატარას, ე. ი. ჩვენებურს, ჯუჯა-ლარიო. მაშინ სიცილს იწვევდა ეს ნათქვამი და ვერ წარმოვიდგენდით, ყოველ შემთხვევაში, ვიმედოვნებდით მაინც, რომ ჩვენი პატივდებული ლარი მართლა ჯუჯა-ლარად არ გადაიქცეოდა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ასე მოხდა.



ლარის კურსის დაცემას ათასგვარ ახსნას უძებნიან. ვინ რუსეთში მიმდინარე კრიზისს ასახელებს, მავანმა ყველაფერი ჩვენი გამოუცდელი ფინანსთა მინისტრის ბრალიაო და გაუყენეს ჭკუასელი, როგორც „განტევების ვაცი", მოხსნილი მინისტრების გრძელ გზას, ბოროტმა ენებმა ყველაფერი საკანონმდებლო ორგანოს გადააბრალეს და არც ჩვენი ბანკების მმართველთა ლაფში ამოსვრა დაიზარეს. თურმე ნუ იტყვით და ბანკებს „აწყობდათ" ლარის კურსის დაგდება, ამ გზით მოგება მეტი შესვლიათ.

ყველა ეს მიზეზი, ალბათ არსებობს და არც რომელიმე მათგანის გამორიცხვა შეიძლება, მაგრამ მთელ ამ ორომტრიალში ერთი „პატარა დეტალია" გაურკვეველი.

როგორც ექიმმა, ქალბატონმა მარინა ჯანელიძემ ბრძანა ერთ-ერთ ტელეგადაცემაში: ავადმყოფებს რომ წლების მანძილზე ერთი და იმავე მეთოდით უკეთებენ ოპერაციას და ეს ოპერაცია მას საიქიოს გზას უყენებდეს, ცხადია, მკურნალობის მეთოდი უნდა შეიცვალოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ექიმებს პაციენტები, უბრალოდ, დაეხოცებათ.

საინტერესოა, ჩვენი მთავრობა რატომ არ უფიქრდება იმ „მკურნალობის მეთოდს", რომელსაც აგერ უკვე 6-7 წელია სახელმწიფოს უტარებს.

წლების მანძილზე ვიღებთ კრედიტებს, რომლებიც საეჭვო მიმართულებით მიედინება. ყოველ საღამოს ყველა საინფორმაციო პროგრამა, დღის განმავლობაში კი ლამის ყველა გაზეთი ჩაგჩიჩინებს ჯიუტად, ინვესტორები უნდა მოვიზიდოთ, ეგენი გადაგვარჩენენ, თუ გადაგვარჩენენო.

მოვიდნენ ინვესტორები, მაგრამ არც მაგით გვეშველა რამე. ისევ გაუცემელია ხელფასები, პენსიები და ა. შ.

ცხადია, „მკურნალობის მეთოდია" შესაცვლელი. გარედან რა დიდი თანხაც არ უნდა შემოვიდეს, რანაირი ძლიერი ინვესტორიც არ უნდა ვიშოვოთ, არაფერი გვიშველის, თუ საშინაო პოლიტიკას არ მოვაწესრიგებთ. ანუ თუ არ ავამუშავებთ სამამულო მრეწველობას და ამ გზით არ გავამაგრებთ ჩვენი ფულის კურსს, თორემ იმ დალოცვილი კრედიტებისა და ინვესტიციების შემყურე ეს ჩვენი საბრალო ლარი ისე დაპატარავდა, რომ მართლა ჯუჯა-ლარად გადაიქცა.

*მარიამ სხილაძე*

ვულოცავთ ჩვენს მეგობარს, ლირსეულ ქართველ ვაჟკაცს, ფრიდონ შენგელიას დაბადების დღეს.
ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას, ბედნიერებას საყვარელ ოჯახთან და ახლობლებთან ერთად.
*შენი მეგობრები მარინა ფერაძე და სერგო ჯანაშია*









EXPRESS AUDIT SERVICE

**ექსპრეს-აუდიტ სერვისი**

ლიცენზია № 091;
გთავაზობთ აუდიტორულ მომსახურებას ზოგად აუდიტში
1. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება;
2. საკონსულტაციო მომსახურება და რეკომენდაციები;
3. ქონების შეფასება-გადაფასება;
4. ბუღალტრული მომსახურეობა;
5. ფირმების რეგისტრაცია.

თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ.5 მე-2 სართ. ტელ: 93-15-89 (პეიჯერი 43-11)

**ყურადღება!**

ვიწვევთ პრესის რეალიზატორებად (გამსაღებლებად) დაუსაქმებელ მოქალაქეებს. პირობების გაგება შეგიძლიათ ტელ: 93-20-36 ან მისამართზე: პუშკინის 5, II სართული. გაზეთ „საქართველოს" რედაქცია.

**იყიდება**

გარემონტებული მაღაზია (ფართი 91,3 მ2, სარდაფი — 250 მ2) მისამართზე: ვარკეთილის 3, II მ-რ. ფასი 8500 დოლარი. საკონტაქტო ტელეფონი 79-63-30 ნოდარი

მთავარი რედაქტორი
**სერგო ჯანაშია**

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444

გაზეთის დირექტორი: ელგუჯა ჩხაიძე
რედაქცია: გია თვალავაძე (რედაქტორის მოადგილე), ზაზა ალადაშვილი (კომერციული დირექტორი), კობა კაპანაძე (სამართლისა და რეგ. პოლიტიკის განყ. გამგე), გიორგი ლალიაშვილი (რეალიზაციის განყოფილების გამგე), კორესპონდენტები: კობა ბრეგვაძე, ქეთი ჩადუნელი, ქეთი გეჯაძე, ხათუნა ხატიაშვილი, ნათია ჭანტურია, მანანა ლობჯანიძე, ნანა ძველაია, იზოლდა ცირდავა.
კორექტორები: ამალია გოგრიაშვილი, ამირან ჯანაშია

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ